

ზიანის ანაზღაურება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2023, № 10

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2023, № 10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2023, № 10

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2023, № 10

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო დაკავებიდან და პატიმრობიდან გამომდინარე მიუღებელი იძულებითი განაცდურის საფუძველით ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველიანობა	4
მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა	20
მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები	41
დისკრიმინაციული მოპყრობისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები	62
უსაფუძვლო გამდიდრების და დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება	75
ავტომანქანის უკანონო ამოღებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება	108

2. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

მარეაბიტირებელი გარემოების დადგომის პირობებში მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები	143
უცხო ქვეყანაში გარდაცვლილი მეუღლის დაგვიანებით გადმოსვენების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება	163

1. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

უკანონო დაკავებიდან და პატიმრობიდან გამომდინარე მიუღებელი იმუღებელი განაცდურის საფუძვლით ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლიანობა

გადანყვებითლება საქართველოს სახელმთ

№ბს-508(2კ-21)

12 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ქ-ამ 2018 წლის 31 მაისს სარჩელთ მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ და მოითხოვა საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის მის სასარგებლოდ მორალური ზიანის 19500 (ცხრამეტი ათას ხუთასი) ლარის და მატერიალური ზიანის სახით 237 681,60 (ორასოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაერთი ლარი და სამოცი თეთრი) ლარის ოდენობით დაკისრება.

სარჩელის მიხედვით, 2010 წლის 5 ივლისს, მ. ქ-ას საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარედგინა ბრალი და აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა. 2011 წლის 5 იანვრის განაჩენით, ბრალის აღიარებით პროკურატურასთან მიაღწია საპროცესო შეთანხმებას, რის შედეგად სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის, 6 თვისა და 10 დღის ვადით, საიდანაც 6 თვე და 10 დღე განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 5 წელი ჩაეთვაღა პირობითად 6 წლის გამოსაცდელი ვადად, ასევე დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით, რაც გადაიხადა.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 მარტის განჩინებით, მ. ქ-ას მიმართ გამოყენებული იქნა „ამნისტიის შესახებ“

საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი, რითაც მ. ქ-ას 1/4-ით შეუმცირდა 2011 წლის 5 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი, ამასთან ამნისტია გადახდილ ჯარიმას არ შეეხება.

2014 წელს მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ახალ გარემოებაზე მითითებით მოითხოვა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამამართლებელი განაჩენით შეცვლა. 2015 წლის 15 ივლისს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, გაუქმდა მ. ქ-ას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და მოსარჩელე სრულად გამართლდა. ამავსე განაჩენით გამართლებულ მ. ქ-ას განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, დაპატიმრებამდე იყო დასაქმებული, მასთან ეტაპობრივად გრძელდებოდა ხელშეკრულებები და ასევე ეზრდებოდა ანაზღაურება. 2010 წლის 01 ივნისის ხელშეკრულებით მუშაობის ვადა ამოენურა 2010 წლის 30 ივნისს, რის შემდეგაც მოსარჩელე აგრძელებდა მუშაობას და ის ჩვეულებრივ მოელოდა ახალი ხელშეკრულების დადებას. აღნიშნული პერიოდისთვის მისი ანაზღაურება შეადგენდა 2 329,60 ლარს, თუმცა შრომითი ხელშეკრულება აღარ განახლდა იმ მიზეზით, რომ მოსარჩელე სამსახურში ბრალდებულის სახით დააკავეს, რითაც მიადგა მატერიალური ზიანი. მატერიალური ზიანი ასევე მიადგა იმის გამო, რომ ჯარიმის სახით გადაიხადა 10 000 ლარი, ადვოკატის მომსახურებით სარგებლობისთვის გასწია ხარჯი 2 500 ლარის ოდენობით, პრობაციონერის შეღავათისთვის სარგებლობისთვის – 400 ლარი, ხოლო კვებაზე განეულმა ხარჯმა შეადგინა 1 140 ლარი. გარდა ამისა, უკანონო პატიმრობაში გატარებული პერიოდისა და განცდილი ემოციების გამო მოსარჩელემ მოითხოვა მორალური ზიანის სახით 19 500 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის საოქმო განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე მ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მო-

რალური ზიანის სახით – 5000 (ხუთი ათასი) ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის სახით 19 277 (6777 ლარი მიუღებელი ხელფასი, 2500 ლარი საადვოკატო მომსახურების ხარჯი და 10 000 ლარი ჯარიმის სახით გადახდილი თანხა) ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 05 იანვრის განაჩენით, თბილისის პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ დ. ნ-ეს და განსასჯელ მ. ქ-ას შორის დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით, მ. ქ-ა ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებით სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2010 წლის 05 ივლისიდან. 2014 წლის 18 აგვისტოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, შუამდგომლობით მიმართა მ. ქ-ამ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 05 იანვრის განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განაჩენით, №1აგ/146-14 საქმეზე მსჯავრდებულ მ. ქ-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 05 იანვრის განაჩენი, მ. ქ-ას მიმართ გაუქმდა. მ. ქ-ა ცნობილი იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი და აღნიშნა, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმა-

რისია დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ანიჭებენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. მარეაბილიტირებელ გარემოებად კი, სასამართლოს მოსაზრებით, უპირობოდ მიიჩნევა პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. კერძოდ, გამართლებულ პირს აქვს შესაძლებლობა, დარღვეული უფლება აღიდგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გზით. გამართლებულ პირს, რომელსაც გამამართლებელი განაჩენით შეეზღუდა უფლებები, შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს განაჩენით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 აპრილის საქმეზე (№ბს-648-623(2კ-13)) ჩამოყალიბებული განმარტები და აღნიშნა, რომ მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არსებობდა მ. ქ-ას მიმართ მარეაბილიტირებელი გარემოება, კერძოდ გამამართლებელი განაჩენი, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო ორგანოს უკანონო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, კერძოდ, უკანონოდ დაკავების/პატიმრობის შედეგად მოსარჩელეს მიაღდა მორალური ზიანი, შესაბამისად, მო-

სარჩელის სოციალურ მდგომარეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი ფაქტობრივად ექვსი თვისა და 9 დღის განმავლობაში (ამასთან იგი იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ), რის შემდეგაც მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო გამამართლებელი განაჩენი კი 4 წლის შემდეგ, ამასთან, იგი იყო თანამდებობის პირი და საქმე შუქდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სასამართლომ, სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მიიჩნია საფუძვლიანად და დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, მოსარჩელე მ. ქ-ას სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა მორალური ზიანის სახით 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ანაზღაურება.

მატერიალური ზიანის მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (სკ-ის 408.1 მუხ.), ამასთანავე, ზიანის ფულადი ანაზღაურება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები (სკ-ის 409-ე მუხ.). სასამართლომ განმარტა, რომ მხარისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი, რომლის არსებობა და მიზეზშედგობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და ზიანის წარმოქმნას შორის დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით, ექვემდებარება სრულად ანაზღაურებას.

სასამართლომ, გარდა იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 05 იანვრის განაჩენის გაუქმება და მოსარჩელის გამართლება მიიჩნია მ. ქ-ას მარეაბილიტირებელ გარემოებად, სასარჩელო მოთხოვნის, კერძოდ მატერიალური ზიანის სახით მიუღებელი ხელფასის 223 641, 60 ლარიდან 6777 ლარის ოდენობით ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ შპს „ს...ის“ მიერ, 2017 წლის 27 მარტს გაცემული №292 ცნობის თანახმად, მ. ქ-ა, 2006 წლის 05 აპრილიდან ეჭვმიტანილის სახით დაკავებამდე მუშაობდა სს „ს...აში“ სხვადასხვა პოზიციებზე და მასთან მუდმივად, უწყვეტად იდებოდა ხელშეკრულებები 2006 წლიდან. 2009 წლის 01 ოქტომბრიდან 2010 წლის 01 ივლისამდე იგი მუშაობდა ს...ის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. 2010 წლის 7 ივლისის ბრძანების მიხედვით, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძ-

ველზე და შეუწყდა უფლებამოსილება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო 2010 წლის 1 ივლისიდან. შპს „ს...ს“ 2018 წლის 02 ნოემბრის №871 ცნობით სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ თანამდებობა, რომელსაც იკავებდა მოსარჩელე მ. ქ-ა, გაუქმდა 2010 წლის 01 ოქტომბრიდან.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, მოწმეთა ჩვენებებით, დაკავების ოქმითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ქ-ა 2010 წლის 1 ივლისის შემდგომაც, დაკავებამდე (5 ივლისამდე) ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, ამდენად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის არსებობა ფულად ზარალსა და მოპასუხის ქმედებას (დაკავებას შორის) შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რადგან მიიჩნია, რომ არსებობდა მატერიალური ზიანის სახით დაკავებიდან – 2010 წლის 5 ივლისიდან 2010 წლის 1 ოქტომბრამდე (თანამდებობის გაუქმებამდე) და არა გამამართლებელი განაჩენის გამოტანამდე მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების საფუძველი, რაც შეადგენდა 6777 ლარს (5 ივლისის შემდგომ ხელფასი 2117,80 ლარი+აგვისტო 2329,60 ლარი+სექტემბერი 2329,60 ლარი).

საქალაქო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა საადვოკატო მომსახურების თანხის, 2500 ლარის მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე, სრულად დააკმაყოფილა, რამდენადაც 2014 წლის 29 ივლისს, მ. ქ-ასა და ე. ჯ-ეს შორის დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებითა და 2014 წლის 08 აგვისტოს N3 საგადახდო დავალებით დადგენილად იქნა მიჩნეული მოსარჩელის მიერ მითითებული თანხის გადახდა. ამასთან, გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე, მოპასუხეს დაეკისრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ მ. ქ-აზე დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის 10 000 (ათი ათასი) ლარის ანაზღაურება.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნებს როგორც პატიმრის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის 1140 ლარის, ასევე პრობაციის ბიუროში გადახდილი თანხის 400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, პატიმრობის კოდექსის საქართველოს კანონის მე-14 მუხლის, 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, უსაფუძვლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურ-

მა პროკურატურამ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – მ. ქ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით, საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის სახით მოპასუხისათვის პრობაციის ბიუროში შეღავათის დაწესების საფასურის – 400 ლარის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას მ. ქ-ას სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ ძირითადად სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სამართლებრივი შეფასებები, ხოლო პრობაციის ბიუროში გადახდილი თანხის, 400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნასთან დაკავშირებით მიუთითა საქმეში წარმოდგენილ 2011 წლის 31 მარტის შემოსავლის ორდერზე, რომლის თანახმად, მ. ქ-ას მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ანგარიშზე უდავოდ გადახდილი ჰქონდა 400 ლარი პრობაციის ბიუროში მსჯავრდებულის გამოცხადებაზე შეღავათის დაწესებისთვის, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში მიიჩნია საფუძვლიანად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ასევე მ. ქ-ამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მათ სასარგებლოდ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს გენერალური პროკურატურა საკასაციო საჩივარში მატერიალური ზიანის სახით მიუღებელი ხელფასის – 6777 (ექვსი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას და აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კო-

დექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასასაბუთებლად მოსარჩელემ უნდა წარადგინოს ცალსახა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს ზიანის გამომწვევ გარემოებებსა და განსაზღვრავს მიყენებული ზიანის ოდენობას. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“, რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. სისხლის სამართლის წარმოებაზე მითითება, ან გარკვეული დოკუმენტების წარმოდგენა, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მასზედ, რომ დადგინდეს კონკრეტული ოდენობით მატერიალური ზიანის დადგომის ფაქტი.

კასატორის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებებით (წერილები, ხელშეკრულებები და ხელშეკრულების შეწყვეტის ბრძანება), რომლებიც გაცემულია საქართველოს შრომის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შესაბამისი დამსაქმებლის, სს „ს...ის“ მიერ, დგინდება, რომ მ. ქ-ას დამსაქმებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2010 წლის 30 ივნისს, შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო 2010 წლის 1 ივლისიდან შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და გათავისუფლდა თანამდებობიდან. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ბრძანება კანონიერ ძალაშია და არც ერთ ეტაპზე დასაქმებულ მ. ქ-ას სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, რაიმე სახით მსჯელობა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან და პროკურატურასთან მიმართებით მოკლებულია ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, რადგან უსაფუძვლოდ იქნა დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მ. ქ-ას მუშაობის შესახებ. ამასთან, გადაწყვეტილება რეალურად არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ, რომ მ. ქ-ასთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა არა ხელშეკრულების ვადის გასვლის (რაც წერილობითი მტკიცებულებებით დგინდება),

არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გამო და რომ არა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, იგი მუშაობას გააგრძელებდა გარკვეული პერიოდი.

კასატორი აღნიშნავს რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სასამართლომ დასკვნა დაამყარა მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტებასა და ასევე მოსარჩელის ინიციატივით დაკითხული მოწმეების ჩვენებებზე. სააპელაციო სასამართლომ სრულად უგულებელყო საქმეში დაცული წერილობითი მტკიცებულებები, რომლითაც დგინდება, რომ მ. ქ-ასთან დამსაქმებელმა შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. შესაბამისად, ერთი მხრივ, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო ნორმების იმგვარი დარღვევა, რომელთა გამო სასამართლომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს გადანაცვეტილება იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი შემოწმება. საქმეში არსებული მტკიცებულებები და გარემოებები ცხადყოფს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიმართ სახეზე არ არის მატერიალური ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) ანაზღაურების დაკისრების ისეთი წინაპირობების ერთობლიობა, როგორიცაა: მართლწინააღმდეგობა, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, მ. ქ-ას საკასაციო საჩივარი სრულად, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაუშვებლად იქნა მიჩნეული. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მატერიალური ზიანის სახით მიუღებელი ხელფასის – 6777 (ექვსი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის ანაზღაურების ნაწილში, დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება

ნანილობრივ და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება მ. ქ-ას სასარჩელო მოთხოვნის – მიუღებელი ხელფასის სახით მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შე-სახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში, საქარ-თველოს გენერალური პროკურატურის დაშვებული საკასაციო სა-ჩივრის გათვალისწინებით, სადავო საკითხს წარმოადგენს მ. ქ-ას უკანონო დაკავებიდან და პატიმრობიდან გამომდინარე, მიუღე-ბელი იძულებითი განაცდურის საფუძვლით, საქართველოს გენე-რალური პროკურატურისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრე-ბის საფუძვლიანობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყველასთვის გა-რანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ად-გილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახური-საგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბ-ლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/630 „სა-ქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლა-მენტის წინააღმდეგ“), „კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის (ამჟამად მოქმედი რედაქციის 18.4 მუხლი) უპირველეს მიზანს წარ-მოადგენს დაზარალებული პირის ინტერესების დაცვა მიყენებუ-ლი ზარალის ანაზღაურების გზით. სახელმწიფო რესურსის მასშტა-ბის, მოცულობის და ბუნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერ ქმედებათა განხორციელება ხშირ შემ-თხვევებში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბი-ექტების მხრიდან განხორციელებულ ანალოგიური სახის ქმედე-ბასთან შედარებით. ამიტომ მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დანესება ხელს უწყობს სახელმწიფოს, ავტონო-მიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და თა-ნამდებობის პირთა თვითნებობის და ძალაუფლების უკანონოდ გა-მოყენების პრევენციას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხ-ლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელ-მწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პი-რისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედე-ბის უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქარ-

თველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.“

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დანაწესით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაუროს მისი მოსამსახურეების მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანი. მითითებული კონსტიტუციური დებულების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით პირს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ამრიგად, ზიანის ანაზღაურებისთვის, პირის ქმედება უნდა ატარებდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და იწვევდეს პირისთვის ზიანის მიყენებას, დამდგარ შედეგსა და უკანონო ქმედებას შორის კი უნდა არსებობდეს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმახორციელებელი პირის ბრალეულობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ქმედების უკანონობა, მიზეზობრივი კავშირი და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. ამდენად ცალსახაა, რომ პირის ქონებრივი უფლებების უკანონო შეზღუდვა იწვევს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

პალატა დამატებით მიუთითებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის 1984 წლის 22 ნოემბრის №7 ოქმის (რათიფიცირებულია საქართველოს

პარლამენტის 23.02.2000წ. №155-III დადგენილებით) მე-3 მუხლზე, რომლის თანახმად, „თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა, ამგვარი მსჯავრდების გამო შეფარდებული სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით“.

საქმის მასალების მიხედვით დადასტურებულია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განაჩენით, მ. ქ-ას მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 05 იანვარს გამოტანილი განაჩენი გაუქმდა – მ. ქ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდა. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე მუშაობდა სს „ს...სში“ სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის 2009 წლის 01 ოქტომბრიდან 2010 წლის 01 ივლისამდე იგი ხელშეკრულების საფუძველზე იკავებდა ს...ის სამსახურის უფროსის თანამდებობას, საიდანაც 2010 წლის 7 ივლისის ბრძანების მიხედვით, გათავისუფლდა 2010 წლის 1 ივლისიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში სადავო საკითხზე სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას და მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აღნიშნული ნორმა შესაძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებების აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში (*restitutio in integrum*). ქონებრივი ზიანის შემთხვევაში მისი დადგენისა და გამოთვლისას გამოიყენება ე. წ. დიფერენციის ჰიპოთეზა, რაც გულისხმობს არსებული ქონებრივი მდგომარეობის შეპირისპირებისა იმ ჰიპოთეზურ ქონებრივ მდგომარეობასთან, რომელიც იარსებებდა დამაზიანებელი შემთხვევის დადგომის გარეშე. ამ შეპირისპირების შედეგად გამოვლენილი ნეგატიური ქონებრივი სხვაობა წარმოადგენს ზიანს. ზიანის გამოთვლისას გასათვალისწინე-

ბელია არა მხოლოდ ქონების რეალურად შემცირებული ღირებულება, არამედ ასევე მიუღებელი შემოსავალიც (*lucrum cessans*), რაც გათვალისწინებულია იმავე კოდექსის 411-ე მუხლით (გ.ბათლიძე, ავტორთა კოლექტივი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი III, გვ. 689, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019 წ.). მითითებული მუხლის თანახმად, უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მატერიალურ ზიანად აკვალიფიცირებს ფაქტობრივად მიყენებულ (რეალურ) ზიანს და მიუღებელ შემოსავალს. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა სსკ-ის 411-ე მუხლის შინაარსში ნაგულისხმევი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულების არსი და აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმა მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად (სუსგ №ას-406-383-2014, 17.04. 2015წ.; №ას-218-210-2013, 10.03.2014წ.; №ას-406-383-2014, 17.04. 2015წ.).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა მტკიცების სტანდარტი განაპირობებს იმას, რომ მტკიცებულებებისა და გარემოებების კომპლექსურად შეფასებით მიუღებელი შემოსავლის აბსტრაქტულად არსებული შინაარსის მოთხოვნა იქცევა რეალურად არსებულ ზიანად. იმისათვის, რომ შემოსავალი რეალურად მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. ზიანის ანაზღაურების (როგორც ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისის, ასევე მიუღებელი შემოსავლის) მოვალეობის დაკისრების უმთავრესი წინაპირობა მიზეზობრივი კავშირია მოვალის ქმედებასა და ქმედების შედეგად დამდგარ ზიანს შორის, რაც დგინდება ე.წ. ეკვივალენტურობის პრინციპის საფუძველზე, ანუ ქმედება უნდა იყოს შედეგის ეკვივალენტური (*condicio sine qua non*). მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი შეიძლება აერთიანებდეს ერთ ან რამდენიმე, შემთხვევით ან მოსალოდნელ, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიზეზს. პალატა აღნიშნავს, რომ

მიზეზშედევობრივი კავშირისას უმნიშვნელოვანესია მიზეზებისა და დამდგარი შედეგის ფაქტობრივი ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნით, დაზარალებული პირი ვალდებულია, დაამტკიცოს როგორც ზიანის არსებობა, აგრეთვე მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მიზეზობრივი კავშირი, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ქმედების მართლზომიერება და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები. ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად იმ პირმა, ვისაც ზიანი მიადგა, უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რათა დაამტკიცოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ზიანის არა მარტო არსებობა, არამედ მისი რაოდენობა და ღირებულება. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია რეალური ზიანის ზუსტი გამოანგარიშება, სასამართლო გამოანგარიშებას განხორციელებს მის ხელთ არსებული ფაქტების საფუძველზე.

ამრიგად, პალატა მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებზე, ზიანის არსებობა/არარსებობისა და ოდენობის დასადგენად მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების საკითხიც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სადავო გარემოებების მტკიცების გარკვეულ სტანდარტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში, რომლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამრიგად, მხარე ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) სათანადო მტკიცებულებების წარდგე-

ნის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადანონის, ისევე როგორც მოსარჩელის მხოლოდ ახსნა-განმარტება ვერ იქნება მიჩნეული სათანადო მტკიცებულებად, იმ დროს, როდესაც მის მიერ მითითებული ფაქტის დასადასტურებლად წარსადგენია დავის საგანთან რელევანტური წერილობითი მტკიცებულებები.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებდა იმ გარემოებაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე იყო დასაქმებული შპს „ს...აში“ და შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, 2010 წლის 1 ივლისიდან მისი გათავისუფლების მიუხედავად, ფაქტობრივად აგრძელებდა საქმიანობას, შესაბამისად ეჭვმიტანილის სახით დაკავებაც სამუშაო ადგილზე განხორციელდა 2010 წლის 5 ივლისს, რაც დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებებით.

მნიშვნელოვანია, რომ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით, კერძოდ შპს „ს...ის“ 2010 წლის 07 ივლისის №99/კ ბრძანების მიხედვით, მოსარჩელე მ. ქ-ა სადავო პერიოდში მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2010 წლის 1 ივლისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოცემულ შემთხვევაში როგორც დამსაქმებელმა, ასევე მოსარჩელემ გამოხატეს ხელშეკრულების შეწყვეტის ნება, აღნიშნული ბრძანება ძალაშია და დასაქმებულის მიერ არ არის გასაჩივრებული, შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მიღებული იურიდიული დოკუმენტი კანონიერი და მასში გამოხატული ნების სხვაგვარად შეფასება ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ სამართლებრივად შეუძლებელია. ამ მტკიცებულების მიხედვით, სადავო არ არის ის გარემოება, რომ მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ განსაზღვრული ვადით შრომით ურთიერთობაში და გააჩნდათ კონკრეტული უფლება-მოვალეობები, შესაბამისად მხოლოდ სამუშაო ადგილზე ყოფნა არ ქმნის საფუძველს დასკვნისათვის, რომ ეჭვმიტანილის სახით დაკავებისას, მ. ქ-ა შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა მის დამსაქმებელთან და ამ გარემოებაზე მითითებით შესაძლებელი იყოს დადასტურდეს საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მატერიალური ზიანის მოსარჩელეზე მიყენების ფაქტი.

საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის ფაქტობრივად გაგრძელებულად მიჩნევის დასადასტურებლად სააპელაციო

პალატა დაეყრდნო მოწმეთა ჩვენებებსა და დაკავების ოქმს, თუმცა აღნიშნული მტკიცებულებები, მ. ქ-ასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ 2010 წლის 07 ივლისის №99/კ ბრძანების ძალაში ყოფნის პირობებში, არ წარმოადგენს იმ სახის მტკიცებულებას, რომლითაც შესაძლებელია შრომითსამართლებრივი ურთიერთობის დადასტურება კომპანიასა და დასაქმებულს შორის. ამრიგად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ მარეაბილიტირებული გარემოების არარსებობის პირობებში, მ. ქ-ა 2010 წლის 1 ივლისიდან მიიღებდა შემოსავალს ხელფასის სახით. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არ დასტურდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების შედეგად მ. ქ-ასათვის მიყენებული ზიანის არსებობა, გამოირიცხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებულ საპროცესო ღონისძიებებსა და შემოსავლის მიუღებლობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რაც მოსარჩელისათვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მაგალდებულებელი პირობა შეიძლება გამხდარიყო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამავე კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებების არასრული და არასწორი შეფასების შედეგად სადავო საკითხზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც ქმნის საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ამ ნაწილში ახალი გადანყვეტილების მიღების წინაპირობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება მ. ქ-ას სასარჩელო მოთხოვნის – მატერიალური ზიანის სახით მიუღებელი ხელფასის – 6777 (ექვსი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი მ. ქ-ას სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 6777 (ექვსი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. მ. ქ-ას სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 6777 (ექვსი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის ანაზღაურების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ქ-ას სარჩელი მიუღებელი იძულებითი განაცდურის საფუძველით მატერიალური ზიანის საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა

გაღანყვატილება საქართველოს სახელით

№ბს-1121(კ-21)

10 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. აბუსერიძე,

ბ. სტურუა

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 22 თებერვალს შპს „...მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა კოლეგიას, მოპასუხის – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მის საკუთრებაშია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 4800 კვ.მ ფართით, მდებარე: ქალაქი რუსთავი, ...ის ქუჩა ...-ში, სადაც განლაგებულია ...ო. საწარმო დაკავებულია სამრეწველო მასალის დამზადების, შესყიდვისა და რეალიზაციით. 2018 წლის მაისის თვიდან მოპასუხემ დაიწყო ...ის ქუჩის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რის შედეგადაც გადაკეტილ იქნა საავტომობილო გზის დიდი მონაკვეთი. აღნიშნულმა კი გამოიწვია შპს „...ის“ საკუთრებაში არსებული საწარმოს საქმიანობის პარალიზება გზის არქონის გამო. ამ პერიოდიდან დაწყებული საწარმოს სამრეწველო ბრუნვა თითქმის ნულს გაუსწორდა და გაკოტრების პირას დადგა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს თმენის ვალდებულებისათვის თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, რაზედაც ეთქვა უარი იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს ზიანის არ მიუღია.

ამდენად, მოსარჩელემ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის შპს „...ის“ სასარგებლოდ 30 000 ლარის ოდენობით თანხის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 აპრილის განჩინებით შპს „...ის“ სარჩელი მოპასუხე რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „...ი“ რეგისტრირებულია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და მისი იურიდიული მისამართია ქალაქი რუსთავი, ...ის ქ. №14-5.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ე...ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №06/96 ხელშეკრულება ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის ა/ბეტონის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების შესახებ. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 29 ოქტომბრიდან 2020 წლის 1 ოქტომბრამდე.

ასევე, 2020 წლის 14 აპრილს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტე-

ტის მერიასა და შპს „ე...ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის №06/20 ხელშეკრულება ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის საფარის და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო (...დან ...მდე) სამუშაოების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 60 დღე, 2020 წლის 13 ივნისის ჩათვლით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის 15 აგვისტოს და 22 ოქტომბერს მოსარჩელემ მიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას მიყენებული ზიანის კომპენსაციის მოთხოვნით, რაზეც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2019 წლის 17 სექტემბრის №02/13154 წერილით მას ეცნობა, რომ საკითხის სრულად შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით, უნდა წარედგინა მიყენებული ზიანის სახის, მისი ოდენობისა და დადგენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო 2019 წლის 28 ოქტომბრის №02/14964 წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ წარდგენილი ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემიდან არ ადასტურებდა ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, შპს „...ის“ მიმართ პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტს.

საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩაზე მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრეს და რომ ამ მისამართზე არსებული წარმოების შეფერხების გამო ზიანი მიაღდა სხვა მისამართზე რეგისტრირებულ კომპანიას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 174-ე, 175-ე მუხლებზე და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი თმენის ვალდებულებას ითხოვს, თუკი მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომდინარე ზემოქმედებანი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში. სასამართლოს შეფასებით, სამეზობლო ურთიერთპატივისცემის ერთ-ერთ ელემენტს კანონით დადგენილი წესის და აკრძალვების დაცვა წარმოადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ვ“, და „კ“ ქვეპუნქტებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ...ის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი მიმდინარეობდა 2018 წლის მაისიდან 2019 წლის ნოემბრამდე, ხოლო 2020 წლის 13 ივნისს დასრულდა მეორე ეტაპი. მითითებულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის გზის საფარისა და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება სწორედ მუნიციპალი-

ტეტის საკუთარ, ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნებოდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელებული იყო ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 2 აგვისტოს №02/10760 წერილის შინაარსზე გზის სავეალი ნაწილის გადაკეტვის საჭიროების შესახებ და მიიჩნია, რომ ...ის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, მიმდებარე ტერიტორიის პარალიზება არ მომხდარა და მერიის მიერ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის დასახელდა ალტერნატიული ქუჩა. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარეს არც იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოუდგენია, რომ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების არარსებობის პირობებში, სანარმო 30 000 ლარს მიიღებდა.

ამასთან, სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, უნდა გამოდინარეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებიდან და არსებობდეს ბრალეული, განზრახ ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული ორგანოს მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ ადმინისტრაციული ორგანო შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას ან/და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ზიანის თავიდან აცილების მიზნით. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების (სარეაბილიტაციო სამუშაოების) მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი და საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე, დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელეს (სანარმოს) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოს წარმოების პერიოდშიც ჰქონდა ბრუნვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს

„...ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის გადახდა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დაკისრება. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის არგუმენტად ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის იმ მოსაზრებაზე, რომ მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 174-ე-175-ე მუხლებს. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლო შეზღუდული არ არის მოსარჩელის (აპელანტის) მოთხოვნის ვიწრო ფორმულირებით. რამდენადაც ცალსახა იყო მისი სამართლებრივი მიზანი, სასამართლომ შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიიჩნია სადავო საკითხის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლზე და განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც კანონშესაბამისი საჯარო-სამართლებრივი ქმედება არ არის პირდაპირ და უშუალოდ მიმართული ადრესატის საკუთრების უფლების შეზღუდვისკენ, თუმცა ეს შეზღუდვა შედეგობრივად, როგორც გვერდითი მოვლენა, ისე იჩენს თავს.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარე მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული ქმედებიდან გამომდინარე, უპირველესად, უნდა დადგენილიყო და შეფასებულიყო, სახეზე იყო თუ არა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ვინაიდან ამ შედეგის გათვალისწინებით, უნდა განსაზღვრულიყო მოცემული დავისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი – არსებობდა თუ არა მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ. მხოლოდ ზიანის არსებობის ფაქტი არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ამ ზიანის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს, რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო ადმინისტრაციული ორგანოს ქმე-

დებასა და დამდგარ შედეგს (ზიანი) შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი განსხვავდება 208-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანისაგან იმით, რომ 208-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის საფუძველი ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მოქმედებაა, ხოლო 209-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების კი პირიქით – კანონიერი მოქმედება.

იმისათვის, რათა დადგენილიყო, სახეზე იყო თუ არა ამგვარი ზიანის ანაზღაურების წარმოშობისათვის აუცილებელი პირველი პირობა – ქმედება, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ვ“, და „კ“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის გზის საფარის და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება სწორედ მუნიციპალიტეტის საკუთარ, ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. ასევე, დადგენილი იყო და არ იყო სადავო ის გარემოება, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელებული იყო ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დაცული მონაცემებით, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის №4-ში მდებარე 4800.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (შენობა-ნაგებობა №1 (ადმინისტრაციული შენობა) – ფართით 204.93 კვ.მ; შენობა-ნაგებობა №2 – ფართით 295.77 კვ.მ; შენობა-ნაგებობა №3 (სასადილო) – ფართით 59.36 კვ.მ; შენობა-ნაგებობა №4 (სასილო-სე, სანყოფები) – ფართით 78.36 კვ.მ; შენობა-ნაგებობა №5 (ქვე-

სადგური) – ფართით 14.96 კვ.მ; შენობა №6 – არასაცხოვრებელი ფართი 35.1 კვ.მ) მესაკუთრეს წარმოადგენდა შპს „...ი“.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოში მიუთითა, რომ საქმის განხილვის ეტაპზე წარმოდგენილ იქნა ფერადი ფოტოსურათები, რომელზეც აღბეჭდილი იყო ქალაქ რუსთავში ...ის ქუჩა, როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებამდე, ასევე, სამუშაოების შესრულების შემდეგ. ფოტოსურათებზე აღდგენილ გზის საფართან ერთად, ასევე, აღბეჭდილი იყო შენობა-ნაგებობა, რომელიც, მხარეთა განმარტებით, წარმოადგენდა სწორედ შპს „...ის“ საკუთრებაში არსებულ ...ოს, სადაც შპს „...ი“ ახორციელებდა სამრეწველო მასალის დამზადებას, შესყიდვასა და რეალიზაციას.

მითითებული მტკიცებულებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის №4-ში მდებარე 4800.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა წარმოადგენს შპს „...ის“ საკუთრებას. აღნიშნული კი აქარწყლებდა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ ვერ დგინდებოდა ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩაზე უძრავი ნივთის მოსარჩელის საკუთრებაში არსებობისა და ამ ტერიტორიაზე საქმიანობის შეფერხებით ზიანის წარმოშობის ფაქტი. ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტის კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მიმდებარედ (ქალაქი რუსთავი, ...ის ქუჩა) განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები და ვადები მხარეთა მიერ სადავო არ გამხდარა.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ შპს „...ის“ 2019 წლის 22 ოქტომბრის წერილზე, რომლითაც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემები, 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით. წერილში მითითებული იყო, რომ ბრუნვათა შედეგი შეადგენს 79 536.03 ლარს. ადმინისტრაციულ ორგანოს ეცნობა, რომ ბოლო სამ წელიწადში შემოსავალმა შეადგინა სულ 86 720 ლარი. აქედან 2016 წელს – 12063 ლარი; 2017 წელს – 10 603 ლარი, ხოლო 2018 წელს – 64 074 ლარი, ზარალი შეადგენს საშუალოდ 29 000 ლარს. მონაცემების წარდგენასთან ერთად, მოთხოვნილ იქნა საკითხის შესწავლა, რამაც წარმოება მიიყვანა გაკოტრებამდე.

ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 28 ოქტომბრის №02/14964 წერილით, შპს „...ის“ დირექტორს ეცნობა, რომ მათ მიერ წარდგენილი ინფორმაცია, კერძოდ, შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემიდან წარდგენილი მო-

ნაცემები არ ადასტურებდა ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე, მერიის მიერ შპს „...ის“ მიმართ პირდაპირ და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას განემარტა, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა 29 000 ლარის ოდენობით ზარალის ანაზღაურების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობით/ცნობებით დაადგინა 2017 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში შპს „...ის“ შემოსავლების ბრუნვა. საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ შპს „...ის“ მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად წარდგენილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციების მიხედვით, 01.01.2017წ.-დან 31.12.2017წ.-ის ჩათვლით პერიოდში ბრუნვა შეადგენდა 9172.86 ლარს, ხოლო დღგ-ს დასაბეგრი ბრუნვა – 9172.86 ლარს.

ასევე, შპს „...ის“ მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად წარდგენილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციების მიხედვით, 01.01.2018წ.-დან 29.01.2021წ.-ის ჩათვლით პერიოდში ბრუნვა შეადგენდა 72 499.17 ლარს, ხოლო დღგ-ს დასაბეგრი ბრუნვა – 5277.44 ლარს.

ამასთან, შპს „...ის“ მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარდგენილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციების მიხედვით, 01.01.2019წ.-დან 01.10.2019წ.-ის ჩათვლით პერიოდში ბრუნვა შეადგენდა 6109.56 ლარს, ხოლო დღგ-ს დასაბეგრი ბრუნვა – 947.16 ლარს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე აპელანტის მიერ წარმოდგენილ იქნა შპს „...ის“ 2018 და 2019 წლის მოგების შედარებითი გაანგარიშება (დაზუსტებული მონაცემები), სადაც მითითებულია შემდეგი: 2018 წლის 1 იანვრიდან ივნისამდე კომპანია მუშაობდა შეუფერხებლად. რეალიზაციიდან შემოსავლებმა შეადგინა – 57494 ლარი. მას შემდეგ, რაც შეიქმნა შემაფერხებელი მდგომარეობა ...ის ქუჩის სარეაბილიტაციო მშენებლობის გამო, მაისის თვიდან შპს-მ შეწყვიტა ჩვეული საქმიანობა, რომელიც მასალის ტრანსპორტირებასთან იყო დაკავშირებული. 2018 წლის ივნისიდან 2019 წლის ნოემბრამდე კომპანიამ გააგრძელა მხოლოდ იმ გაყიდვების შესრულება, რომლის გატანა ტრანსპორტის გარეშე, ხელით იყო შესაძლებელი. ამ პერიოდში შემოსავალმა შეადგინა მხოლოდ 6759 ლარი და შპს-მ მიიღო ზარალი. სააპელაციო

სასამართლოს განმარტებით, გაანგარიშებაში დეტალურად იყო მითითებული 2018 წლის 1 იანვრიდან 31 მაისამდე, ასევე, 1 ივნისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდის მოგება და ზარალი, კერძოდ, 01.01.18წ. – 31.05.18წ.: შემოსავალი – 48 724 ლარი; შესყიდვები – 4975 ლარი; კომუნალური – 2126 ლარი; ბიუჯ.გად – 5549 ლარი; სულ ხარჯი – 12 650 ლარი; მოგება – 36 074 ლარი; რაც შეეხება 01.06.18 – 31.12.18 წელს, შემოსავალი – 5727 ლარი; შესყიდვები – 5791 ლარი; კომუნალური – 2978 ლარი; ბიუჯ.გად – 735 ლარი; სულ ხარჯი – 9504 ლარი; ზარალი – 3777 ლარი. მოგების შედარებითი გაანგარიშების თანახმად, გზის მშენებლობის ხანგრძლივობის გამო, 2019 წელს შპს „...მა“ მიიღო ზარალი 3215 ლარის ოდენობით. შემოსავალი – 7567 ლარი, სულ ხარჯი – 10782 ლარი.

შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შპს „...ის“ დირექტორის ზემოაღნიშნული გაანგარიშებით, 2018 წლის ივნისიდან 2019 წლის ბოლომდე მოსალოდნელი მზარდი მოგების ნაცვლად, მიღებულ იქნა გაუთვალისწინებელი ზარალი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქონების ფლობის ისეთი შეზღუდვა, რომელიც ადრესატს წარმოუშობს განსაკუთრებულ ქონებრივ მსხვერპლს, რაც არსებითად სცილდება საზოგადოებრივ-სოციალურ ადეკვატურობას, ანუ წარმოქმნის ადრესატის არსებით ქონებრივ დანაკლისს ან არსებითად ართმევს მას სამომავლო მოგების შესაძლებლობას, თავის მხრივ, წარმოადგენს საკუთრების უფლების თუნდაც ნაწილობრივ ჩამორთმევას ან არსებითად უთანაბრდება მას ანდა შესაძლოა წარმოადგენდეს საკუთრების გამოყენების კონტროლსაც. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ არ განახორციელა კერძო საკუთრებაში არსებული ქონებით თავისუფალი სარგებლობის შეზღუდვა, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხანგრძლივობით, ისეთი ხარისხით შეზღუდა ქონებით თავისუფალი სარგებლობის შესაძლებლობა, რომ მესაკუთრეს წაერთვა მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ სივრცეში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, შპს „...ის“ მიერ, კერძო საკუთრების ფუნქციურად/სამეწარმეო მიზნებისათვის გამოყენების შეზღუდვა შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო კანონიერი მმართველობითი ქმედების გაუთვალისწინებელ გვერდით მოვლენად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ კანონიერი მმართველობის ღონისძიება არა მიზანმიმართულად, არამედ ფაქტობრივად და ირიბად იწვევდა საკუთრების უფლების შეზღუდვას. თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ღონისძიება უშუალოდ არ იყო მიმართული ობიექტი-

სადმი, მაგრამ შედეგად იწვევდა საკუთრების უფლების უშუალო ხელყოფას.

სააპელაციო პალატამ განმეორებით გაამახვილა ყურადღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს ბრალის გარეშე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს და განმარტა, რომ თუკი სახელმწიფო საერთო საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოების ერთ ან რამდენიმე წევრს, სახელმწიფო ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი, ვინაიდან სახელმწიფო ვალდებულია, თანასწორად მოეპყროს საზოგადოების ყველა წევრს და საერთო საზოგადოებრივი ინტერესით გამართლებული არათანაბარი მოპყრობის შემთხვევაში, იკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქმედების კანონშესაბამისად მიჩნევისა და საერთო საზოგადოებრივი ინტერესით გამართლებისათვის, სახელმწიფო ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც აღნიშნული ინტერესის უზრუნველყოფისას მიაყენა მოსარჩელე შპს „...ის“ კერძო ინტერესს, რათა დაიცვას სამართლიანი ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესს შორის. იმ პირობებში კი, როდესაც მოსარჩელეს (აპელანტს) მისი საკუთრების სამენარმეო მიზნებისათვის გამოყენების ხელყოფისათვის არ მიუღია სათანადო კომპენსაცია და აღნიშნული გარემოება (კომპენსაციის მიუღებლობა) დასტურდება საქმეში წარმოდგენილი წერილებით, სახეზეა სამართლიანი ბალანსის დარღვევა საკუთრების უფლების დაცვასა და ზოგადი ინტერესების მოთხოვნას შორის, რაც წარმოადგენს ხელყოფის არამართლობიერად მიჩნევის საფუძველს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლო ფორმალურად მიუდგა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქმედების კანონიერების შეფასებას, რითაც წინააღმდეგობაში მოვიდა მერიის საქმიანობის მიზნებთან და პრინციპებთან.

რაც შეეხება მოთხოვნის მოცულობას, კერძოდ იმ გარემოებას, რომ ზიანის ანაზღაურების სახით მოსარჩელე (აპელანტი) შპს „...ი“ ითხოვდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მის სასარგებლოდ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურების დაკისრებას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერებით დგინდებოდა დღ-ით დასაბეგრი ბრუნვის შემცირება, ასევე, საქმეში წარმოდგენილი შპს „...ის“ 2018-2019 წლების მოგების შედარებითი გაანგარიშებით დასტურდებოდა სამენარმეო საქმიანობის შეფერხებით გამოწვეული ზარალი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის №4-ში სავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე (2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 მაისამდე) შპს „...ის“ მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობით მოგება შეადგენდა 36 074 ლარს, ხოლო ზარალი – 3 777 ლარს. რაც შეეხება 2019 წელს, შპს „...მა“ მიიღო შემოსავალი 7567 ლარის ოდენობით, ხოლო განიცადა 3215 ლარის ზარალი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ სამუშაოების დაწყებამდე სანარმოს შემოსავალი და დაწყების შემდგომ ზარალი აჭარბებდა 40 000 ლარს. მითითებული მტკიცებულებებით საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების შედეგად დადგენილი ზარალის, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის რეგულაციის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილების და შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის დაკისრების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც სხვა პირს შესაძლებელია მისდგომოდა ზიანი. სააპელაციო სასამართლო ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კერძო პირთან გაფორმებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად განიხილავს, თუმცა დასახელებული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ წარმოადგენს სამართლებრივად ერთი და იმავე შინაარსის დოკუმენტს, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს ერთგვაროვანი შედეგები.

კასატორის განმარტებით, შესაძლებელია, სააპელაციო პალატას გამოეყენებინა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-

დექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი, თუმცა რამდენადაც სასამართლო თავიდანვე გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობას, სამართლებრივად ველარ ამართლებს შპს „...ის“ სარჩელს 208-ე მუხლით. ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით კერძო პირის მიერ კანონიერად განხორციელებულ ქმედებას (გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს) აფასებს ირიბად, საკუთრების უფლების ხელყოფად და შეზღუდვად, რაც არასწორია და ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ შეუსწავლია და გამოუკვლევია საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები.

კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და მის საფუძველზე აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი აწევს იმ მხარეს, რომელიც მითითებულ ფაქტებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილი კი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად მატერიალური კანონით გათვალისწინებულია მტკიცების სტანდარტი. განსახილველ შემთხვევაში, დასადგენი იყო სწორედ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან შპს „...ის“ მიმართ, მისი ფინანსური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, ზიანის მიყენების ფაქტი.

კასატორი, ასევე, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლზე და განმარტავს, რომ დასახელებული ნორმით დადგენილია მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების წესი. სასამართლომ მტკიცებულებები უნდა შეაფასოს ყოველმხრივ, სრულად, ურთიერთშეჯერებით, მიუკერძოებლად და ობიექტურად; კრიტიკულად უნდა განიხილოს დასადგენი გარემოებების შესახებ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

კასატორი განმარტავს, რომ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა კი არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს, იგი არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ამასთან, კასატორის შეფასებით, სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული.

კასატორი აღნიშნავს, რომ მნიშვნელობას იძენს ისიც, მიიჩნევა თუ არა დადასტურებულად ზიანის ოდენობა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ განუხორციელებია კომპანიის ბალანსისა და მოგება-ზარალის შეფასება (არც დამოუკიდებელი აუდიტორი ჩაურთავს საქმეში), არ შეუსწავლია, ნამდვილად ჰქონდა თუ არა შპს „...ს“ კომუნალური გადასახადი იმ ოდენობით, რაც მხარემ მიუთითა, რამდენს შეადგენს შპს „...ის“ ადმინისტრაციული ხარჯები. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია, ჰქონდა თუ არა შპს „...ს“ მესამე პირების მიმართ ვალდებულებები, რამდენს შეადგენდა 2018 წლამდე კომპანიის წმინდა მოგება ან/და განაწილებული მოგება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა გარემოებები, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა მართებულად გამოყენებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლი, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები, რის შედეგადაც, სააპელაციო სასამართლომ შპს „...ის“ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო გარემოებებით დააკმაყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 13 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 აპრილის განჩინებით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ის“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკაცაციო სასამართლო, უპირველესად, აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ნორმატიული მოწესრიგება საქართველოს კონსტიტუციიდან იღებს სათავეს. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ანალოგიური შინაარსის დათქმას ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამ ნორმით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე, პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ყველას ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს და მიიღოს ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. გარდა ამისა, ყველასთვის არის უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება – სასამართლოსათვის მიმართვა. ნათლად არის დადგენილი ანაზღაურების მასშტაბებიც – ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე, „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ზარალის ანაზღაურების უფლებას რამდენიმე წინაპირობის არსებობას უკავშირებს: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს

პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა განამტკიცებს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას. საგულისხმოა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამდგენი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმა მიემართება უკანონო ქმედების შედეგად ზიანის მიყენების შემთხვევებს და ანაზღაურების ფარგლებსაც სწორედ ამ პირობებით ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის კონსტრუქცია და მისი შინაარსი, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ იმისათვის, რათა წარმოიშვას სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების მოთხოვნის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, არსებითია დადასტურებულ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედების უკანონობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით (207-209-ე მუხლები) გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დამდგენი საკანონმდებლო მოწესრიგება სრულად ასახავს კანონმდებლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით (ძველი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი) გამოხატულ სულისკვეთებას. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

ამავე კოდექსის 209-ე მუხლის მიხედვით კი, თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელ-

მნიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი ვალდებულია აანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მაშინ, როდესაც ამავე კოდექსის 209-ე მუხლი ადგენს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობას კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/ქმედებით ზიანის გამოწვევის შემთხვევაში. საგულისხმოა, რომ ხსენებულ ორ შემთხვევაში, პრინციპულად განსხვავებულია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების სამართლებრივი ბუნება და შედეგები, ასევე, სხვა წინაპირობები, რომელთა არსებობის დადასტურებაც აუცილებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველიანად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია და სადავო არ არის ის გარემოება, რომ ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩის საფარისა და სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები სწორედ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის თაოსნობით იქნა განხორციელებული, კერძოდ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ე...ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები. თავის მხრივ, მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება არა აღნიშნული პროექტის შესრულების პროცესში მუნიციპალური ორგანოს ან სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი იურიდიული პირის მხრიდან განხორციელებული რომელიმე ქმედების უკანონობას და ასეთი ქმედებით ზიანის მიყენების შემთხვევას, არამედ იმ ფაქტს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულებამ შედეგად სანარმოს ფუნქციონირების გარკვეული პერიოდით შეფერხება გამოიწვია. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ წარმოდგენილი სარჩელი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს, კერძოდ, შპს „...ი“ პრაქტიკულად ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს. ასეთ პირობებში, სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მიერ მოთხოვნის დასასაბუთებლად მითითებული სამართლებრივი საფუძვლებით, რასაც მოწმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის

2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ოქტომბრის №ბს-932(2კ-20) გადაწყვეტილება). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის გამოყენების პროცესუალური შესაძლებლობა. მის საწინააღმდეგოდ და ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, მოსარჩელის მიერ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი იურიდიული ინტერესის მხედველობაში მიღებით, მოთხოვნისათვის მიესადაგებინა რელევანტური სამართლებრივი ნორმა და მისი საფუძვლიანობა სწორედ ამ ნორმის ფარგლებში შეემოწმებინა. პარალელურად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, სწორედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლია ის სამართლებრივი ნორმა, რომლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევაც შპს „...ს“ სურს.

საკასაციო სასამართლო განმეორებით მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი ვალდებულია ანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არსებითია ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი/განხორციელებული ქმედება მიმართული იყოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაყოფილებისაკენ; პირის კანონით დაცული უფლებისა თუ კანონიერი ინტერესის შეზღუდვით იგი უნდა იწვევდეს მნიშვნელოვან ზიანს; თავის მხრივ, აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებასა და დამდგარ მნიშვნელოვან ზიანს შორის.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზ-

ლაურების ნორმატიულ მოწესრიგებასთან შედარებით, განსხვავებულია კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/ქმედებით მიყენებული ზიანის სამართლებრივი ბუნება, კერძოდ, ასეთ შემთხვევაში, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ არსებითი, მნიშვნელოვანი ხასიათის ზიანი. თავის მხრივ, განსხვავებულია ზიანის მოცულობაც: თუკი სახელმწიფოს მხრიდან უკანონოდ მიყენებული ზიანი სრულად უნდა იქნეს ანაზღაურებული, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების სხვაგვარ ფარგლებს – ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე და იგი არ არის სრული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო და კერძო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირებისა და ურთიერთდაბალანსების საჭიროების იმპლემენტაციით კანონმდებელმა პრაქტიკულად დაწერა პრინციპი, რომ მართალია, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ქმედება მიმართულია საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ, თუმცა პირი, რომელსაც ადგება ზიანი, თავის მხრივ, მოვალეა დასაშვებ ფარგლებში ითმინოს მმართველობითი საქმიანობის შედეგები და ამ გზით საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო საზოგადოებრივ საქმეში. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საჯარო, საზოგადოებრივი ინტერესი კერძო ინტერესთა ერთობლიობით გამოიხატება და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მმართველობითი ღონისძიებაც, პრაქტიკულად, ამ ღონისძიების ფარგლებით მოცული თითოეული პირის, მათ შორის, ზიანის ადრესატის ინტერესებში ხორციელდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებამ შეაფერხა შპს „...ის“ სამეწარმეო საქმიანობა, რამაც შეამცირა კომპანიის მოგება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო შედავება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა ან გააქარწყლებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას. შესაბამისად, საკასაციო სა-

სამართლო დამტკიცებულად მიიჩნევს შპს „...ის“ მიმართ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის კანონიერი ქმედებით ზიანის მიყენების ფაქტს.

მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მხრიდან ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებას. საკასაციო სასამართლო, ასევე, არ ეთანხმება სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ საჯარო და კერძო ინტერესთა ურთიერთბალანსი მხოლოდ მიყენებული ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურების შემთხვევაში მიიღწევა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაზარალებული მხარის მხრიდან განუვლი თმენის ერთგვარ კომპენსირებას ემსახურება. შესაბამისად, საჯარო და კერძო ინტერესთა დაბალანსება გულისხმობს მაქსიმალური სიზუსტით გამაშუალებელი, გამანონასწორებელი მდგომარეობის მოძებნას, რომელიც, ერთი მხრივ, დააკომპენსირებს კერძო პირის შეზღუდულ კანონიერ ინტერესს და მის თმენას, ხოლო, მეორე მხრივ, გადაჭარბებულ, გამოუსწორებელ ზეგავლენას არ იქონიებს საჯარო მმართველობითი ღონისძიების ეფექტურობაზე და ამ მხრივ, საფრთხეს არ შეუქმნის საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ მიმართული მოქმედების განხორციელებას. ნებისმიერ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსათვის სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად გამოწვეული ირიბი შედეგების ყველა პირისათვის სრული კომპენსირების დავალდებულებამ, შესაძლოა, ნეგატიური ასახვა ჰქონდეს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სიხშირესა და ხარისხზე, ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა საგრძნობლად გაზარდოს სარეაბილიტაციო მიზნით გათვალისწინებული ფინანსური სახსრები და შედეგად, გამოიწვიოს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმართ ადმინისტრაციული ორგანოების თავშეკავება. ამდენად, ასეთ შემთხვევაში, კომპენსირებას ექვემდებარება არა სრული მოგება, რომელსაც, მაგალითად, საწარმო ნორმალური ფუნქციონირების პირობებში მიიღებდა, არამედ ზიანი მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე სამეწარმეო სუბიექტის არსებობისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე აპელანტის მიერ წარმოდგენილ იქნა შპს „...ის“ 2018 და 2019 წლის მოგების შედარებითი გაანგარიშება (დაზუსტებული მონაცემები), რომელშიც მითითებულია შემდეგი: 2018 წლის 1 იანვრიდან ივნისამდე კომპანია მუშაობდა შეუ-

ფერხებლად. რეალიზაციიდან შემოსავლებმა შეადგინა – 57494 ლარი. მას შემდეგ, რაც შეიქმნა შემაფერხებელი მდგომარეობა ...ის ქუჩის სარეაბილიტაციო მშენებლობის გამო, მაისის თვიდან კომპანიამ შეწყვიტა ჩვეული საქმიანობა, რომელიც მასალის ტრანსპორტირებასთან იყო დაკავშირებული. 2018 წლის ივნისიდან 2019 წლის ნოემბრამდე კომპანიამ გააგრძელა მხოლოდ იმ გაყიდვების შესრულება, რომლის გატანა ტრანსპორტის გარეშე, ხელით იყო შესაძლებელი. ამ პერიოდში შემოსავალმა შეადგინა მხოლოდ 6759 ლარი და შპს-მ მიიღო ზარალი. გაანგარიშებაში მითითებულია 2018 წლის 1 იანვრიდან 31 მაისამდე, ასევე, 1 ივნისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდის მოგება და ზარალი, კერძოდ, 01.01.18წ. – 31.05.18წ.: შემოსავალი – 48 724 ლარი; შესყიდვები – 4975 ლარი; კომუნალური – 2126 ლარი; ბიუჯ.გად – 5549 ლარი; სულ ხარჯი – 12 650 ლარი; მოგება – 36 074 ლარი; რაც შეეხება 01.06.18 – 31.12.18 წელს, შემოსავალი – 5727 ლარი; შესყიდვები – 5791 ლარი; კომუნალური – 2978 ლარი; ბიუჯ.გად – 735 ლარი; სულ ხარჯი – 9504 ლარი; ზარალი – 3777 ლარი. მოგების შედარებითი გაანგარიშების თანახმად, გზის მშენებლობის ხანგრძლივობის გამო, 2019 წელს შპს „...მა“ მიიღო ზარალი 3215 ლარის ოდენობით. შემოსავალი – 7567 ლარი, სულ ხარჯი – 10 782 ლარი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, 2018 წლის ივნისიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შპს „...მა“ მიიღო ზარალი 3777 ლარის ოდენობით, ხოლო 2019 წელს კომპანიამ იზარალა 3215 ლარით; სულ ზარალის ოდენობამ შეადგინა 6992 ლარი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობითა და საწარმოს 2018 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის ჩათვლით პერიოდზე განცდილი ზარალის მხედველობაში მიღებით, საჯარო და კერძო ინტერესთა ურთიერთდაბალანსების პირობებში, გონივრულად და საკმარისად მიიჩნევს შპს „...ის“ 15 000 ლარის ოდენობით კომპენსირების საჭიროებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ის“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის გადახდა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე,
რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა,
რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება,
ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული
იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისა-
გან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში
აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთ-
ხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილე-
ბით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთ-
ხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს
უარი ეთქვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვ-
ნას წარმოადგენდა მოპასუხე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერიისათვის 30 000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების და-
კისრება. შპს „...ის“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა
15 000 ლარის ნაწილში, შესაბამისად, მოპასუხეს დაევალა სარჩე-
ლით მოთხოვნილი თანხის ნახევრის ანაზღაურება. ამდენად, ზე-
მოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, სა-
კასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს – ქალაქ რუსთავის მუ-
ნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის – შპს „...ის“ სასარგებლოდ
უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ საქალაქო და სააპელაციო სა-
სამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით
გადახდილი 2100 (900+1200) ლარის ნახევრის – 1050 ლარის ანაზ-
ღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-
წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე
მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩი-
ვარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტი-
ლება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „...ის“ სასარ-

გებლოდ დაეკისროს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის გადახდა;

5. მოპასუხეს – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის – შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2100 (900+1200) ლარის ნახევრის – 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-410(3კ-20)

15 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დაგეგმვა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. მ-ამ 2017 წლის 09 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ მოითხოვა ნ. მ-ასათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად საკომპენსაციო თანხის შეწყვეტის ნაწილში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონში დანგრეული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რა-

იონის გამგებლის 2016 წლის 30 ნოემბრის №785 ბრძანების ბათილად ცნობა, „ნ. მ-ას წარმომადგენლის ვ. ტ-ას ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 ოქტომბრის №1-2187 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობისათვის ნ. მ-ას სასარგებლოდ ზიანის სახით 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 4 აპრილამდე მიუღებელი ბინის ქირის კომპენსაციის, ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და მოსარჩელის საცხოვრებელ სახლზე, მის. ქ. თბილისი, ... ქ. №14 უკანონოდ მიშენებული აივნის დემონტაჟის დავალება.

მოსარჩელის განმარტებით, 2016 წლის 31 მარტს გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანდა ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მდებარე მისი საცხოვრებელი ბინა, კერძოდ, დაიწვა პირველ სართულზე არსებული საცხოვრებელი სახლის სამზარეულო, საძინებელი, სამუშაო ოთახი დაახლოებით 25-30 მ²-ზე და მასში არსებული საოჯახო ნივთები, ტანსაცმელი, გაზქურა, გაზის გამაცხელებელი და გაზის მრიცხველი. ტემპერატურისაგან და კვამლისაგან დაზიანდა მისაღები ოთახის ჭერი, კედლები დაახლოებით 20 მ²-ზე და მასში არსებული საოჯახო ნივთები – მაცივარი და ნიგნები, დაიწვა ეზოში არსებული დამხმარე სათავსო დაახლოებით 4-5მ²-ზე და მასში არსებული მინის ქილები. დაიწვა აბაზანის ჭერი დაახლოებით 6-8 მ²-ზე და აბაზანის მოწყობილობები. ხანძართან დაკავშირებით, 2016 წლის 1 აპრილს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტის) ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მთანმინდა-კრწანისის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ შედგა ხანძრის (წაკიდების) შესახებ აქტი, სადაც აისახა საცხოვრებელ სახლში, ხანძრის შედეგად არსებული დაზიანებები და შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება.

სარჩელის მიხედვით, 2016 წლის 27 ოქტომბერს მოსარჩელე ცნობილი იქნა დაზარალებულად. მოსარჩელე ნ. მ-ას განცხადების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანებით, დაზარალებული ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად 2016 წლის ბოლომდე განისაზღვრა საკომპენსაციო თანხა ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, რომელსაც იღებდა 7 თვის მანძილზე, თუმცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 30 ნოემბრის №785 ბრძანებით უკანონოდ შეუწყდა, ვინაიდან საცხოვრებელი ბინის

აღდგენითი სამუშაოები არ იყო დასრულებული, შესაბამისად, კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი არ იყო აღმოფხვრილი. ამასთან, სარემონტო სამუშაოების საკუთარი სახსრებით დასასრულებლად მოსარჩელეს დასჭირდა დამატებით 4 თვე, რა დროსაც ცხოვრობდა ნაქირავე ბინაში და იხდიდა ბინის ქირას, რითაც მიაღწა ზიანი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 30 ნოემბრის №785 ბრძანება მოსარჩელე ნ. მ-ამ გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 ოქტომბრის №1-2187 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას დაირღვა ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე, 97-ე მუხლები, ასევე 99-ე მუხლი, შესაბამისად, სახეზეა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ნ. მ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონში დანგრეული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 30 ნოემბრის №785 ბრძანება ნ. მ-ასათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირაველად საკომპენსაციო თანხის შეწყვეტის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი „ნ. მ-ას წარმომადგენლის ვ. ტ-ას ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 ოქტომბრის №1-2187 ბრძანება; მოპასუხე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობას დაევალა მოსარჩელე ნ. მ-ას სასარგებლოდ ზიანის სახით, 2016 წლის ნოემბრიდან, 2017 წლის 4 აპრილამდე მიუღებელი ბინის ქირის კომპენსაციის ანაზღაურება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანებით, მისთვის საკომპენსაციოდ დადგენილი თანხის ყოველთვიური ოდენობით და აღდგენითი სამუშაოების შეწყვეტის შემდგომ, მოსარჩელე ნ. მ-ას მიერ, მისი საცხოვრებელი ბინის, საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანისათვის საჭიროდ დარჩენილი სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 31 მარტს მომხდარი ხანძრის შედეგად ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მდებარე მოსარჩელე ნ. მ-ს ოჯახის საცხოვრებელი სახლის დაზიანების გამო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობის ორგანიზებით, შპს „ს...“-ს მიერ შედგა სახლის აღდგენა-გამაგრების პროექტი, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობასა და შპს ჯ...ს“ შორის 2016 წლის 25 მაისს გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულმა საწარმომ 146681.37 ლარის სანაცვლოდ იკისრა ვალდებულება 2016 წლის 23 აგვისტომდე უზრუნველყო ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ხელშეკრულების დანართით განისაზღვრა აღდგენითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, მიეთითა ცალკეული პირების საცხოვრებელ ბინაში განსახორციელებელი სამუშაოების და გამოსაყენებელი მასალების ხარჯები, თუმცა მოსარჩელე ნ. მ-ას საცხოვრებელ ბინაში განსახორციელებელი სამუშაოების და გამოსაყენებელი მასალების ჩამონათვალი და ხარჯები ცალკე არ განსაზღვრულა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობასა და შპს ჯ...“-ს შორის 2016 წლის 10 ნოემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც აღინიშნა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილების კაპიტალური შეკეთების ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ამ ეტაპის ღირებულება, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე შეადგენდა 30089.13 ლარს და ვინაიდან ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო სამუშაოების გაგრძელება, ხოლო მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულდა და შესაძლებელი იყო მისი ექსპლუატაციაში მიღება, მიზანშეწონილი იყო ხელშეკრულება ჩათვლილიყო შესრულებულად.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულება ისეთ პირობებში იქნა შესრულებულად ჩათვლილი, რომ სამუშაოები სრულად არ დასრულებულა და მხოლოდ ძირითადი ნაწილი იქნა შესრულებული, თუმცა სამუშაოს ძირითად ნაწილში რა იგულისხმებოდა, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ გამოკვლეულა და არ ასახულა შესაბამის აქტში. ამასთან, საერთოდ არ შემონიშნებულა და არ ასახულა, თუ რა სამუშაოები განხორციელდა კონკრეტულად მოსარჩელე ნ. მ-ას საცხოვრებელ ბინაში და იყო თუ არა იგი საცხოვრებლად ვარგისი

მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული ხანძრის (ნაკიდების) აქტში კონკრეტულად იქნა მითითებული საცხოვრებელი ბინის დაზიანების დეტალები.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელე ნ. მ-ამ არაერთგზის, მათ შორის 2016 წლის 22 ნოემბერს, განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობას და განუმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობასა და შპს ჯ...“-ს შორის 2016 წლის 25 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოები ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და სახლი საცხოვრებლად გამოუსადეგარი იყო. ხანძრის შედეგად დაზიანებული, ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მდებარე მოსარჩელე ნ. მ-ას საცხოვრებელი ბინა, 2017 წლის 4 აპრილამდე არ იყო საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში, მათ შორის, ბინაში არ იყო მოწყობილი ბუნებრივი აირის მრიცხველი. მიუხედავად ამისა, 2016 წლის 29 ნოემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, მოხსენებითი ბარათით მიმართა იმავე რაიონის გამგებელს და მოახსენა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მცხოვრები, მოქალაქე ნ. მ-ას კუთვნილი საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოები დასრულებული იყო, რაც იძლეოდა მისთვის ქირის შეწყვეტის საფუძველს, რის საფუძველზეც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 30 ნოემბრის №785 ბრძანებით, მოსარჩელე ნ. მ-ას 2016 წლის ნოემბრიდან შეუწყდა მისი ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურება.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, მე-13 მუხლის პირველ პუნქტზე, აგრეთვე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე, 25-ე მუხლებზე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტის მე-9 მუხლისა და ევროპის სოციალური ქარტიის მე-12, 31-ე მუხლებზე და განმარტა, რომ საჯარო ხელისუფლების, მათ შორის, სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის ვალდებულება ბინის გარეშე დარჩენილი მოქალაქეებისათვის სათანადო, საბინაო პირობების შექმნა და დროებითი თავშესაფრის სახით ბინის ქირის კომპენსაციის დანიშვნა კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას. სასამართლომ ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებზე მითითებით განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ისე, როგორც სახელმწიფო ვალდებულია შესა-

ბამისი რესურსების არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები, საბინაო უზრუნველყოფის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 97-ე მუხლით დადგენილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება, რადგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობის მიერ, ვადაზე ადრე ისე შეუწყდა მოსარჩელე ნ. მ-ას მისი ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურება, რომ აღმოგზვრილი არ იყო ის მიზეზი, რის გამოც მას დანიშნული ჰქონდა აღნიშნული კომპენსაცია. შესაბამისად, საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთანმინდის რაიონში დანგრეული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთანმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 30 ნოემბრის №785 ბრძანების მოსარჩელე ნ. მ-ას ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, ასევე – „ნ. მ-ას წარმომადგენლის ვ. ტ-ას ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 ოქტომბრის №1-2187 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

ნ. მ-ას სასარგებლოდ ზიანის სახით, 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 4 აპრილამდე მიუღებელი ბინის ქირის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ ხანძრის შედეგად დაზიანებული, ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მდებარე მოსარჩელე ნ. მ-ას საცხოვრებელი ბინა, 2017 წლის 4 აპრილამდე არ იყო საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში, მათ შორის, ბინაში არ იყო მოწყობილი ბუნებრივი აირის მრიცხველი და 2016 წლის ნოემბრიდან, აღდგენითი სამუშაოების შეწყვეტის შემდგომ, მოსარჩელე ნ. მ-ამ დარჩენილი სამუშაოები შეასრულა საკუთარი ხარჯით საცხოვრებელი ბინის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, თუმცა საცხოვრებელი ბინის, საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობამდე მოყვანა და ამ მიზნით შესაბამისი ვალდებულების – სამუშაოების ჯეროვნად განხორცი-

ელემა მთანმინდის რაიონის გამგეობის ვალდებულებას წარმოადგენდა. ამრიგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთანმინდის რაიონის გამგეობის ქმედებით – დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურების ვადაზე ადრე, საქართველოს კანონმდებლობის შეუსაბამოდ შეწყვეტით, მოსარჩელე ნ. მ-ას მიადგა ზიანი. შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 4 აპრილამდე მიუღებელი ბინის ქირის კომპენსაციის ანაზღაურების და აღდგენითი სამუშაოების შეწყვეტის შემდგომ, მოსარჩელე ნ. მ-ას მიერ, მისი საცხოვრებელი ბინის, საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანის მიზნით დარჩენილი სამუშაოებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობას დაევალა მოსარჩელე ნ. მ-ას სასარგებლოდ ზიანის სახით, აღდგენითი სამუშაოების შეწყვეტის შემდგომ მოსარჩელე ნ. მ-ას მიერ მისი საცხოვრებელი ბინის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანისათვის საჭიროდ დარჩენილი სამუშაოებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. მ-ას სარჩელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობისთვის ზიანის სახით მოსარჩელის მიერ მისი საცხოვრებელი ბინის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანისათვის საჭიროდ დარჩენილი სამუშაოებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები ნ. მ-ას მიერ ბინის სარემონტო სამუშაოებისთვის განეული ხარჯის ანაზღაურების გამგეობისთვის დაკისრე-

ბის ნაწილში, მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილსა და ამავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლსა და 1005-ე მუხლზე და განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურებისთვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: 1. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; 2. ზიანი; 3. კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის; 4. პირის ბრალეულობა. მხოლოდ მითითებულ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ პირს, რომლის უკანონო ქმედებამაც გამოიწვია ზიანის დადგომა. სადავო ნაწილში კი, გამგეობის ქმედებას არ გამოუწვევია ხანძრის დადგომა, მას არ დაურღვევია კანონმდებლობის ან ხელშეკრულების პირობები, შესაბამისად, ადგილი არ აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომ მას დაეკისროს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რამეთუ ასეთი ხარჯის გაწევის აუცილებლობა გამგეობის უკანონო ქმედებას არ გამოუწვევია. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მიუხედავად სასამართლოს მითითებისა დაეზუსტებინა მოთხოვნის მოცულობა და წარედგინა გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მოსარჩელემ ვერ მიუთითა, ვერ დაადასტურა და დაასაბუთა კონკრეტულად რა სახის და რა ღირებულების სამუშაოები ჩაატარა მან. ზიანის ანაზღაურების მიზნებისთვის კი აუცილებელია, რომ მხარემ დეტალურად მიუთითოს ზიანის მოცულობაზე, მის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობაზე და დაადასტუროს ასეთი ხარჯის რეალურად გაწევა, რათა სასამართლომ შეამოწმოს და შეაფასოს ზიანის დაკისრების წინაპირობების არსებობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობამ და ნ. მ-ამ.

კასატორი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მიუთითებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად გაიზიარა პირველი ინსტანციის მსჯელობა ქირის შეწყვეტასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ არ დგინდებოდა ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში, ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის სრულად რეაბილიტაციის ფაქტი. კასატორი აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-138 დადგენილებით დამტკიცებულ

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესით“ განსაზღვრულია კომპენსაციის გაცემის, ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვის შემოწმების წესი, კომპენსაციის ოდენობა, აგრეთვე შეწყვეტის საფუძვლები. აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ქვეპროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის გამგეობებში გამგებლის ბრძანებით იქმნება საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო-საბჭო, რომელიც განიხილავს კომპენსაციის მიღების თაობაზე გამგეობაში შემოსულ განცხადებებს, შეისწავლის შესაბამის დოკუმენტაციას, ადგენს ამ ინსტრუქციის დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმის შემოწმების ოქმს, ასევე ახორციელებს სხვა უფლება მოვალეობებს“. ამავე ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „პროგრამის ეფექტურად წარმართვის, პროგრამისათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვისა და პროგრამის მიზნების ეფექტიანად მიღწევის უზრუნველსაყოფად, საბჭო ვალდებულია არანაკლებ 3 თვეში ერთხელ შეამოწმოს ის გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას“. ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ინსპექტირებისას უნდა შემოწმდეს ამორტიზებული ფართის მდგომარეობა ადგილზე დათვალიერებით, ხოლო მე-4 პუნქტის მიხედვით, „თითოეული განხორციელებული შემოწმების საფუძველზე საბჭოს წევრი ადგენს ამ წესის დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმის შემოწმების ოქმს“. აღნიშნული წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „კომპენსაციის გაცემა შეიძლება შეწყდეს, თუ შემოწმების ან სხვა გზით გამოვლინდა, რომ აღარ არსებობს ის გარემოებები, რის საფუძველზეც პირზე გაიცემოდა კომპენსაცია“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „პირველი პუნქტით აღნიშნული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საბჭოს ხელმძღვანელი გამგებლის სახელზე ადგენს მოხსენებით ბარათს, რომელიც წარედგინება გამგეობას და გამგეობა იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ“. ამდენად, კომპენსაციის გადახდა მხარეს შეიძლება შეუწყდეს, თუ შემოწმების ან სხვა გზით გამოვლინდა, რომ აღარ არსებობს კომპენსაციის გაცემის საფუძვლად არსებული გარემოებები. აღნიშნულის დადგენის უფლებამოსილება კი გააჩნია საბჭოს, რომელსაც ქვეპროგრამის ეფექტურად წარმართვის, ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვისა და ქვეპროგრამის მიზნების ეფექტიანად მიღწევის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობა ანიჭებს ინსპექტირების განხორციელების უფლებამოსილებას, ამას-

თან, გამგეობა კომპენსაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა აღნიშნული საბჭოს შემოწმების შედეგებს. კასატორი ყურადღებას ამახვილებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობაში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათზე (10-45/63583), რომლითაც ირკვევა, რომ ბინის დასაქირავებლად თანხით უზრუნველყოფილ მოქალაქე ნ. მ-ას კუთვნილ საცხოვრებელ სახლში დასრულდა სარემონტო სამუშაოები, რაც იძლეოდა მისთვის ქირის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, ბინის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში ყოფნას ადასტურებდა მიღება-ჩაბარების აქტები.

კასატორი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობის წარმომადგენლის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობას წარმოადგენს ის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.29. პუნქტში იგი იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულება ისეთ პირობებში იქნა შესრულებულად ჩათვლილი, როდესაც სამუშაოები სრულიად არ დასრულებულა და მხოლოდ ძირითადი ნაწილი შესრულდა. სასამართლო მიუთითებს, რომ გამგეობას უნდა შეესწავლა, თუ რა სამუშაოები განხორციელდა კონკრეტულად მოსარჩელე ნ. მ-ას საცხოვრებელ ბინაში და იყო თუ არა იგი საცხოვრებლად ვარგისი. აღნიშნულს არ ეთანხმება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთანმინდის რაიონის გამგეობა და იმ პირობებშიც კი, როდესაც ნ. მ-ას საცხოვრებელ ფართში არ იყო განხორციელებული გაზიფიცირება, იგი მაინც იმყოფებოდა საშუალო ხარისხის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში. რაიონის გამგეობას რომ არ შეეწყვიტა ქირის საკომპენსაციო თანხის გადახდა, იგი აღიქმებოდა, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად ხარჯვად, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს და ვერ გაამართლებდა 2015 წლის 29 დეკემბრის №33-138 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მიზნებს. მნიშვნელოვანია, რომ ცნება „სახლის აღდგენა-გაძლიერებით სამუშაოები“, რომლის ფარგლებშიც დაიდო 2.9.19/10.058 ხელშეკრულება, მნიშვნელოვნად განსხვავდება „სარემონტო სამუშაოების“ ცნებისაგან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთანმინდის რაიონის გამგეობა მიუთითებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-138 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესზე“, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი (ამორტიზირებული) სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის საკომპენსაციო თანხის გაცემის პირობები და პროცედურა. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კომპენსაციის პირთა წრე; კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში კომპენსაციის მიღების უფლება აქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დანგრეული ან სხვადასხვა გარემოების შედეგად საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლი, თუ პირი ამ საცხოვრებელ სადგომში ცხოვრობდა უშუალოდ მის ამორტიზებამდე, მას და მისი ოჯახის წევრს არ გააჩნია სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი საკუთრებაში, ამასთან მოცემული მომენტიდან სათვის არ აქვს დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის გადახდის საშუალება. ის, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში არსებული საცხოვრებელი სახლი იყო ამორტიზირებული, ამტკიცებს ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოება – ხანძარი. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 28 აპრილს №339 ბრძანებით მოქალაქე ნ. მ-ას ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად გაიცა საკომპენსაციო თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად, მიმდინარე წლის ბოლომდე. წინამდებარე წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, თუ შემოწმების ან სხვა გზით გამოვლინდა, რომ აღარ არსებობს ის გარემოებები, რის საფუძველზეც პირზე გაიცემოდა კომპენსაცია, უნდა შეწყდეს ბინის ქირის საკომპენსაციო თანხის გადახდა. მნიშვნელოვანია, რომ მთაწმინდის რაიონის გამგებამ იკისრა ვალდებულება აენაზღაურებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება ფორმა 2-ის და ა(ა)იპ ...ის დასკვნის საფუძველზე, რაც მართებულია. შპს ჯ...მა“ დამატებით წარმოადგინა დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში „სამუშაოები შესრულებულია“. ... №14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გაძლიერებით სამუშაოების დასრულებისთანავე აღმოიფხვრა ის გარემოებები, რამაც განაპირობა პირისათვის ბინის ქირის საკომპენსაციო თანხის გადახდა. შესაბამისად, მთაწმინდის რაიონის გამგეობა აღარ იყო უფლებამოსილი გაეგრძელებინა ქირის საკომპენ-

საციო თანხის გადახდა. საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში არსად არ წერია ბუნებრივი აირის მრიცხველის მოწყობა და სარემონტო სამუშაოების განევა, კონკრეტულად ნ. მ-ას საცხოვრებელ ფართში. შესაბამისი ხარჯის განევაც არ იყო განსაზღვრული შპს „...-ის“ მიერ მომზადებულ პროექტში. აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ მთანმინდის რაიონის გამეგობას არ უნდა აენაზღაურებინა ქირის საკომპენსაციო თანხა, კონკრეტულად ნ. მ-ას საცხოვრებელი ბინის სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ, ვინაიდან ქირის საკომპენსაციო თანხის გაცემის საფუძველი წინამდებარე წესის მიზნებიდან გამომდინარე ვერ იქნებოდა ვერც გაზიფიცირების არარსებობა და ვერც ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართში სარემონტო სამუშაოების დასრულება.

კასატორი – ნ. მ-ა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი საფუძვლიანი შუამდგომლობა საქმის გადადების შესახებ და არ მიეცა საშუალება არგუმენტირებულად დაეცვა თავისი პოზიციები, გაემახვილებინა სასამართლოს ყურადღება საქმეზე დართულ უტყუარ მტკიცებულებებზე, რომელთა ერთობლიობა ადასტურებდა სასარჩელო მოთხოვნის სრულ კანონიერებას. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულება ისეთ პირობებში იქნა შესრულებულად ჩათვლილი, როდესაც სამუშაოები სრულად არ დასრულებულა და მხოლოდ „ძირითადი ნაწილი“ შესრულდა, თუმცა რა სამუშაოები იქნა განხორციელებული საცხოვრებელ ბინაში და იყო თუ არა იგი საცხოვრებლად ვარგისი, არ შესწავლილა. სწორედ აღნიშნული ვითარება იყო დავის საფუძველი, რადგან თვითონ მთანმინდის რაიონის გამეგობის მიერ აღებული სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული და მიღება-ჩაბარების შედეგად დაფიქსირებული ჩატარებული სამუშაოების ღირებულების სხვაობა აჩვენებს რამდენად არასრულყოფილად შესრულდა სამუშაოები. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის კვლევისას მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, ასევე 1005-ე მუხლზე. სასამართლოს განმარტებით: „ზიანის ანაზღაურებისთვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: 1. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; 2. ზიანი; 3. კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმე-

დებასა და დამდგარ ზიანს შორის; 4. პირის ბრალეულობა. მხოლოდ მითითებულ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს“. კასატორის მოსაზრებით, სასამართლო არასწორად აფასებს მისი მოთხოვნის მეორე ნაწილს, რომელიც ეხება არა ხანძრით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელშეკრულებო წესით აღებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ნ. მ-ა აღნიშნავს, რომ ბუნდოვანია, რა კონკრეტულ მონაცემებს ეყრდნობოდა ადმინისტრაციული ორგანო, როდესაც სამუშაოები შესრულებულად ჩათვალა. არ არსებობს ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა. ის ფაქტი, რომ სამუშაოები არ შესრულდა სრულყოფილად, აღიარებულ იქნა სასამართლოების მიერ. სწორედ აღნიშნული მიზეზით გახდა იძულებული მოსარჩელე თავად ეწარმოებინა სამშენებლო სამუშაოები, შეესყიდა სამშენებლო მასალები, დაექირავებინა მუშები და გადაეხადა მათთვის საზღაური. მთანმინდის გამგეობის მიერ აღნიშნული სამუშაოების შესრულებას ადგილი რომ ჰქონოდა, ყველა ეს გატარებული ღონისძიება არ გახდებოდა საჭირო და არც ფინანსური ხარჯის განევა მოუწევდა მოსარჩელეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობისა და ნ. მ-ას საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობისა და ნ. მ-ას საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2016 წლის 31 მარტს ხანძრის შედეგად დაიწვა ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მდებარე სახლი, მათ შორის მოსარჩელე ნ. მ-ას ოჯახის საცხოვრებელი ბინა – პირველ სართულზე არსებული სამზარეულო, საძინებელი, სამუშაო ოთახი (დაახლოებით 25-30 მ²), ეზოში არსებული დამხმარე სათავესო (დაახლოებით 4-5 მ²), ტემპერატურისაგან და კვამლისაგან დაზიანდა მისაღები ოთახის ქერი, კედლები (დაახლოებით 20 მ²), შე-

საბამისად განადგურდა სხვადასხვა საოჯახო ნივთები. ხანძართან დაკავშირებით, 2016 წლის 1 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტის) ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მთანმინდა-კრწანისის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ შედგა ხანძრის (წაყიდების) შესახებ აქტი, სადაც აისახა მათ შორის მოსარჩელე ნ. მ-ას საცხოვრებელ სახლში, ხანძრის შედეგად არსებული დაზიანებები. 2016 წლის 1 აპრილს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება და 2016 წლის 27 ოქტომბერს ნ. მ-ა ცნობილი იქნა დაზარალებულად.

ნ. მ-ას განცხადების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანებით, მოსარჩელე ნ. მ-ას ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად, 2016 წლის ბოლომდე განისაზღვრა საკომპენსაციო თანხა – ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით. მოსარჩელე ნ. მ-ას და ნ. ხ-ას შორის, 2016 წლის 4 აპრილს დაიდო საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე ნ. მ-ამ 1 წლის ვადით, ყოველთვიურად 500 ლარის ღირებულებით იქირავა საცხოვრებელი ბინა ქ. თბილისში, ... ქ. №4-ში. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობის მიმართვის საფუძველზე, ა(ა)იპ „...ამ“ განახორციელა ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მდებარე, ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური კვლევა და შეადგინა დასკვნა, სადაც მიეთითა, რომ დაზიანებული იყო ასევე მოსარჩელე ნ. მ-ას საცხოვრებელი ბინა და საჭირო იყო, მათ შორის დამუშავებული პროექტის შესაბამისად, ზედამხედველობის უზრუნველყოფით შესრულებულიყო შენობის კონსტრუქციების აღდგენა-გადლიერების სამუშაოები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობის ორგანიზებით, შპს „ს...ს“ მიერ შედგა ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მდებარე, ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის აღდგენა-გამაგრების პროექტი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობამ, 2016 წლის 25 მაისს, შესყიდვის ხელშეკრულება დადო შპს ჯ...თან“, რომლის საფუძველზეც, აღნიშნულმა საწარმომ იკისრა ვალდებულება 2016 წლის 23 აგვისტომდე უზრუნველყო ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის მიხედ-

ვით, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობამ თავის მხრივ, იკისრა ვალდებულება აენაზღაურებინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება 146681.37 ლარის ოდენობით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობასა და შპს ჯ...ს“ შორის 2016 წლის 25 მაისს დადებული ხელშეკრულების დანართით განისაზღვრა აღდგენითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, მიეთითა ცალკეული პირების საცხოვრებელ ბინაში განსახორციელებელი სამუშაოების და გამოსაყენებელი მასალების ხარჯები, თუმცა მოსარჩელე ნ. მ-ას საცხოვრებელ ბინაში განსახორციელებელი სამუშაოების და გამოსაყენებელი მასალების ჩამონათვალი და ხარჯები ცალკე არ განსაზღვრულა. მთანმინდის რაიონის გამგეობასა და შპს ჯ...ს“ შორის 2016 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულება ჩაითვალა შესრულებულად. მოსარჩელე ნ. მ-ამ, 2016 წლის 22 ნოემბერს, განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობას და განუმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობასა და შპს ჯ...ს“ შორის 2016 წლის 25 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოები ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და სახლი საცხოვრებლად გამოუსადეგარი იყო. 2016 წლის 29 ნოემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, მოხსენებითი ბარათით მიმართა იმავე რაიონის გამგებელს და აცნობა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში მცხოვრები, მოქალაქე ნ. მ-ას კუთვნილი საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოები დასრულებული იყო, რაც იძლეოდა მისთვის ქირის შეწყვეტის საფუძველს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთანმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 30 ნოემბრის №785 ბრძანებით, მოსარჩელე ნ. მ-ას 2016 წლის ნოემბრიდან შეუწყდა მისი ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში შესაფასებელია ნ. მ-ასათვის ბინის დასაქირავებლად განსაზღვრული კომპენსაციის გაცემის შეწყვეტის კანონიერება, რასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დადგინდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების და შესაბამისად ხანძრის შედეგად დაზიანებული მოსარჩელის ბინის საცხოვრებლად ვარგის კონდენციამდე მიყვანის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ნ. მ-ა წარმოადგენს სადავო პერიოდში მოქმედი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დე-

კემბრის №33-138 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესით გათვალისწინებულ კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის მე-6 მუხლის მიხედვით, კომპენსაცია გაიცემა არაუმეტეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის ბოლომდე. ახალი საბიუჯეტო წლის დადგომამდე შესაბამისი რაიონის გამგეობა წინა წლის კომპენსაციის მიმღებთა სიას ამოწმებს საბჭოს მეშვეობით ამ წესით დადგენილი წესითა და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სიის კორექტირებას და ახალი სიის მომდევნო წლისათვის დამტკიცებას. კომპენსაციის გაცემა ერთ განმცხადებელზე შესაძლებელია განხორციელდეს იმ პრობლემის აღმოფხვრამდე, რაც საფუძვლად დაედო კომპენსაციის გაცემას, მაგრამ არაუმეტეს 24 თვისა. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გამოთვლა დაიწყება, ამ წესის შესაბამისად, კომპენსაციის გაცემის თვიდან. ამრიგად, დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ვალდებულებას, ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტი ითვალისწინებს შესაბამისი პრობლემის აღმოფხვრამდე.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე, 2016 წლის 31 მარტს მომხდარი ხანძრის შედეგად, ცნობილ იქნა დაზარალებულად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ იკისრა ვალდებულება განხორციელებინა ხანძრის შედეგად დაზიანებული მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გაძლიერებითი სამუშაოები. ამასთან, მთანმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანებით, მოსარჩელე ნ. მ-ას ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად, 2016 წლის ბოლომდე განისაზღვრა საკომპენსაციო თანხა – ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით. აღნიშნული კომპენსაციის გაცემა შეწყდა 2016 წლის ნოემბრიდან. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის შეწყვეტა დაეფუძნა მთანმინდის რაიონის გამგეობასა და შპს ჯ...ს“ შორის 2016 წლის 10 ნოემბერს გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს, რომლის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ. №14-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილების კაპიტალური შეკეთების ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების კონკრეტული ეტაპის ღირებულება, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, შეადგენდა 30 089.13 ლარს. ამასთან, ვინაიდან ობი-

ექტური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო სამუშაოების გაგრძელება, ხოლო მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულების გამო შესაძლებელი იყო მისი ექსპლუატაციაში მიღება, მიზანშეწონილი იყო ხელშეკრულება ჩათვლილიყო შესრულებულად, შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2016 წლის 30 ნოემბრის №785 ბრძანებით, მოსარჩელე ნ. მ-ას 2016 წლის ნოემბრიდან შეუწყდა მისი ოჯახისათვის დროებითი თავშესაფრის სახით ბინის დასაქირავებლად განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს კანონით გათვალისწინებული რა არსებითი სახის საფუძველი არსებობდა, რამაც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. ამ გარემოების გარკვევას და დასაბუთებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ დადგინდეს, ნ. მ-ასთან მიმართებით ადგილი ხომ არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესის დარღვევას, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მოსარჩელეს ამავე მუხლის პირველ ნაწილში ასახული ვალდებულებისაგან – დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. ამრიგად, პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიტორი ხასიათი მოსამართლეს ანიჭებს შესაძლებლობას თავისი ინიციატივით დამატებით მოიპოვოს დავის მართებულად

გადაწყვეტისათვის საჭირო ინფორმაცია თუ მტკიცებულება, მეორე მხრივ – არ გამოორიცხავს მხარეთა მიერ თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებლების საფუძვლიანობის მტკიცების ვალდებულებას. ამდენად, მოსარჩელეს ეკისრება იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნას (სსკ-ის 102.1), ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება ამტკიცოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე თავისი ახსნა-განმარტებით აპელირებს ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენითი სამუშაოების დაუსრულებლობაზე, მათ შორის, იმ გარემოებაზე, რომ საცხოვრებელ ფართში არ იყო მოწყობილი ბუნებრივი აირის მრიცხველი. აღნიშნული ახსნა-განმარტების გარდა, საქმეში წარმოდგენილია ხანძრის (წაიღების) აქტი, სადაც კონკრეტულად მიეთითა საცხოვრებელი ბინის დაზიანების დეტალები. ამასთან, სხვა მტკიცებულება საცხოვრებელ სახლში ხანძრის გაჩენამდე არსებული მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების თაობაზე, საქმეში არ მოიპოვება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაზიარებელია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითება, რომ 2016 წლის 10 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულება ისეთ პირობებში იქნა შესრულებულად ჩათვლილი, როდესაც სამუშაოები სრულად არ იყო დასრულებული. ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუფასებია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და უტყუარად არ დაუსაბუთებია საკომპენსაციო თანხის გადახდის შეწყვეტის აუცილებლობა, რა გარემოებებიც კომპენსაციის (ქირის თანხა) ანაზღაურების ნაწილში სასამართლომ მართებულად დაუდო საფუძვლად სარჩელის დაკმაყოფილებას, შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს საკასაციო საჩივარი ამ მიმართებით დაუსაბუთებელია.

რაც შეეხება მოსარჩელის მიერ ბინის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოყვანისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამარ-

თლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 317.1. მუხლი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს ზიანის საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად განუხლები ხარჯების ანაზღაურებას, რომლის გაღება, მოსარჩელის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს ნაცვლად მოუწია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში ნაგარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში (სუსგ 23.04.2021წ. №ას-32-2021).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამავე კოდექსის 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. იმავე კოდექსის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ გაცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოება დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებ-

ლობებით (სუსგ 12.02.2021წ. №ას-344-2019).

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ბინის საცხოვრებლად ვარგის კონდინციამდე მოსაყვანად გაწეული ხარჯის ანაზღაურებას ითხოვდა ზოგადად, კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. განცდილი ზიანის ოდენობა კი განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად იმ პირმა, ვისაც ზიანი მიადგა, უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რათა დაამტკიცოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ზიანის არა მარტო არსებობა, არამედ მისი ოდენობაც.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო პერიოდში მოქმედი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-138 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ ერთგვარ სოციალურ პროგრამას წარმოადგენდა, რაც სხვადასხვა გარემოების შედეგად საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლის ადმინისტრაციული ორგანოს დახმარებით იმაგვარ კონდინციამდე მიყვანას ითვალისწინებდა, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ჯანსაღი საცხოვრებელი პირობები. აღნიშნული გულისხმობდა მათ შორის საცხოვრებელ ბინაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, თუმცა წინასწარ განსაზღვრული პროექტის და არა მოსარჩელის გემოვნებაზე დაფუძნებული პირობების შესაბამისად.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მის კუთვნილ ბინაში სარემონტო სამუშაოების ჩატარების დამატასტურებელი მტკიცებულება, ასევე კანონით დადგენილი წესით (ექსპერტის ან აუდიტის დასკვნა, თანხის გადახდის დოკუმენტი და სხვა) არ დასტურდება თავად ხარჯის გაწევის ფაქტი და მისი ოდენობა, რა გარემოებების დადასტურება მოსარჩელის მტკიცების საგანში შედიოდა, შესაბამისად არ არსებობს ნ. მ-ას საკასაციო საჩივრის ფარგლებში წარდგენილი საკასაციო პრეტენზიის გაზიარების წინაპირობები, რის გამოც დაუსაბუთებელ შედავებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა, რის გამოც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობისა და ნ. მ-ას საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგეობისა და ნ. მ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დისკრიმინაციული მოპყრობისა და მისგან
გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების
წინაპირობები**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-747(კ-22)

10 იანვარი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მორა-
ლური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შ. ა-იმ 2018 წლის 9 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-
პასუხეების – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსა-
ხურისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-
ტოს მიმართ და მოითხოვა „მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრე-
ბის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“ ამავე სააგენტოს
2018 წლის 15 ოქტომბრის №1000595438 გადაწყვეტილების ბათი-
ლად ცნობა, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-
ტოსათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის გამოცემის დავალება, მოსარჩელის სახელზე მუდმივი
ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, ასევე მოპასუხეები-
სათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 100 ლა-
რის სოლიდარულად ანაზღაურების დავალება.

სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე – შ. ა-ი 2018 წლის 15 იანვარს
დაქორწინდა საქართველოს მოქალაქე ი. ჩ-ზე და საქართველოში
ცხოვრების მიზნით, მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების გან-
ვითარების სააგენტოს და მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა
მოითხოვა, თუმცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს 2018 წლის 17 აპრილის №1000595438 გადაწყვეტილე-
ბით მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით,
რომ სახელზე იყო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა

სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. აღნიშნული გადაწყვეტილება შ. ა-იმ სასამართლო წესით გაასაჩივრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით შ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 აპრილის №1000595438 გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დასახელებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №1000595438 გადაწყვეტილებით შ. ა-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, კვლავ უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილება დაეფუძნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნას, რომელიც შესაძლოა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს ეთნიკური და ეროვნული ნიშნით. ამდენად, მოსარჩელემ სადავო აქტის ბათილად ცნობა და მისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და დისკრიმინაციული მიდგომის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით შ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე შ. ა-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე ი. ჩ-სთან. ჰყავთ შვილი – ფ. ა-ი, დაბადებული ... წლის

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ შ. ა-იმ 2018 წლის 20 თებერვალს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მოითხოვა, თუმცა უარი ეთქვა ნებართვის გაცემაზე. აღ-

ნიშნული უარი შ. ა-იმ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომელმაც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო სადავო აქტი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2018 წლის 5 ოქტომბერს წერილობით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა შ. ა-ისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 ოქტომბრის №SSG 6 18 00156602 წერილობითი მიმართვით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა შ. ა-ისთვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. ამრიგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №1000595438 გადაწყვეტილებით შ. ა-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. ამასთანავე, დადგენილია, რომ შ. ა-ი საქართველოში ნასამართლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის განაჩენით განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე მითითებით აღნიშნა, რომ უცხოელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად უფლებამოსილია, გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენ-

ტის 2018 წლის 9 ოქტომბრის №SSG 6 18 00156602 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად დაედო გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სამართალდაცვითი მიზნებისათვის. შესაბამისად, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას შეემოწმებინა წერილის საფუძვლად მითითებული გარემოებები და დოკუმენტაცია. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს მიერ სადავო გადაწყვეტილების „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით დასაბუთება შეესაბამებოდა კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, რომლის საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა მის მიმართ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შ. ა-იმ სასამართლოში ვერ წარადგინა ისეთი ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს შექმნიდა, ხოლო მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით მოსარჩელის მიმართ რაიმე ნიშნით დისკრიმინაციული ქმედების განხორციელება არ იკვეთებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა რაიმე ნიშნით, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლოდ ჩათვალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება შ. ა-იმ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. სააპელაციო საჩივარში შ. ა-იმ დააზუსტა მესამე მოთხოვნა, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან შეწყდეს დისკრიმინაციული ქმედება, აღმოიფხვრას მისი შედეგები და დაეკისროს მოპასუხეებს (სოლიდარულად) დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2021 წლის 15 ივლისის განჩინებით შ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მართებული სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. ა-იმ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობასა და დასაბუთებას დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხზე, როგორიცაა კერძო და საჯარო ინტერესების კონკურენცია. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს რა საჯარო და კერძო ინტერესი დაუპირისპირდა ერთმანეთს და რატომ გადაწყდა საკითხი ერთ-ერთის სასარგებლოდ. ამასთან, მოცემულ საქმეში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ოჯახის ერთიანობის პრინციპთან მიმართებით. გასათვალისწინებელია, რომ კასატორი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში საქართველოს მოქალაქესთან, რომელთანაც ასევე საერთო შვილი ჰყავს.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ დეტალურად უნდა იქნეს განხილული მუდმივი ცხოვრების ნებართვაზე უარის თქმის საფუძველი, ფართოდ იქნეს განმარტებული საიდუმლო საბუთები. ამ კუთხით მან სადავოდ გახადა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 ოქტომბრის №SSG 6 18 00156602 წერილის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა.

დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით, კასატორი განმარტავს, რომ სასამართლოების მიერ ზედაპირულად იქნა დასაბუთებული დისკრიმინაციული მოპყრობის არარსებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ივლისის განჩინებით შ. ა-ის საკასაციო საჩივარი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2022 წლის 12 დეკემბრის განჩინებით შ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქემ – შ. ა-იმ 2018 წლის 20 თებერვალს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მოითხოვა, თუმცა მას სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. აღნიშნული უარი შ. ა-იმ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომელმაც, თავის მხრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო სადავო აქტი და სააგენტოს, შ. ა-ის ბინადრობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით, საქმის გარემოებების ყოველმხრივ გამოკვლევის შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2018 წლის 5 ოქტომბერს წერილობით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა, ეცნობებინა – არსებობდა თუ არა შ. ა-ისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 ოქტომბრის №SSG 6 18 00156602 წერილობითი მიმართვით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა შ. ა-ისთვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 ოქტომბრის №SSG 6 18 00156602 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები.

ამრიგად, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვი-

სების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №1000595438 გადაწყვეტილებით შ. ა-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ მოსარჩელე შ. ა-ის მეუღლე არის საქართველოს მოქალაქე ი. ჩ-ა, ქორწინების რეგისტრაციის თარიღია ... წლის მათ ჰყავთ ... წლის დაბადებული საერთო შვილი – ფ. ა-ი. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის“ 2018 წლის 14 ოქტომბრის ცნობის თანახმად, შ. ა-ი საქართველოში ნასამართლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის განაჩენით განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძველით. ამასთანავე, შესაფასებელია, დისკრიმინაციული მოპყრობისა და მისგან გამომდინარე, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძველებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს საქართველოს კანონი – „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ამასთან უცხოელის საქართველოში ხანგრძლივად კანონიერად დარჩენის უფლების მოპოვების ერთ-ერთი შესაძლებლობა სწორედ ბინადრობის ნებართვის მიღებაა, რომელსაც, დასახელებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოში კანონიერი საფუძველით მყოფ უცხოელზე გასცემს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ასევე, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძველები და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მუდმივი ცხოვრების ნებართვის

გაცემის წინაპირობებს, აღნიშნულის მიხედვით კი მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან ბინადრობის ნებართვის გაცემით უცხოელი მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობას, ხოლო სახელმწიფო კისრულობს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დეტალურად და ამომწურავად არის განერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მათ შორის, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ („ა“ ქვეპუნქტი) და თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს („გ“ ქვეპუნქტი).

კანონმდებელი იმავე მუხლის მ-2 პუნქტში აკონკრეტებს კრიტერიუმების ჩამონათვალს, თუ რომელ შემთხვევებს მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები, ესენია: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უნდა უქმნიდეს საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) უნდა არსებობდეს ინფორმაცია, რომელიც აღბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო

ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

აღსანიშნავია, რომ დასახელებული საფუძვლებით ნებართვის გაცემაზე უარის თქმა პირდაპირ პასუხობს კანონის მიზნებს. კანონმდებელმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე მუხლში ხაზი გაუსვა რა კანონის მიღების მიზნებს, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაზე. კერძოდ, ხსენებული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები. იმავე კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ამრიგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, ერთმანეთს შეუპირისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება ბინადრობის ნებართვის გაცემის თუ ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული საკითხის გამოკვლევა და გადაწყვეტა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნების შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნ-

ქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან.

სახელმწიფო ორგანო, რომლისგანაც სერვისების განვითარების სააგენტოს შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია უცხოელის მიერ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე, არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ეწევა ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონისმიერი საფუძვლების არსებობის საკითხის დასადგენად. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა – წერილი კი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. აღნიშნული ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად კი, სააგენტო უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2018 წლის 20 თებერვალს შ. ა-იმ განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კი, ზემოაღნიშნული ნორმებისა და მოთხოვნების დაცვით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან ინფორმაცია გამოითხოვა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 ოქტომბრის №SSG 6 18 00156602 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს შ. ა-ისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №1000595438 გადაწყვეტილებით შ. ა-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 ოქტომბრის №SSG 6 18 00156602 წერილით გათვალისწინებული დასკვნის გაკეთების

მიზეზი გახდა. სწორედ ამ მიზნით, 2022 წლის 7 სექტემბერს საკაცო სასამართლომ, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გამოთხოვილი ინფორმაცია, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ხსენებული ინფორმაცია მხარეებს გააცნოს და იგი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახოს. ამასთან, საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, შ. ა-ის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, რის გამოც მას მიენიჭა უპირატესი ინტერესი მხარის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამრიგად, მოცემულ საქმეზე მიღებული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩიება არის კანონიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების სა-

ფუძვლები არ არსებობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს აგრეთვე მორალური ზიანის – 100 ლარის მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრება. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ ნაწილში ასევე იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ საქმის მასალებით არ იკვეთება პირდაპირი ან არაპირდაპირი მინიშნება შ. ა-ის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი უკავშირდება მხოლოდ კონტრდაზვერვის ინფორმაციაზე მითითებას და არა მოსარჩელის რასობრივ, ეთნიკურ ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციას. ამდენად, დისკრიმინაციული მოპყრობის დაუდასტურებლობის პირობებში, უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში. აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ანალოგიურ საკითხებზე დადგენილ პრაქტიკაზე (სუსგ 2020 წლის 2 ივნისის №ბს-381(კ-19); სუსგ 2020 წლის 15 ივლისის №ბს-394(კ-19)).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უსაფუძვლო გამდიდრების და დელიქტური
ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-695(3კ-21)

26 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ., ი., პ., მ. და ც. ტ-იებმა, გ. და ი. გ-ეებმა 2017 წლის 27 მარტს სარჩელით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისისა და მესამე პირის, შპს „ე...ს“ მიმართ და: ა) უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, მოსარჩელებისათვის მიყენებული ზიანის – 2199591.00 აშშ დოლარის, გადახდის დღისათვის არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში, მოპასუხეებისთვის სოლიდარულად დაკისრება (კომპენსაცია), ან უკანონოდ ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის გზით მოსარჩელისათვის ... საკადასტრო კოდის მქონე (ნაკვეთის წინა ნომერი: ...) უძრავ ქონებაზე თანასაკუთრებაში აშენებული (ასაშენებელი) საცხოვრებელი კომპლექსიდან, კერძოდ, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის 2008 წლის 25 თებერვლის პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მისაღები ქონებიდან (რაც შეადგენს მითითებულ მიწის ნაკვეთზე აშენებული საცხოვრებელი კომპლექსიდან საერთო ფართის/საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის, სავაჭრო ფართის 15%-ს) შემდეგი ოდენობის ფართების გადაცემა მოითხოვეს: 1. სარდაფის სართულის კომერციული სასარგებლო ფართიდან 256.86 კვ.მ; 2. პირველი სართულის კომერციული სარეალიზაციო ფართიდან 156.70 კვ.მ; 3. ანტრესოლის სარეალიზაციო ფართიდან 193.34 კვ.მ; 4. საცხოვრებელი სასარგებლო ფართიდან 2456.21 კვ.მ; ბ) მოსარჩელებმა მიუ-

ღებელი სარგებლის სახით ასევე მოითხოვეს მოპასუხეებისაგან სოლიდარულად 182516.00 აშშ დოლარის წლიური 10%-ის გადახდა, 2008 წლის 25 თებერვლიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, გადახდის დღისათვის არსებული კურსით ეროვნულ ვალუტაში; გ) მოსარჩელეთა მითითებით, მიუღებელი სარგებელი 182516.00 აშშ დოლარის 10%, ანუ 18251.6 აშშ დოლარი თვეში შეადგენს 1521.00 აშშ დოლარს ($18251.6:12$) და მოითხოვეს მისი ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

მოსარჩელებმა ამავე სარჩელით იშუამდგომლეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, კერძოდ, მოპასუხისთვის – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სააუქციონო კომისიის 2008 წლის 25 თებერვლის პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მე-6 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებსა და მე-8 პუნქტთან დაკავშირებით რაიმე სახის ქმედების განხორციელების, მასში ცვლილებების შეტანის აკრძალვა, საკუთრებაში მისაღები ქონების გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და აღსრულებამდე.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმში, ...ისა და ...ის ქუჩების მიმდებარედ, ნ., ი., პ., მ. და ც. ტ-ების, ასევე გ. და ი. გ-ების თანასაკუთრებაში არსებული 3400.00 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთიდან, დაახლოებით, 1360 კვ.მ ჯერ კიდევ 1985 წელს უკანონოდ იქნა გამოყენებული ...ის ქუჩის გაყვანისა და ამავე ქუჩის №...-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენების მოტივით. მოსარჩელებს საკუთრების ჩამორთმევის სანაცვლოდ სათანადო და სამართლიანი კომპენსაცია არ მიუღიათ.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ სადავო ნაკვეთთან დაკავშირებით წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა სხვადასხვა ინსტანციებში. მათი კუთვნილი ქონების ხელყოფისას სახეზე იყო კანონისმიერი ვალდებულებანი, ამასთან ერთად კი ადგილი ჰქონდა ასევე უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებს. მოსარჩელეთა მოსაზრებით, სარგებლის მიღების უსაფუძვლობა ხშირად არამართლზომიერ ქცევაში აისახება, რომელიც მოიცავს დელიქტის ნიშნებს, რა დროსაც მოპასუხეს ევალება როგორც უსაფუძვლოდ მიღებული სარგებელის დაბრუნება, ასევე მოსარჩელისათვის მიყენებული იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ამ უკანასკნელმა განიცადა მოპასუხე მხარის არამართლზომიერ ქმედების შედეგად. დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მიიჩნიეს, რომ მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებისა და ქმედების განხორციელების დავალდებულების შესახებ კანონიერი და საფუძვლიანი იყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 მარტის განჩინებით მოსარჩელეთა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ, $(1144+1360) \times 113 = 282952$ ლარის გადახდა; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ, საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით; ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ების სარჩელი დანარჩენი ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– ქალაქ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 26 მაისის №359 გადაწყვეტილებით, ...ის ქუჩის და საზოგადოებრივი დანიშნულების ... კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის დროულად გათავისუფლების მიზნით, დამტკიცდა მშენებლობასთან დაკავშირებით ათვისებაში მოხვედრილ მობინადრეთა სია (დანართის მიხედვით). საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო განყოფილებას დაევალა ორდერის გაცემა ათვისებაში მოხვედრილ მობინადრეებზე, ...ის ქ. №...-ში მდებარე 9-სართულიან საცხოვრებელ სახლში 4 კეთილმოწყობილი ბინის მისაღებად. ზემოთ დასახელებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია ათვისებაში მოხვედრილი იმ 9 ოჯახის სია, რომლებსაც უნდა გადასცემოდათ სანაცვლო ბინები, აგრეთვე იმ სამი ოჯახის სია, რომლებსაც დაუმტკიცდათ საგარანტიო წერილები ათვისების სანაცვლოდ საცხოვრებელი ბინების მიღების შესახებ. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალა, კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას.

– ქალაქ ბათუმის მთავრობის 2006 წლის 25 აპრილის დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 2006 წლის 18 აპრილის შემაჯამებელი ოქმი და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ე...“, რომელსაც საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ... კომპლექსის მშენებლობის მიზნით საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმში, ...ისა და ...ის ქუჩების კვეთაში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის 1 კვ.მ ფართის ღირებულება დადგენილების შესაბამისად, შეადგენდა 35, სულ

140000 ლარს. 2008 წლის 22 აპრილს აღნიშნული მიწის ნაკვეთი, 2008 წლის 5 თებერვლის აუქციონზე გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის და 2008 წლის 16 აპრილს გაცემული №01 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, აღირიცხა შპს „ე...ს“ საკუთრებაში. შპს „ე...მა“ უძრავი ნივთი (მიწის ნაკვეთი) შეიძინა ...0000.00 ლარად. 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფასმა შეადგინა 113 ლარი. შპს „ე...მა“ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განახორციელა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. დღეის მდგომარეობით შპს-ს საკუთრებაში რიცხულ ... საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია №... მშენებარე ობიექტი, ასევე რეგისტრირებულია ვალდებულებები სხვა პირთა სასარგებლოდ.

– ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის 2006 წლის 25 დეკემბრის საარქივო ცნობის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონის ...ის სასოფლო საკრებულოს, სოფელ ...ის 1986-2006 წლების №3 საკომლო წიგნში ჩანს ტ-იების კომლი, შემდეგი შემადგენლობით: ტ-ი ც. – კომლის უფროსი, გარდაიცვალა 1994 წელს; ოჯახის შემადგენლობაში ირიცხება: ტ-ი ი. ა.-ს ძე – შვილი; ტ-ი ნე. ა.-ს ასული – შვილი; ტ-ი ნ. ა.-ს ასული – შვილი; ტ-ი მ. ახ.-ს ასული – რძალი; ტ-ი ი. ია.-ს ასული – შვილიშვილი; ტ-ი ც. ია.-ს ასული – შვილიშვილი; ტ-ი პ. ია.-ს ძე – შვილიშვილი; გ-ე გ. ან.-ს ძე – შვილიშვილი; გ-ე ი. ან.-ს ძე – შვილიშვილი; საკომლო წიგნში მიწის რაოდენობად ნაჩვენებია 0,34 ჰექტარი, სახლის აგების წელი – 1933, სასიმიდე – 1933 წელი; ბოსელი – 1953 წელი. ამასთანავე, აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დანესებულება საარქივო სამმართველოს ხელვაჩაურის საარქივო განყოფილების მიერ 2009 წლის 26 იანვარს გაცემული საარქივო ცნობის განმარტებითი ბარათის თანახმად, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...ში მცხოვრებ ც. ტ-ის კომლს, რომელშიც ირიცხება 9 წვერი, პირად სარგებლობაში 1986 წლიდან აწერია 0.34 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ამრიგად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მთლიან კომლს სარგებლობაში გააჩნდა 3400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საიდანაც საბოლოოდ სარგებლობაში დარჩათ მხოლოდ 896 (725+171) კვ.მ. ფართობი, ხოლო დანარჩენი ფართობი მათი სარგებლობიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ იქნა გასული.

– აჭარის ა/რ მთავრობაში 2005 წლის 28 აპრილს ნე. ტ-ის მიერ შეტანილი განცხადების შესწავლის შედეგად, რომლითაც ის მოითხოვდა ტ-იების კომლის სახელზე რიცხული, 0.34 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ნაწილზე საკუთრების უფლების აღდგენას, მთავრობის აპარატის დარგობრივი ურთიერთობის სამსახურის უფროსის მიერ აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მომზადებული დასკვნის თანახმად, ...ის თემის საკრებულოს საკომლო დათრე-

ბისა და მიწების ზონარგაყრილი წიგნის ჩანაწერებით ც. ტ-ის ოჯახის საკუთრებაში ირიცხებოდა 0,34 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, რომლიდანაც ქ. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 30 დეკემბრის №857 დადგენილებით ქალაქის განაშენიანებასთან დაკავშირებით ...ის ქუჩის, აგრეთვე ამავე ქუჩის №...-ში 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის გამო ტ-იების ოჯახს ფაქტობრივ სარგებლობაში დარჩა 0.1 ჰა მიწის ფართობი, რადგანაც ქუჩის ამ მონაკვეთის მონყობას მოხმარდა 1360 კვ.მ ფართობი, ხოლო ქუჩის მეორე მხარეს მოექცა 1040 კვ.მ ფართობი. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 28 მაისის №359 გადაწყვეტილებით ან. გარდაცვლილ ც. ტ-ის, როგორც ათვისებაში მოხვედრილ ოჯახს, რომელიც თავისი შემადგენლობის მიხედვით იყოფა სამ ოჯახად (ც. ტ-ი, ნე. ტ-ი და ნ. ტ-ი), ...ის №...-ში ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში მიეცათ საგარანტიო წერილი ორი ერთოთახიანი და ერთი ოთხოთახიანი ბინის მისაღებად, რითაც მათ არ უსარგებლიათ, ...ის ქუჩის №...-ში 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აუშენებლობის გამო. მათ ასევე არ მიუღიათ, მრავალწლიანი წარგაგების ღირებულება და მათთვის არ მოუცვლიათ შემცირებული საკარმიდამო ნაკვეთი.

– საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების და კანონიერ ძალაში შესული, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ტ-იების კომლზე რიცხული საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნაწილი დაკავებული იქნა ...ის (დღევანდელი ...ის) ქუჩის გაყვანისა და მონყობისას, ხოლო ნაწილი მოქცეულია ...ისა და ...ის ქუჩების კვეთაში მდებარე იმ 4 000 კვ.მ მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში, რომელიც ქალაქ ბათუმის მერის 2006 წლის 4 აპრილის მიმართვისა და ქალაქ ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №51 დადგენილების საფუძველზე საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებად დარეგისტრირდა, ხოლო შემდეგ გასხვისდა შპს „ე...ზე“.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით საქალაქო სასამართლომ მიუთითა „აღამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ I-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლზე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე მუხლებზე და ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ ტ-იების ოჯახიდან არც ერთ მათ-

განს არ მიუღია რაიმე საცხოვრებელი, ან არასაცხოვრებელი ფართი, ანდა სხვა სახის სარგებელი, ათვისებაში მოხვედრილი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეთა მთლიან კომლს სარგებლობაში გააჩნდა 3400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საიდანაც საბოლოოდ სარგებლობაში დარჩათ 896 (725+171) კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო დანარჩენი, მათი სარგებლობიდან მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) და არა სხვა რომელიმე სუბიექტის სასარგებლოდ იქნა გასული. აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით, სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლო გამდიდრება სახეზე იყო, არსებობდა მოპასუხის გამდიდრების ფაქტიც, ამის შესაბამისად კი მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი და მატერიალურ სიკეთის ამგვარი გადანაცვლების აშკარა გაუმართლებლობა.

სასამართლომ დავის სამართლებრივი რეგულაციის მიზნით ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის უსაფუძვლო გამდიდრების (მესამე თავი) მომწესრიგებელ 976-ე და 979-ე მუხლებზე, განმარტა მათი შინაარსი და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის უკანონო ქმედების შედეგად მოსარჩელეთა კანონიერი მფლობელობიდან გასული მიწის ნაკვეთის უკან დაბრუნება მოსარჩელებისათვის შეუძლებელი იყო, რადგან იგი დაკავებული იყო ...ის ქუჩის კომუნიკაციებით და შპს „ე...ს“ მიერ აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსით. შესაბამისად, დასაბუთებული და სამართლებრივი საფუძვლის მქონე იყო მოსარჩელეთა მოთხოვნა ფულადი სახით ანაზღაურების შესახებ. რაც შეეხებოდა ფულადი ანაზღაურების ოდენობას, სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი უნდა განსაზღვრულიყო მიწის ნაკვეთის ღირებულების გამოყენებით. ამასთან მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა იმ გარემოებასაც, რომ მოსარჩელეთა კომლს მიწის ნაკვეთი გააჩნდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საჭიროების აუცილებლობის გათვალისწინებით, შეიცვალა მისი დანიშნულება და შესაბამისად, გამოყენების მიზანი, რამაც რა თქმა უნდა, გაზარდა ნაკვეთის საბაზრო ფასები. ამ ტერიტორიაზე ქალაქის დასახლების გადასვლით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით, ადგილი მოთხოვნადი გახდა იმასთან შედარებით, რაც მანამდე მოცემული პირობებით არსებობდა, რისი საფუძველი გახდა ქალაქის მუნიციპალიტეტის გადანაცვლები ამ ტერიტორიის არსებული სახით განვითარების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფუძვლო გამდიდრების გამო, უნდა მომხდარიყო მოსარჩელებისათვის ანაზღაურება გონივრული და სამართლიანი თანაფარდობის

ფარგლებში, მოცემულ პირობებში იმ ღირებულებითი ანგარიშით, რითაც მოხდა მოპასუხის მიერ მიწის ნაკვეთის გასხვისება აუქციონზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 2006 წლის 18 აპრილის შემაჯამებელი ოქმით (რომლითაც გამარჯვებულად გამოცხადებული შპს „ე...“), როდესაც 1 კვ.მ ფასი განსაზღვრული იყო 113 ლარით, რის შესაბამისად, მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ფულადი თანხა განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ($2504 \text{ კვ.მ} \times 113 \text{ ლარი} = 282\,952 \text{ ლარის ოდენობით}$).

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის სოლიდარულად დაკისრებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მარეგისტრირებული ორგანო არ წარმოადგენდა იმ ურთიერთობის მონაწილეს, რომლითაც ქალაქ ბათუმის მერიის მიერ შპს „ე...ზე“ განიკარგა მიწის ნაკვეთი. ეს ურთიერთობა წარმოიშვა მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, ქალაქ ბათუმის მერიასა და შპს „ე...ს“ შორის, რომელშიც არ მონაწილეობდა საჯარო რეესტრი. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში დამდგარი ზიანის მიმართ საჯარო რეესტრთან არც ბრალი და არც დამდგარ შედეგთან მიზეზობრივი კავშირი იკვეთებოდა. ამდენად, სახეზე არ იყო მის მიმართ ზიანის ანაზღაურების დაკისრების ანაზღაურების წინაპირობები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იებმა, გ. და ი. გ-ეებმა, ასევე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ეებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ეების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აჭარის რეგიონულ ოფისს ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ეების სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთში შემავალი 1354 კვ.მ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ 153 002 (ასორმოცდაცამეტი ათას ორი) ლარის გადახდა, ასევე ამ თანხის გადაუხდელობით მიუღებელი შემოსავლის სახით, წლიურად 10%-ზე გაანგარიშებით 2008 წლის 25 თებერვლიდან 2021 წლის 25 აპრილამდე, ერთჯერადად, 201

452,63 ლარის ანაზღაურება, ხოლო 2021 წლის 25 აპრილიდან გადანაწევების სრულად აღსრულებამდე ყოველწლიურად 15 300,20 ლარის (თვეში-1275,01 ლარი) ანაზღაურება; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ეების სასარგებლოდ დაეკისრათ ქალაქ ბათუმში, ...ის (ამჟამად ...ის) სახელობის ქუჩის გაყვანასთან დაკავშირებით ჩამორთმეული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკომპენსაციოდ 72 031,28 ლარის გადახდა, ასევე ამ თანხის გადაუხდელობით მიუღებელი შემოსავლის სახით, წლიურად 10%-ზე გაანგარიშებით, 2008 წლის 25 თებერვლიდან 2021 წლის 25 აპრილამდე, ერთჯერადად, 948...,18 ლარის ანაზღაურება, ხოლო 2021 წლის 25 აპრილიდან გადანაწევების სრულად აღსრულებამდე ყოველწლიურად 7203,12 ლარის (თვეში 600,26 ლარი) ანაზღაურება;

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, დამატებით მიუთითა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარდგენილ მტკიცებულებაზე, რომლის მიხედვით, დასტურდება, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 26 მაისის №359 გადანაწევებით ტ-იების კომლიტან მიმართებით ნაკისრი ვალდებულება (ადმინისტრაციული დაპირება) ნაწილობრივ შესრულდა. მ. ტ-ის ოჯახისათვის ...ის ქ. №...-ში ორდერის საფუძველზე გადასაცემი ოთხთახიანი ბინა №... და ერთთახიანი ბინა №... ამ უკანასკნელის ნაცვლად ფაქტობრივად მიღებული (გადაცემული) აქვს მისი მულის – ნ. ტ-ის 4-წევრიან ოჯახს. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ნ. ტ-ის, ირაკლი და გიგლა გ-ეების წარმომადგენლის განმარტება, რომ თითქოსდა ანდრო გ-ემ, როგორც საქართველოს სანაოსნოს ყოფილმა მებღაურმა, მისი სტატუსიდან გამომდინარე ელოდებოდა რა ქალაქ ბათუმში, ...ის ქუჩაზე მშენებარე სამოთახიან ბინას, აღნიშნული ბინა ჩააბარა ბათუმის მერიას, ხოლო ასეთის სა-ნაცვლოდ ...ის ქუჩის №...-ში (...ის №...) მიიღო სწორედ ის ბინები, რაც უნდა გადასცემოდა მ. ტ-ის ოჯახს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უძრავი ნივთის გაცვლის დამადასტურებელი კანონ-შესაბამისი მტკიცებულება აპელანტთა მიერ არ წარმოდგენილა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემო-ებების შეფასებისას მიუთითა სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღა-ურების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებზე, კერძოდ, ზო-გადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე, სამოქალაქო კო-დექსის 408-ე, 409-ე მუხლების დანაწესებზე, ასევე დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებზე და აღ-

ნიშნა, რომ არსებობდა მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობები. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმის მასალებით დადასტურებულ გარემოებებზე, რომ მოსარჩელეთა მთლიან კომლს სარგებლობაში გააჩნდა 3400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლიდანაც სარგებლობაში დარჩათ 896 (725+171) კვ.მ ფართობი, ხოლო დანარჩენი მათი სარგებლობიდან სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) და არა, სხვა რომელიმე სუბიექტის სასარგებლოდ იქნა გასული, კერძოდ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული, ტ-იების კომლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნაწილი მოხმარდა ქალაქ ბათუმში მდებარე ...ის (...ის) ქუჩის მონაკვეთის მოწყობას, ხოლო ნაწილი მოექცა ახლად მოწყობილი ქუჩის მეორე მხარეს, რაც საქმის განხილვის დროისათვის მოცულია იმ 4 000 კვ.მ მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში, რომელიც მარეგისტრირებული ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული ქმედებით ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებად დარეგისტრირდა, შემდეგ კი ამ უკანასკნელის მიერ გაიყიდა და ამჟამად მასზე მრავალბინიან კორპუსს აშენებს შპს „ე...“. ამდენად, დადგენილია, რომ 3400 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან უფლება დარღვეულია 2504 კვ.მეტრზე, საიდანაც 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთი გამოყენებული იქნა ყოფილი ...ის, ამჟამად ...ის ქუჩის გაყვანის დროს (1985-1986 წწ.) სადაც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მხოლოდ მერია წარმოადგენს ვალდებულებითი ტვირთის მქონე სუბიექტს.

რაც შეეხება მარეგისტრირებული ორგანოს – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის პასუხისმგებლობას, ასეთი გამომდინარეობს იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ სასამართლო განჩინების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით 2006 წლის 17 მარტს დადგენილი წესის შესაბამისად მოსარჩელეთა კუთვნილ უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში ყადაღის რეგისტრაციის შემდგომ, იმავე წლის 5 აპრილს მიიღო მოპასუხე მერიის მოთხოვნის საფუძველზე რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება, რა დროსაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, რაც ამ შემთხვევაში უკავშირდებოდა ქალაქ ბათუმში ...ისა და ...ის ქუჩების კვეთაში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიან ფართობზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს, არ გამოუკვლევია იმ მხრივ, ნახაზზე დატანილი მთლიანი მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა თუ არა სახელმწიფოს კუთვნილ, თავისუფალ მიწის ნაკვეთს და მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში შედიოდა თუ არა სხვა

პირის, კონკრეტულ შემთხვევაში ყადაღის ქვეშ არსებული მოსარჩელეთა ოჯახის (კომლის) ქონებას განკუთვნილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნაწილი. ფაქტობრივად, მარეგისტრირებელმა ორგანომ დაყადაღებული ქონება აღრიცხა მერიის საკუთრებაში, რაც აუქციონის წესით განიკარგა და ახლა წარმოადგენს შპს „ე...ს“ საკუთრებას, რომლის საკუთრებაში არსებულ 3629 კვ.მ ფართობი შეესაბამება გზის გადაღმა დარჩენილი მოსარჩელეთა 1354 კვ.მ ოდენობის მიწის ნაკვეთი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს თვალსაზრისით, მოთხოვნის ამ ნაწილში დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ნორმებით სახეზეა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის პასუხისმგებლობა, ხოლო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა კი – უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლო ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნევს მოსარჩელეთა მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის (სარგებლის) ანაზღაურების ნაწილში და მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, აგრეთვე მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად კი ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. დასახელებული ნორმის შესაბამისად, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, მაგრამ მისი დადგენისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო-მატერიალური ნორმებისა და იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეთა თანასაკუთრებიდან (3400 კვ.მ) მიწის ნაკვეთი, უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოპასუხეთა მიერ ხელყოფილი იქნა 2504 კვ.მ მიწის ფართი, ხოლო ქ. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 30 დეკემბრის №857-ე დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულება მოსარჩელეთა მიმართ სრულად არაა შესრულებული, კერძოდ, ...ის ქუჩის გაყვანით მოსარჩელეთა საკარმიდამოდან ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მიწის ნაკვეთის საწინააღმდეგოდ მოსარჩელე მხარის სამ ოჯახთან მიმართებით აღებული ვალდებულება შესრულდა მხოლოდ ერთი ოჯახის მიმართ (ნ. ტ-ი), ხოლო დანარჩენი ორი ოჯახი კი – დაუკმაყოფილებელი, ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ ნაწილში აღებული ვალდებულება მაინც ნაწილობრივ შეუსრულებელი დარჩა. ამასთან ეჭვგარეშეა, რომ მოსარჩელე მხარე მერიის ნაცვლად მიწის ნაკვე-

თის უშუალოდ მის მიერ განკარგვის შემთხვევაში მიწის ნაკვეთში კუთვნილი ფართის შესაბამისად ფულადი ანაზღაურების სახით მიიღებდა სულ მცირე ერთ კვ.მ მიწის ფართში 113 ლარს, რა ფასშიც ეს უძრავი ქონება შპს „ე...მა“ შეიძინა ქალაქ ბათუმის მერიისაგან. შესაბამისად, მოსარჩელეს თავად რომ განეკარგა ქონება და მიეღო მისი საბაზრო ღირებულება, ეს თანხა რომ დაებანდებინა, ანუ სამოქალაქო ბრუნვაში ჩაეშვა, იგი უპირობოდ მიიღებდა სარგებელს, ფულის განსაკუთრებული თვისებებიდან გამომდინარე, რაც განპირობებულია სყიდვით უნარიანობის მაღალი ხარისხით და ყველა შემთხვევაში ანიჭებს ფულს სარგებლის მოტანის უნარს. ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალ საბანკო პროცენტის სახით. შესაბამისად წლიური სარგებლის სახით ფულადი თანხიდან 10%-ის მიღება პროგნოზირებადია სამოქალაქო ურთიერთობისათვის და ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, არ სცილდება გონივრული და სამართლიანი თანაფარდობის ფარგლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა სა-ქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 26 მაისის №359 გადაწყვეტილებით ტ-იების კომლთან მიმართებით ნაკისრი ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა, სახელდობრ ტ-იებს სულ უნდა გადასცემოდათ $77,68+20,3+20,3+56=174,28$ კვ.მ, საიდანაც მიღებული აქვთ მხოლოდ მ. ტ-ის წილი 77,68 კვ.მ (საცხოვრებელი ფართი), რაც მთლიანად მისაღები ფართის 174,28 კვ.მ (100%) მხოლოდ 44.57%- წარმოადგენს. ამდენად, აპელანტებს (მოსარჩელეებს) მისაღები დარჩათ $(100\%-44.57\%)=55,43\%$. იმდენად, რამდენადაც ეს ეხება ძველ ურთიერთობას და მოსარჩელეთა კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან სწორედ ძველ ურთიერთობას-...ის ქუჩის გაყვანას მოხმარდა 1150 კვ.მეტრი მიწა, რომლის საერთო ღირებულება აუქციონის საბაზრო ღირებულებით შეადგენდა $(1150 \times 113)=129,950$ ლარს, მოსარჩელეებს ეკუთვნით (მისაღები აქვთ) ამ თანხის 55.43%. რაც უდრის 72,031.28 ლარს, რისი ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს მხოლოდ მერიას. მასვე უნდა დაეკისროს ამ თანხის გადაუხდელობით მიუღებელი შემოსავლის სახით წლიურად 10%-ზე გაანგარიშებით 2008 წლის 25 თებერვლიდან – 2021 წლის მაისამდე (13 წელი, 2 თვე) ერთჯერადად 94841,18 ლარის ანაზღაურება, ხოლო 2021 წლის 25 აპრილიდან გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე ყოველთვიურად 7203,12 ლარის (თვეში 7203

12. : 12 = 600,26 ლარის) ანაზღაურება.

რაც შეეხება გზის მეორე მხარეს ჯერ სახელმწიფოს, შემდეგ კი „ე...ს“ საკუთრებაში აღრიცხული ტ-იების კომლის კუთვნილი 1354 კვ.მ მიწის ღირებულების ანაზღაურებას, ასეთი უნდა განისაზღვროს $(1354 \times 113) = 153\,002$ ლარის ოდენობით, რაც სოლიდარულად უნდა დაეკისროთ საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოს აჭარის რეგიონულ ოფისს და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას. მათვე უნდა დაეკისროთ ამ თანხის გადაუხდელობით მიუღებელი შემოსავლის სახით, წლიურად 10%-ზე გაანგარიშებით (10 % 1 წელზე = 15 300,20 ლარი,) 2008 წლის 25 თებერვლიდან 2021 წლის 25 აპრილამდე 13 წელი $(19\,8902,6) + 2$ თვე $(1275,01 \times 2 = 2550,03) = 201\,452,63$ (ორასერთი ათას ოთხასორმოცდათორმეტი ლარი და 63 თეთრი) ლარი ერთჯერადად, ხოლო 2021 წლის 25 აპრილიდან გადაწყვეტილების სრულად აღსრულებამდე ყოველწლიურად 15 300,20 (თვეში 15300,20 : 12 = 1275,01) ლარის ანაზღაურება.“

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იებმა, გ. და ი. გ-ეებმა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

ნ., ი., პ., მ. და ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ეების საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებს:

საკასაციო საჩივრის თანახმად, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ ერთმნიშვნელოვნად დადგენილია, რომ მოსარჩელეთა თანასაკუთრებაში რიცხული 3400 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთიდან მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით ხელყოფილი, გასხვისებული და განკარგული იქნა დაახლოებით, მიწის 75%, რამაც დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, წარმოშვა მოსარჩელეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. კასატორები აღნიშნული მოთხოვნის სარეალიზაციოდ ითხოვენ იმ ოდენობის ზიანის ანაზღაურებას, რაც მიღებული აქვთ დამდგარ შედეგში ბრალეულ ადმინისტრაციულ ორგანოებს, თუმცა სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნის მხოლოდ მცირე ნაწილი, რაც გულისხმობს მართლმსაჯულების მხრიდან დავის საგნისადმი არასამართლიან, არაპროპორციულ, არათანაზომიერ, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ მიდგომას.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატის მსჯელობა – მოსარჩელეთათვის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზ-

ღვრისათვის 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებად 113 ლარის დადგენა, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, ფაქტობრივი გარემოების სწორ ანალიზსა და შეფასებას, რამეთუ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მიხედვით, შპს „ე...ს“ საკუთრებაში კი გადაეცა 3629 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 410 000 ლარად, მაგრამ ამ ოქმის, ანუ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მე-6 პუნქტის დათქმის თანახმად, მყიდველი მხარე ვალდებულია ამ მიწის ნაკვეთში კიდევ დამატებითი ფასი გადაიხადოს ნატურის სახით. ამასთან, დასახელებული ოქმის თანახმად, მყიდველმა გამყიდველის მიმართ იკისრა სხვადასხვა ვალდებულებების შესრულება. კასატორების მითითებით, მიწის ნაკვეთის ნასყიდობის საგნის ღირებულება განსახილველ შემთხვევაში მოიცავს, როგორც სანაცვლოდ მიღებულ ფულად თანხას, ასევე ნასყიდობის საგანზე აშენებული კორპუსებიდან კომერციული და არაკომერციული საერთო სასარგებლო ფართის 15%-ს ე.წ. „გასაღების ქვეშ“. ამ ნატურით მისაღები ქონების ოდენობა, შპს „ე...დან“ გამოთხოვილი და საქმეში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეადგენს არსებული სარდაფის სართულის კომერციული სასარგებლო ფართიდან 2481.7 კვ.მ-ის აღძვრის დროისათვის დასრულებული მშენებლობების 15%-ს, ანუ 372.26 კვ.მ-ს; პირველი სართულის კომერციული სარეალიზაციო ფართიდან 1514 კვ.მ-ის 15%-ს, ანუ 227.10 კვ.მ-ს; ანტრესოლის სარეალიზაციო ფართიდან 1868 კვ.მ-ის 15%-ს, ანუ 280.20 კვ.მ-ს და საცხოვრებელი სასარგებლო ფართიდან 23 731.5 კვ.მ-ის 15%-ს, ანუ 3559.73 კვ.მ-ს. საიდანაც, ხსენებული პროპორციის დაცვითა და გათვალისწინებით მოსარჩელებზე მოდის შემდეგი ოდენობის ფართები: 372.26 კვ.მ-ის 69% – 256.86 კვ.მ; 227.10 კვ.მ-ის 69% – 156.70 კვ.მ; 280.20 კვ.მ-ის 69% – 193.34 კვ.მ და 3559.73 კვ.მ-ის 69% – 2456.21 კვ.მ. გამომდინარე აქედან, კომერციულ ფართში მოსარჩელეთა ხვედრითი წილი შეადგენს 606.90 კვ.მ-ს (256.86+156.70+193.34), ხოლო საცხოვრებელი ფართში – 2456.21 კვ.მ-ს, რომლის ნატურით მიღებაზეც მოსარჩელე მხარე იმთავითვე თანხმობას აცხადებდა და აცხადებს დღესაც. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაზარალებული მოსარჩელე მხარისათვის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრის ნიშნულად ხსენებული უძრავი ქონების (3629 კვ.მ მიწის ნაკვეთი) ნასყიდობის ხელშეკრულებიდან მხოლოდ ნასყიდობის საგნის ღირებულების სახით ერთ კვ.მ მიწის ნაკვეთში 113 ლარის მიღება, ყოველგვარ ლოგიკას, საფუძველსა და დასაბუთებას მოკლებულია, რის თაობაზეც სათანადო აპელირება გაკეთდა სააპელაციო საჩივარსა და საქმის სააპელაციო განხილვისას წერილობით მოსაზრე-

ბა-პოზიციაში. თუმცა დავის აღნიშნულ ნაწილს სააპელაციო პალატა მსჯელობისა და შეფასების საგნად არ ხდის.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებს:

საკასაციო საჩივრის თანახმად, მოსარჩელეთა მოთხოვნას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მიზნით, თანხის დაკისრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისისთვის, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის არ არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოთხოვნის საფუძვლიანობა უნდა შემოწმდეს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში კი სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, რომლის დანაწესის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის, რომ მოთხოვნილი იქნეს ზიანის ანაზღაურება უნდა არსებობდეს კუმულატიურად შემდეგი გარემოებები: ზიანი, ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი, ზიანის მიმყენებელს მიუძღოდეს ბრალი. ერთ-ერთი გარემოების არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს არც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არც ზიანის მიყენების ფაქტი. კასატორი აღნიშნავს, რომ ყველა ის სამართლებრივი აქტი, რომელიც საფუძვლად დაედო ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებად რეგისტრაციას, კანონშესაბამისად იქნა მიჩნეული. ამდენად, ქალაქ ბათუმის მერიას გააჩნდა მინის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების და შემდგომ მისი განკარგვის სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ქალაქ ბათუმის მერიის უსაფუძვლოდ გამდიდრების ფაქტი.

კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა, ერთი მხრივ, ემყარებოდა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 28 მაისის №359 გადაწყვეტილებას, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება ითვალისწინებს ბინების გადაცემას გარკვეული პირობით, კერძოდ, ...ის ქუჩის მშენებლობასთან დაკავშირებით ათვისებაში მოხვდა სამი ოჯახის მინის ნაკვეთი. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ათვისებაში მოხვედრილი სამი ოჯახი თავის შემადგენლობის მიხედვით იყო 12 ოჯახად, 12 ოჯახიდან 9 ოჯახი ითხოვს კეთილმო-

ყობილი ბინების მიღებას, ხოლო სამი საგარანტიო წერილის მიღების შემთხვევაში თანახმა არიან გაათავისუფლონ დაკავებული საცხოვრებელი ფართი და დაელოდონ საცხოვრებელი სახლის აშენებას. უდავო ფაქტია, რომ მოსარჩელებს არ გაუთავისუფლებიათ საცხოვრებელი სახლი და არ დაუთმიათ უფლებამოსილი პირისათვის, ამდენად, აღნიშნულ დოკუმენტი ვერ გახდება მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა გარდა იმისა, რომ დაუსაბუთებელია, ამასთან ხანდაზმულობაა, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძველებს:

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა შეფასებული საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არასწორად იქნა გამოყენებული ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, რამაც განაპირობა სადავო გადაწყვეტილების მიღება. კასატორის მოსაზრებით, საქმეში დაცული მონაცემები არ ქმნიდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საჯარო რეესტრის ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ შეფასებისთვის დაეყრდნო მხოლოდ ერთ ფაქტობრივ გარემოებას, კერძოდ, 2006 წლის 16 მარტის აჭარის სააღსრულებო ბიუროს მომართვის საფუძველზე განხორციელებულ ყადაღის რეგისტრაციას, რომელიც თავად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შეზღუდვებისა და უფლებების რეგისტრაციის სამსახურის 2015 წლის 4 სექტემბრის გადანაცვებითი ძალადაკარგულად გამოცხადდა, რაც აისახა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების რეესტრში. მოსარჩელები მიუთითებენ, რომ მათი კომლის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის, კერძოდ, 3400 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1150 კვ.მ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხმარდა ...ის ქუჩის გაყვანას, ხოლო 2006

წლის 14 მარტის მოვალის ქონების აღწერის (და დაყადაღების შესახებ) აქტში არაა მითითებული (ქონების აღწერის შესაბამის გრაფაში), რომ ყადაღა დაედო სწორედ ...ის ქუჩას (მის ნაწილს 1150 კვ.მ.-ის ოდენობით).

კასატორი მიუთითებს 2006 წლის მარტში მოქმედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 48.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, ქონების აღწერის (დაყადაღების) აქტში უნდა აღინიშნოს აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება, მისი განმასხვავებელი ნიშნები (წონა, მეტრაჟი, ცვეთა და სხვა). ხსენებულ აქტში კი მითითებულია 3400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ...ის ქუჩის თაობაზე, რომელიც მოსარჩელეთა მოსაზრებით, ჯერ კიდევ 80-იან წლებში იქნა გაყვანილი და რასაც მათი საკომლო მიწის ნაკვეთის ნაწილი, ანუ 3400 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1150 კვ.მ მოხმარდა, მითითებული არაა. გარდა ამისა, 2006 წლის 16 მარტის აჭარის სააღსრულებო ბიუროს მომართვაში უძრავი ნივთის მისამართად მითითებულია ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ...ა, ხოლო 2006 წლის 5 აპრილს ქალაქ ბათუმის მერიის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა ქალაქ ბათუმში, ...ისა და ...ის ქუჩების კვეთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების რეესტრის მონაცემებით კი, ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებაში არსებულ ... საკადასტრო კოდის მქონე უძრავ ნივთზე ყადაღის რეგისტრაციის ფაქტი არ დგინდება.

საქმეზე უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადანაცვტილების მსჯელობას და აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულიად მართებულად მიუთითა, რომ ქალაქ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 30 დეკემბრის №0857 დადგენილების საფუძველზე მოსარჩელეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის განკარგვასთან, საჯარო რეესტრის ბრალეულობის დაკავშირება მოკლებულია ყოველგვარ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს და დასაბუთებულობას.

კასატორი საკასაციო საჩივრით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ასევე ითხოვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმეში მესამე პირად ჩართვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 ივლისისა და 4 აგვისტოს განჩინებებით ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ეების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-

გენტოს საკასაციო საჩივრები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შემთხვევაში სამომავლოდ წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 14 მარტის განჩინებით ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ეების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილულ იქნებოდა მათი დასრულების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ., ი., პ., მ., ც. ტ-იების, გ. და ი. გ-ეების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების (კომპენსაციის) კანონიერების შეფასება.

კასატორი მოსარჩელე მხარე სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობის დასადასტურებლად მიუთითებს უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობაზე. მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ მათ კომლს ეკუთვნოდა 0.34 ჰა (3400 კვ.მ), რომლიდანაც უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოპასუხე მხარის მიერ ხელყოფილი იქნა 2504 კვ.მ მიწის ფართი. აღნიშნული ფართის ნაწილი (1150 კვ.მ) მერიამ გამოიყენა მიწის ნაკვეთზე გზის მოსაწყობად, ხოლო 1354 კვ.მ ფართზე საკუთრების უფლება, 2008 წლის 25 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე, გადასცა შპს „ე...ს“. მოსარჩელები რომ ყოფილიყვნენ მითითებული შეთანხმებით მიწის ფართის გამსხვისებლები, მაშინ კუთვნილი წილის (2504 კვ.მ მიწის ნაკვეთის) პროპორციულად, ქ. ბათუმის მერიის ნაცვლად საკუთრებაში მიიღებდნენ ფულად თანხასა და კომერციულ/არაკომერციულ ფართებს, შესაბამისად, მათ უნდა აუნაზღაურდეთ ის ოდენობა, რასაც „მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთში იღებს ამავე მიწის ნაკვეთის უკანონოდ განკარგვისთვის ბრალეული მხარე (ქა-

ლაქ ბათუმის მერია)“. ამდენად, მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითეს უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობებიდან გამომდინარე მოპასუხის ვალდებულებების არსებობაზე.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორი მოსარჩელე მხარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეთა მიმართ მოპასუხეების ვალდებულებები გამომდინარეობენ უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობებიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982.1 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005.1 მუხლის მიხედვით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები მოპასუხეს აკისრებენ მოსარჩელისთვის იმ ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობის დაბრუნებას/აღდგენას, რომელიც დაზარალებულს გააჩნდა/ექცებოდა მოპასუხის ქმედების გარეშე. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობებიდან გამომდინარე მოსარჩელეთა მოთხოვნების საფუძვლიანობის შესამოწმებლად, პირველ რიგში უნდა შეფასდეს მოსარჩელების მიერ მითითებულ 2504 (1150+1354) კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით მათი ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობებიდან გამომდინარე მოპასუხეების მიმართ სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელეთა ა) საკუთრების უფლების ან ბ) საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის ან გ) საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის არსებობა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი მთავრობის აპარატის ურთიერთობის სამსახურის უფროსის მიერ ხელვაჩაურის რაიონის ...ის თემის საკრებულოს სოფელ ...ის მცხოვრებ ...ის ნე. ტ-ის 2005 წლის 28 აპრილის № ტ-1139 განცხადებაზე მომზადებული დასკვნის თანახმად, დასტურდება, რომ ...ის

თემის საკრებულოს საკომლო დავთრებისა და მიწების ზონარგაყრილი წიგნის ჩანაწერებით, ან.გარდაცვლილი ც. ტ-ის ოჯახის სარგებლობაში ირიცხებოდა 0.34 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, საიდანაც ქალაქ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 30 დეკემბრის №857 გადაწყვეტილებით ქალაქის განაშენიანებასთან დაკავშირებით ...ის (ყოფილი ...ის) ქუჩის, აგრეთვე ამავე ქუჩის №...-ში 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის გამო ტ-იების ოჯახს ფაქტობრივ სარგებლობაში დარჩა 0.1 ჰა მიწის ფართობი (...ის ქუჩის ამ მონაკვეთის მოწყობას მოხმარდა 1360 კვ.მ, ხოლო ქუჩის მეორე მხარეს მოექცა, 1040 კვ.მ მიწის ფართობი). დასახელებული დასკვნის თანახმად, ასევე დასტურდება, რომ ქალაქ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 28 მაისის №359 გადაწყვეტილებით ან. გარდაცვლილ ც. ტ-ის, როგორც ათვისებაში მოხვედრილ ოჯახს, რომელიც თავისი შემადგენლობის მიხედვით იყოფა სამ ოჯახად (ც. ტ-ი, ნე. ტ-ი და ნ. ტ-ი), ...ის №...-ში ასაშენებელ საცხოვრებელი სახლში მიეცათ საგარანტიო წერილი ორი ერთოთახიანი და ერთი ოთხოთახიანი ბინის მისაღებად, რითაც მათ არ უსარგებლიათ, ...ის ქუჩის №...-ში 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აუშენებლობის გამო. მოცემული დასკვნის თანახმად, ან. გარდაცვლილ ც. ტ-ის შვილი – ია. ტ-იი ...ის თემის საკრებულოში 1994 წლიდან ითვლება ოჯახის უფროსად და სარგებლობაში არიციხა 0.34 ჰა მიწის ნაკვეთი, რაზედაც გადახდილი აქვს დაწესებული ტარიფის მიხედვით მიწის გადასახადი, რაც დასტურდება ხელვაჩაურის რაიონის საგადასახადო სამსახურის მიერ გადასახადის აკრეფის ქვითრებით.

თავის მხრივ, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 26 მაისის №359 გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ აღმასკომის 1985 წლის 30 დეკემბრის №857 გადაწყვეტილებით, 104-ბინიანი 9-სართულიანი 9 საცხოვრებელი სახლის და ...ის ქუჩის მშენებლობისათვის გამოიყო ...ის ხიდთან მდებარე ტერიტორია 1.2 ჰა არსებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ათვისებით. მშენებლობასთან დაკავშირებით ათვისებაში მოხვდა 3 საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ცხოვრობოდა სამი ოჯახი 38 წევრის შემადგენლობით, ამასთან ერთად ათვისებაში მოხვდა სამი ოჯახის მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთი. ზემოაღნიშნული სამი ოჯახი თავისი შემადგენლობის მიხედვით, იყოფოდა 12 ოჯახად. 12 ოჯახიდან 9 ოჯახი ითხოვდა კეთილმოწყობილი ბინის მიღებას, ხოლო სამი საგარანტიო წერილების მიღების შემთვევაში თანახმა იყო გამოეთავისუფლებინა დაკავებული საც-

ხოვრებელი ფართი და დალოდებოდა საცხოვრებელი სახლის აშენებას. ამავე გადანყვეტილებით: 1. დამტკიცდა 104-ბინიანი, 9-სართულიანი, 9 საცხოვრებელი სახლისა და ...ის ქუჩის მშენებლობასთან დაკავშირებით ათვისებაში მოხვედრილ მობინადრეთა სია და-ნართი № 1-ის მიხედვით; 2. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილებას დაევალა 104-ბინიანი, 9-სართულიანი, 9 საცხოვრებელი სახლისა და ...ის ქუჩის მშენებლობასთან დაკავშირებით ათვისებაში მოხვედრილ №2 და-ნართში ჩამოთვლილი მობინადრეებზე ორდერის გაცემა, ...ის ქუჩის №...-ში მდებარე 9-სართულიან საცხოვრებელ სახლში 4 კეთლმოწყობილი ბინის მისაღებად, საიდანაც მ. ტ-ის ოჯახს ხუთი ნევრის შემადგენლობით (თვით, მეუღლე და სამი შვილი) განესაზღვრა ოთხოთახიანი ბინა №..., სადარბაზო II, სართული IV და ერთოთახიანი ბინა №..., სადარბაზო II, სართული IV, საერთო საცხოვრებელი ფართი 77,68 კვ.მ; 3. დამტკიცდა 104-ბინიანი, 9-სართულიანი, 9 საცხოვრებელი სახლისა და ...ის ქუჩის მშენებლობასთან დაკავშირებით ათვისებაში მოხვედრილ მობინადრეებზე კეთილმოწყობილი ბინების მიღებაზე გასაცემად წარმოდგენილი საგარანტიო წერილები დანართი №3 მიხედვით, კერძოდ: 1. ც. ტ-ის ოჯახზე ერთი ნევრის შემადგენლობით 104-ბინიან 9-სართულიან №9 საცხოვრებელ სახლში ერთოთახიანი ბინა №9, I სადარბაზო სართული IV, საცხოვრებელი ფართი 20,3 კვ.მ; 2. ნე. ტ-ის ოჯახზე ერთი ნევრის შემადგენლობით 104-ბინიან 9-სართულიან №10 საცხოვრებელ სახლში ერთოთახიანი ბინა №9, I სადარბაზო, IV სართული, საცხოვრებელი ფართი 20,3 კვ.მ; 3. ნ. ტ-ის ოჯახზე ოთხი ნევრის შემადგენლობით (თვით, მეუღლე და ორი შვილი) 104-ბინიან 9-სართულიან №9 საცხოვრებელ სახლში ოთხოთახიანი ბინა №....., I სადარბაზო, IV სართული, საცხოვრებელი ფართი 56 კვ.მ; 4. მ. ტ-ის ორდერის საფუძველზე უნდა გადასცემოდა ერთი ოთხოთახიანი და ერთი ერთოთახიანი ბინები ...ის ქუჩა №...-ში (ბინა №... და ბინა №..., საერთო ჯამში 77.68 კვ/მ საცხოვრებელი ფართის მქონე ბინები) ამავე ქუჩაზე აშენებულ საბინაო ფონდში ორდერის საფუძველზე.

საქმის მასალებში დაცული, მოსარჩელის წარმომადგენლის დაკვეთით შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზებისა და სიტუაციური გეგმის თანახმად, 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1354 კვ.მ მდებარეობს ქალაქ ბათუმში, ...ის ქ. №...-ში – ს/კ ..., ხოლო 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ...ის ქუჩის ნაწილი. ამასთან, ზემოხსენებულ აზომვითი ნახაზებსა და სიტუაციურ გეგმაში მითითებულია ქალაქ ბათუმში, ...ის ქ. №...-ში მდებარე 725 კვ.მ მიწის ნაკვეთი – ს/კ ... და ასევე ...ის ქ. №...-ს მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. სულ 4 მიწის ნაკვეთი

($1354+1150+725+171=3400$), რომლებიც ქმნიან ერთიან მიწის ნაკვეთს. საჯარო რეესტრიდან 2009 წლის 24 ივნისის ამონაწერის თანახმად, ტ-იების კომლში შემავალი ერთ-ერთ წევრის – ნე. ტ-ის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 725 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ...ის ქ. №...-ში, ხოლო ...ის ქ. №...-ში არსებულ 1354 კვ.მ-სა და თავად ...ის ქუჩის მოსაწყობად გამოყენებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი არ დგინდება.

დასახელებული გარემოებები ცხადყოფენ, რომ კასატორთა (მოსარჩელეთა) მთლიან კომლს გააჩნდა 3400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, საიდანაც საბოლოოდ სარგებლობაში დარჩათ მხოლოდ 896 ($725+171$) კვ.მ. ფართობი, ხოლო დანარჩენი ფართობი მათი სარგებლობიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ იქნა გასული. სახელდობრ, ტ-იების კომლზე რიცხული საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნაწილი დაკავებული იქნა ...ის (დღევანდელი ...ის) ქუჩის გაყვანისა და მოწყობისას, ხოლო ნაწილი მოქცეულია ...ისა და ...ის ქუჩების კვეთაში მდებარე, იმ 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში, რომელიც ქალაქ ბათუმის მერის 2006 წლის 4 აპრილის მიმართვისა და ქალაქ ბათუმის მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის №51 დადგენილების საფუძველზე, საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მერის საკუთრებად დარეგისტრირდა, ხოლო შემდეგ გასხვისდა მპს „ე...ზე“.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელეთა ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა განსაზღვრა ...ის საკრებულოს გამგებლის 23.03.1992წ. №2377 ცნობისა და ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის 25.12.2006წ. №7-ტ და 16.03.2007წ. №04-13 საარქივო ცნობების საფუძველზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელებს თანასაკუთრებაში ჰქონდათ 0.34 ჰა (3400, მათ შორის სადავო 2504 კვ.მ) მიწის ნაკვეთი. ...ის საკრებულოს გამგებლის 23.03.1992წ. №2377 ცნობის თანახმად, ტ-იების ოჯახი სარგებლობს 0.34 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის 25.12.2006წ. №7-ტ და 16.03.2007წ. №04-13 საარქივო ცნობების მიხედვით, ხელვაჩაურის რაიონის ...ის სასოფლო საკრებულოს 1986-2006 წლების საკომლო წიგნი №3, ს. ...ი, საკომლო წიგნი სულ მიწის რაოდენობად ნაჩვენებია 0.34 ჰა, 1983-1985წწ. საკომლო წიგნი №3, ტ-იების კომლს აწერია 0.34 ჰა. აჭარის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს ხელვაჩაურის საარქივო განყოფილების 26.01.2009წ. №04/ტ საარქივო ცნობის განმარტებითი ბარათის თანახმად, ტ-იების კომლს 1986 წლიდან 2006 წლის ბოლომდე პირად სარგებლობაში აწერია 0.34 ჰა მიწა. მითითებულ ცნობებში ასახუ-

ლი ინფორმაციის უშუალო საფუძველია სოფელი ...ის საკომლო წიგნი №3-ის მონაცემები, რომლის თანახმად, ტ-იების კომლს პირად სარგებლობაში გააჩნდა 0.34 ჰა მიწა (სოფელი ...ის საკომლო წიგნი №3-ის შესაბამისი ნაწილის ასლი). საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას 0.34 ჰა მიწის ნაკვეთზე მოსარჩელების თანასაკუთრების გავრცელების თაობაზე და აღნიშნავს, რომ მათ მითითებულ ფართზე შესაძლოა ჰქონოდათ არა საკუთრების, არამედ სარგებლობის უფლება, რაც გამომდინარეობდა საქართველოს სსრ 26.12.1964წ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოწესრიგებიდან (93-ე მუხლის მიხედვით, მიწა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფებოდა). საკომლო წიგნის მონაცემების მიხედვით პირად სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობა თავდაპირველად გათვალისწინებულ იქნა 1992 წლის იანვარში დაწყებული მიწის რეფორმით („საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 18.01.1992წ. №48 დადგენილების მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, საბაღო და სააგარაკო მიწები უსასყიდლოდ გადადიოდა მათ კერძო საკუთრებაში.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიწის რეფორმის პროცესში მიწის მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო აქტის გაცემის ერთადერთ საფუძველს მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენდა („საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე დოკუმენტაციის გაფორმების რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 28.06.1993წ. №503 დადგენილების მე-2 პ.). საქმის მასალებში დაცულია ხელვაჩაურის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 15.05.2002წ. №ტ-4 წერილი, რომლის თანახმად, ტ-იების კომლის ერთ-ერთ წევრის მოთხოვნა 0.34 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენასა და რეგისტრაციაზე, არ დაკმაყოფილდა, წერილში ასევე აღინიშნა, რომ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა და მისი რეგისტრაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ ხელვაჩაურის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრების გამიჯვნის შემდგომ. საქმის მასალებში წარმოდგენილი არაა ხელვაჩაურის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის 15.05.2002წ. №ტ-4 წერილის გასაჩივრებისა და 0.34 ჰა, მათ შორის 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მიღება-ჩაბარების აქტის ადმინისტრაციული ორგანოსთვის დავალების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. მოგვიანებით, ტ-იების კომლის ერთ-ერთმა წევრმა

21.11.2006წ. დაზუსტებული სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ტ-იების კომლის სახელზე რიცხული 0.34 ჰა მიწის ნაკვეთის თაობაზე საკომლო წიგნის ჩანაწერის ნამდვილობის აღიარება. საქმის მასალებში დაცული არაა აღნიშნული 21.11.2006წ. დაზუსტებული სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება. 22.10.2008წ. განცხადებით, ტ-იების კომლის ერთ-ერთმა წევრმა მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ...ის ქ. №...-ში მდებარე 724.5 კვ.მ მიწის ნაკვეთსა (შდრ. აზომვითი ნახაზები) და ...ის ქუჩა №...-ში არსებული 1880 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (შდრ. აზომვითი ნახაზები) საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 07.11.2008წ. №135 ოქმიდან ამონაწერის თანახმად, კომისიამ „მიმდინარე პერიოდისთვის“ მიზანშეუწონლად მიიჩნია 1880 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ტ-იების კომლის ერთ-ერთი წევრის საკუთრების უფლების აღიარება იმის გამო, რომ გადაწყვეტილების მიღების დროისთვის მითითებული ფართის მიმართ სასამართლო წესით მიმდინარეობდა დავა და ქონებაზე პრეტენზია სხვადასხვა პირებს გააჩნდათ. იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ საქმის მასალებით არ დგინდება 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაცემა, საკუთრების უფლების აღიარების დამადასტურებელი საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა და მართლზომიერად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, ასევე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული იმ გადაწყვეტილების არსებობა, რომლითაც დადგინდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება 2504 კვ.მ ფართზე მიღება-ჩაბარების აქტის გაცემის ან საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ დასტურდება 2504 (1354+1150) კვ.მ მიწის ნაკვეთთან მიმართებით მოსარჩელეთა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის არსებობა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის დაკვეთით შესრულებული აზომვითი ნახაზების საფუძველზე, დაადგინა სადავო 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთის დღეის მდგომარეობით მდებარეობა, თუმცა გამოკვლეული არაა მითითებულ ფართს (1150+1354 კვ.მ-ს) რამდენად მოიცავდა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის აღმასკომის 30.12.1985წ. №857 და

28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებებით ათვისებაში მოხვედრილი 12 000 კვ.მ ტერიტორია. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საკომლო წიგნით მოსარჩელებზე რიცხული 0.34 ჰა მიწის ნაკვეთიდან 1150 კვ.მ მოხმარდა ...ის ქუჩის ამჟამად ...ის ქუჩის მონაკვეთის მოწყობას, ხოლო 1354 კვ.მ-ს მოიცავდა შპს „ე...ს“ მიერ ქ. ბათუმის მერიისგან შეძენილი 3629 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც კომპანია მრავალბინიან კორპუსს აშენებდა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის აღმასკომის 30.12.1985წ. №857 და 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებებით 1.2 ჰა ტერიტორია გამოიყო არამხოლოდ ...ის ქუჩის (ამჟამად ...ის ქუჩის), არამედ ასევე ...ის ქ. №1-ში 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით. საქმის მასალებში დაცული საჯარო რეესტრიდან 29.06.2012წ. ამონაწერის თანახმად, 3629 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარეობდა ქ. ბათუმის ...ისა და ...ის ქუჩების კვეთაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის 22.04.2015წ. №25/7727 წერილის მიხედვით, შპს „ე...ს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მისამართად განისაზღვრა ქ. ბათუმი, ...ის ქ. №..., საჯარო რეესტრიდან 29.04.2015წ. ამონაწერის თანახმად, 3629 კვ.მ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ...ის ქ. №1-ში. ქ. ბათუმის მთავრობის 24.02.2006წ. 01-25/6-1 №51 დადგენილებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის თაობაზე კონკურსი გამოცხადდა სწორედ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ... კომპლექსის მშენებლობის მიზნით. ამდენად, მოსარჩელე მხარის მიერ მითითებული 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მფლობელობის (სარგებლობის) მართლზომიერებისა და შესაბამისად, ამ ფართზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის არსებობის შეფასებისთვის მნიშვნელობის მქონე, დასადგენი გარემოებაა: მოსარჩელე მხარის მიერ მითითებულ კონკრეტულ 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მათ შორის იმ 1354 კვ.მ ფართს, რომელზედაც კომპანია აწარმოებს/აწარმოებდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსის) მშენებლობას, რამდენად მოიცავდა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის აღმასკომის 30.12.1985წ. №857 და 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებებით გამოყოფილი და ათვისებაში მოხვედრილი ტერიტორია (...ის ქუჩის მონაკვეთი და ...ის ქ. №...). საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით, სასამართლოს შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს არა მხოლოდ მისცეს წინადადება, არამედ საჭიროების შემთხვევაში დაავალოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა (შდრ. სუსგ 18.10.2022წ., ბს-376(კ-22)). იმ შემთხვევაში, თუ

დასტურდება მოსარჩელე მხარის მიერ მითითებული კონკრეტული 2504 კვ.მ ფართის კორპუსისა და გზის მშენებლობის მიზნით გამოყოფა და ათვისებაში მოხვედრა, მაშინ მოსარჩელე მხარის მიმართ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებები განისაზღვრება ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის აღმასკომის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით (შდრ. მსგავსი კატეგორიის საქმეზე მიღებული სუსგ 29.09.2022წ., №ბს-417-417(კ-18)) და არა მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მოსარჩელის მიერ მითითებულ 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობებიდან გამომდინარე.

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 30 დეკემბრის №857 და 1986 წლის 28 მაისის №359 გადაწყვეტილებები მათი მიღების პერიოდში მშენებლობისთვის გამოყოფილი და ათვისებაში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების მოსარგებლეებსა და ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამონაცვლე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია (შდრ. 29.09.2022წ., №ბს-417-417(კ-18)). საქმეში დაცული მასალებით არ დასტურდება ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 30 დეკემბრის №857 და 1986 წლის 28 მაისის №359 გადაწყვეტილებების გაუქმება აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს ან რომელიმე სხვა ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ. ამას გარდა, მითითებული გადაწყვეტილებების იურიდიულ ძალას ადასტურებს ისიც, რომ თავად ტიების კომლის წევრებმა მოითხოვეს და საკუთრებაში მიიღეს ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებაში მითითებული ის ბინები (...ის ქუჩა №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის №... და №... ბინები), რომელთა გადაცემაც მითითებული გადაწყვეტილების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო საცხოვრებელი სახლის (კორპუსისა) და ...ის ქუჩის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის განთავისუფლების მიზნით. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ ქ. ბათუმში, ...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის №... და №... ბინები უნდა გადასცემოდა მ. ტ-ისა და მის ოჯახს. საქმის მასალებით არ დასტურდება მ. ტ-ისა და მისი ოჯახის წევრების მიერ მითითე-

ბულ საცხოვრებელ ფართების სარგებლობაში და/ან საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოებისთვის მიმართვა, თუმცა ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის 20.10.2005წ. წერილის მიხედვით, მიწის ფართის ათვისების სანაცვლოდ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ქ. ბათუმში, ...ის ქ. №...-ში არსებული საცხოვრებელი ფართის დაკანონება თავდაპირველად ნ. ტ-იმა მოითხოვა, რაც არ დაკმაყოფილდა. მოგვიანებით, თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 25.11.2011წ. №02/406 ბრძანების „დ“ და „ე“ პუნქტების თანახმად, ქ. ბათუმში, ...ის ქ. №...-ში, №... და №... ბინა უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცათ ა. გ-ეს, გ. გ-ეს, ი. გ-ესა და ნ. ტ-ის. კასატორი მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის 25.11.2011წ. №02/406 ბრძანება არ უკავშირდება ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებას და ა. გ-ეს, მის მეუღლე ნ. ტ-ისა და მათ ოჯახს აღნიშნული ბინები არ გადასცემიათ მ. ტ-ისა და მისი ოჯახის ნაცვლად. საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორი მოსარჩელე მხარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის 25.11.2011წ. №02/406 ბრძანებით ა. გ-ისთვის, გ. გ-ისთვის, ი. გ-ისა და ნ. ტ-ისთვის საკუთრებაში გადაცემულ ბინებს კავშირი არ აქვთ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ საცხოვრებელ ფართებთან. მითითებული ბრძანების თანახმად, ა. გ-ე, გ. გ-ე, ი. გ-ე და ნ. ტ-ი მიჩნეულ იქნენ ...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის №... და №... ბინების კანონიერ მოსარგებლებად. აღნიშნული ბინების პრივატიზების თაობაზე განცხადებას თან ერთოდა პირადი ბარათი, რომლის თანახმად, ბინის დამქირავებელია ა. გ-ე და მითითებულ ფართში ცხოვრობდნენ ა. გ-ე, გ. გ-ე, ი. გ-ე და ნ. ტ-ი, თუმცა არც ბინების პრივატიზებასთან დაკავშირებით გამართულ ადმინისტრაციული წარმოების და არც განსახილველ საქმეზე სასამართლო წარმოების ეტაპზე საქმის მასალებში დაცული არაა რაიმე წერილობითი გადაწყვეტილება, ბინის ორდერი ან სხვა დოკუმენტი თუ ვისგან და როდის მოხდა ა. გ-ის ან მისი ოჯახის წევრის მიერ ბინების დაქირავება, გარდა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებისა, რომლითაც განისაზღვრა ...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის №... და №... ბინებზე ორდერის გაცემა იმავე

კომლში შემავალ სხვა პირებზე, კერძოდ, მ. ტ-იისა და მისი ოჯახის წევრების სასარგებლოდ. საქმის მასალებით არ დასტურდება მ. ტ-იისა და მისი ოჯახის წევრების მიერ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით მათთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართების სარგებლობაში ან საკუთრებაში მიღების მოთხოვნით ადმინისტრაციული ორგანოებისთვის მიმართვა და/ან აღნიშნული ბინების ა. გ-ეისთვის, გ. გ-ეისთვის, ი. გ-ეისა და ნ. ტ-ისთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის 25.11.2011წ. №02/406 ბრძანების გასაჩივრება. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებაში მითითებული ...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის №... და №... ბინები მ. ტ-იისა და მისი ოჯახის წევრების ნაცვლად მიიღეს ა. გ-ემ, გ. გ-ემ, ი. გ-ემ და ნ. ტ-იმ. ამასთან, საკასაციო პალატა არ ეთანხმება მოსარჩელე მხარის მითითებას იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული ბინები ა. გ-ეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა როგორც საქართველოს სანაოსნოს ყოფილ მეზღვაურს ქ. ბათუმში, ...ის ქუჩაზე მშენებარე კოოპერატიულ საცხოვრებელ კორპუსში კუთვნილი სამოთახიანი ბინის დათმობის სანაცვლოდ. საქმის მასალებში დაცული არაა ქ. ბათუმში, ...ის ქუჩაზე მშენებარე კოოპერატიული საცხოვრებელი კორპუსის ბინის (უძრავი ნივთის) ა. გ-ეისადმი კუთვნილების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება ა. გ-ეისთვის ...ის ქუჩაზე მშენებარე კორპუსის ბინის გადაცემის თაობაზე და/ან თავად ა. გ-ეის მიერ ბინების პრივატიზებამდე წერილობით გამოვლენილი ნება ...ის ქუჩაზე მშენებარე კორპუსის ბინის დათმობის სანაცვლოდ ...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის №... და №... ბინების მიღების თაობაზე. ა. გ-ეის განცხადებაში, რომლითაც განმცხადებელმა კანონიერ სარგებლობაში არსებული ფართის პრივატიზება მოითხოვა, მითითებული იყო მხოლოდ პირადი ბარათის ასლის, საჯარო რეესტრიდან ცნობების, აზომვითი ნახაზისა და პასპორტის ასლის შესახებ, თუმცა არა ქ. ბათუმში, ...ის ქუჩაზე მშენებარე კორპუსის ბინის დათმობის თაობაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბინებზე რიცხული პირადი ბარათის მიხედვით, ა. გ-ე მითითებულია ...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის №... და №... ბინების დამქირაველად, თუმცა საქმის მასალებში დაცული არაა აღნიშნული ფართების დაქირავეების თაობაზე დოკუმენტი.

ამდენად, ა. გ-ემ და ტ-იების კომლის წევრებმა – გ. გ-ემ, ი. გ-ემ და ნ. ტ-იმა ამავე კომლის სხვა წევრების ნაცვლად საკუთრებაში მიიღეს ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ფართები (...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის №... და №... ბინები), რაც ადასტურებს აღნიშნული გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილების იურიდიულ ძალაზე მიუთითებს ასევე ის გარემოებაც, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) მდებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის სხვა ბინები, საცხოვრებელი ფართის პრივატიზების გზით საკუთრებაში მიიღეს სწორედ ყველა იმ პირებმა (ს. მ-ე, ნ. მ-ე, თ. მ-ე, ც. ო-ი, გ. ტ-ი, ნ. გ-ე, მ. გ-ე და მ. შ-ე), რომლებიც მითითებული იყვნენ აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებაში. ამდენად, დასტურდება ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 30.12.1985წ. №857 და 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებების იურიდიული ძალა, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა ურთიერთობაში მყოფი პირებისთვის – მშენებლობისთვის გამოყოფილი და ათვისებაში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების მოსარგებლეებისა და ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამონაცვლე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სასარჩელო მოთხოვნების კონკურენციას და მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით. პალატა აღნიშნავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე უნდა შემოწმდეს, რამდენად შესაძლებელია თვითმმართველი ერთეულის მიერ ნაკისრი პირველადი ვალდებულების შესრულება. იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ვალდებულების შესრულება შესაძლებელია, გამოირიცხება არაპირველადი მოთხოვნების დაკმაყოფილება (შდრ. სუსგ 29.09.2022წ., №ბს-417-417(კ-18)). ამდენად, გასამიჯნია – მოთხოვნა გამომდინარეობს დელიქტური ვალდებულების დარღვევიდან თუ უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებიდან. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს როგორც ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

უფლებამონაცვლეს ეკისრებოდა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართების 4 ოჯახისთვის საკუთრებაში გადაცემა, კერძოდ: ა) ...ის ქუჩა №...-ში (ამჟამად ...ის ქ. №...-ში) არსებული ცხრა სართულიანი საცხოვრებელი სახლის ერთი 4-ოთახიანი და ერთი 1-ოთახიანი ბინის (№... და №... ბინების) მ. ტ-იისა და მისი ოჯახის ოთხი წევრისთვის, ბ) ...ის ქ. №...-ში (ამჟამად ...ის ქ.) ასაშენებელი 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლიდან 1 ერთოთახიანი ბინის ც. ტ-ისთვის ერთწევრიანი ოჯახისთვის, გ) 1 ერთოთახიანი ბინის ნე. ტ-ისთვის ერთწევრიანი ოჯახისთვის და დ) 1 ოთხოთახიანი ბინის ნ. ტ-ის, მის მეუღლე ა. გ-ესა და მათ ოჯახის კიდევ ორი წევრისთვის გადაცემა. ზემოხსენებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრული არ არის, თუმცა იგი უნდა შესრულებულიყო კრედიტორის პირველი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში (შდრ. სუსგ 29.09.2022წ., №ბს-417-417(კ-18)). როგორც ირკვევა, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაეცათ ამავე გადაწყვეტილებაში მითითებული პირებიდან მხოლოდ ნ. ტ-ის, მის მეუღლესა და მათი ოჯახის ორ წევრს, ხოლო ამავე გადაწყვეტილებაში მითითებული 3 ოჯახისთვის (1. მ. ტ-ი და მისი ხუთწევრიანი ოჯახი, 2. ც. ტ-იის ერთწევრიანი ოჯახი და 3. ნე. ტ-ის ერთწევრიანი ოჯახი) ან მათი უფლებამონაცვლეებისთვის აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ოდენობით საცხოვრებელი (და არა დამხმარე) ფართების საკუთრებაში გადაცემა არ დასტურდება. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი არაა გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის შეფასებისთვის მნიშვნელობის მქონე, დასადგენი გარემოებაა: რამდენად შესაძლებელია მითითებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზემოხსენებული 3 ოჯახისთვის ან შესაბამისად მათი უფლებამონაცვლისთვის აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ოდენობით საცხოვრებელ ფართებზე საკუთრების უფლების გადაცემა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ გამართული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 25.02.2008წ. ოქმის

მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „ე...“ ვალდებულია ...ის ქ. (ამჟამად ...ის ქ. №1-ში) ასაშენებელი საცხოვრებელი კომპლექსის საერთო ფართის 15% საკუთრების უფლებით გადასცეს თვითმმართველ ქალაქს ბათუმს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, იმასაც რომ არაა გამორიცხული მოსარჩელე მხარეს ქონებრივი ინტერესი მხოლოდ მიწის ნაკვეთის მიმართ გააჩნდეს, თუმცა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა განისაზღვრება არა დაინტერესებული პირის არჩევანით, არამედ საქმის გარემოებებით. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ არ დასტურდება მოსარჩელე მხარის მიერ მითითებულ 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის არსებობა, ხოლო საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის არსებობა საჭიროებს დამატებით გამოკვლევას, რათა დადგინდეს, ტ-იების კომლზე რიცხული საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მშენებლობისთვის ათვისებაში მოხვედრის გარემოება. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 30.12.1985წ. №857 და 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებებით გამოიყო და ათვისებაში მოხვდა 12000 კვ.მ ტერიტორია, ამის გამო, აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით განისაზღვრა ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულ პირებისთვის საცხოვრებელ ფართებზე ქონებრივი უფლებების გადაცემა. აღნიშნული უკავშირდებოდა ...ის ქ. №...-ში ასაშენებელ 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა და ...ის ქუჩის მონაკვეთის მშენებლობას, საცხოვრებელი ფართების გადაცემა უნდა განხორციელებულიყო სწორედ მითითებული ორი ობიექტის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის დროულად განთავისუფლების მიზნით. შესაბამისად, ერთმანეთთან შეუთავსებელია ზემოხსენებული პირების მიერ ქონებრივი უფლებების ერთდროულად არსებობა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ბინებზეც და 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთზეც, რადგან ბინების გადაცემა განისაზღვრა მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის (მიწის ნაკვეთის) განთავისუფლების მიზნით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მ. ტ-იისა და მისი ოჯახის ნაცვლად ნ. ტ-იმა, მისმა მეუღლემ ა. გ-ემ და მათი ოჯახის 2 წევრმა მიიღეს ის ბინები, რომლებიც ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით უნდა გადაცემულიყო სწორედ ...ის ქ. №...-ში ასაშენებელ 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა და ...ის ქუჩის მონაკვეთის მშენებლობისთვის გამოყოფი-

ლი ტერიტორიის განთავისუფლების მიზნით. გარდა ამისა, აღნიშნა ის გარემოებაც, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 30.12.1985წ. №857 და 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია, რომელთა გაუქმება საქმის მასალებით არ დასტურდება. ამდენად, მოსარჩელეთა მიმართ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებები განისაზღვრება საცხოვრებელი ბინების გადაცემის თაობაზე ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით და არა უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებით. შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულების მოსარჩელე მხარის მიმართ შესრულების ადრესატია მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია და არა ასევე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისიც.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებაში მითითებული პირების მიმართ აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს არ ეკისრება. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მოსარჩელებს არ გაუთავისუფლებიათ საცხოვრებელი სახლი და იგი უფლებამოსილი პირისთვის არ გადაუციათ, რაც გამორიცხავს ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ფართების გადაცემას მოსარჩელებისთვის. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით, აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაბამისი პირებისთვის ბინების გადაცემა ...ის ქ. №...-ში 104-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა და ...ის ქუჩის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის დროულად განთავისუფლების მიზნით გადაწყვიტა. შესაბამისად, ათვისებაში მოხვედრილი მიწის ნაკვეთის მოსარგებლეებისთვის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებით ბინების გადაცემა დაკავშირებული იყო ათვისებაში მოხვედრილ მიწაზე გზისა და კორპუსის მშენებლობასთან. საქმის მასალების მიხედვით ტ-იების კომლზე რიცხული მიწის ნაკვეთის ერთი ნაწილი (1150 კვ.მ) გამოყენებულ იქნა ...ის

(ამჟამად ...ის) ქუჩის მონაკვეთის მოსაწყობად, ხოლო მეორე ნაწილს (1354 კვ.მ) მოიცავს იმ შპს „ე...ს“ საკუთრებაში არსებული 3629 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ გამართული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 25.02.2008წ. ოქმის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკუთრებაში გადაცემულ ფართზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენების ვალდებულება ეკისრება. ამდენად, თუ საქმეზე დასტურდება შპს „ე...ს“ მიერ კორპუსის მშენებლობა ტიპის რიცხულ და ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 30.12.1985წ. №857 და 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებებით ათვისებაში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე (...ის ქ. №...-ში არსებულ ტერიტორიაზე), მაშინ 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებაში მითითებული იმ პირების მოთხოვნა საცხოვრებელი ბინების გადაცემის თაობაზე, რომლებსაც ჯერ არ მიუღიათ ამავე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ოდენობით საცხოვრებელი (და არა დამხმარე) ფართები, საფუძვლიანია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ არასრულყოფილად განსაზღვრა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არ გამოიკვლია ისინი (მოსარჩელე მხარის მიერ მითითებული 2504 კვ.მ მიწის ნაკვეთის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 30.12.1985წ. №857 და 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებებით კორპუსისა და გზის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაში მოქცევის და შესაბამისად ათვისებაში მოხვედრის საკითხი, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღმასრულებელი კომიტეტის 28.05.1986წ. №359 გადაწყვეტილებაში მითითებული იმ პირებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობის არსებობის საკითხი, რომელთაც ჯერ არ გადასცემიათ ბინები) და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქ-

მებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

რაც შეეხება საქმეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მესამე პირად ჩაბმის თაობაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34¹.2 მუხლზე, რომლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება ჩაებნენ მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. ამავე კოდექსის 16.2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოში მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი შეიძლება ჩაებას, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ წარმოადგენს მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილეს, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს აღნიშნული შუამდგომლობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა, საქმეში მესამე პირად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩართვის თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს;

2. ნ., ი., პ., მ., ც. ტიების, გ. და ი. გ-ების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცია-

ციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. სასამართლო ხარჯები განანილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ავტომატური უკანონო ამოღებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1315(კ-20)

16 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებით გამოწვეული ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ხ-მა სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ ზეპირ მოსმენაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ დ. ხ-მა მოითხოვა: 1. ავტომატური უკანონოდ ჩამორთმევისა და მოუვლელით გამოწვეული ზიანის – 90 321 ევროს; 2. ავტომატური აღდგენისათვის გადახდილი 8505.85 ლარის; 3. ექსპერტიზის ჩატარებისათვის გადახდილი 140 ლარის; 4. უკანონოდ ჩამორთმეული ფულადი თანხის – 5 700 ევროს; 5. მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 1100 ევროსა და 6. იურიდიული მომსახურების საფასურის – დავის საგნის ღირებულების 4%-ის ანუ 12 440 ლარის გადახდის მოპასუხეებისთვის სოლიდარულად დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა შემდეგი: ავტომატურად BMW-ის მარკის

X5-ის მოდელი შეიძინა 2007 წლის მაისში 108.728 ევროდ. ამავე ავტომანქანით, მგზავრ ა. ხ-თან ერთად 11.08.2007წ. გადმოკვეთა თურქეთ-საქართველოს საზღვარი, ავტომანქანის მოძრაობის ნებართვის საფუძველზე მართავდა დ. ხ-ი. სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე საპასპორტო კონტროლის მიმდინარეობისას, მისთვის უცნობმა პირებმა, შეუზღუდეს გადაადგილების თავისუფლება, ჩამოართვეს ავტომანქანა, ასევე ნაღდი ფული 1000 ევროს ოდენობით, რომელიც თან ჰქონდა და 6000 ევრო, რომელიც ავტომანქანაში ინახებოდა. მასზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზემოქმედება ორი დღის განმავლობაში მისთვის უცნობ სახელმწიფო დაწესებულებაში, მისგან მოითხოვდნენ ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში საჩუქრად გადაცემას. მოგვიანებით, დ. ხ-ს დაუბრუნდა ფულადი თანხის ნაწილი – 300 ევრო და თანმხლებ პირთან – ა. ხ-თან ერთად 13.08.2007წ. მიეცა საქართველო-სომხეთის საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა. საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ შეიტყო, რომ მისთვის ჩამორთმეულ ავტომანქანასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება. დ. ხ-ს ავტომანქანა 23.12.2013წ. დაუბრუნდა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 11.08.2007წ. ავტომანქანის ჩამორთმევის დროს იგი იმყოფებოდა გამართულ მდგომარეობაში და გარბენი შეადგენდა არაუმეტეს 3000 კმ.-ს, ხოლო 23.12.2013წ. ავტომანქანის დაბრუნების მომენტში მისი გარბენი შეადგენდა 99426 კმ.-ს, გადაცემათა კოლოფი დაზიანებული იყო, კერძოდ, ავტომანქანა არ გადაადგილდებოდა პირდაპირი მიმართულებით, აღენიშნებოდა სხვა დაზიანებებიც, მისი საბაზრო ღირებულება 35000 ლარამდე იყო შემცირებული. ავტომანქანის დაზიანების გამოსასწორებლად დ. ხ-მა განია ფინანსური ხარჯები. მოსარჩელემ მიუთითა, რომ აღნიშნულის შემდგომ არაერთხელ მიმართა აჭარის ა/რ პროკურატურას, საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მისი უფლებების აღდგენისა და მისი უფლებების შემზღუდავი უკანონო ქმედებების გამო გამოძიების დაწყების მიზნით. მის არცერთ განცხადებაზე არ განხორციელებულა ისეთი შემოწმება, რაც საპროცესო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდებოდა, სარჩელის სასამართლოში შეტანის მომენტისთვის სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება კვლავ მიმდინარეობდა. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ავტომანქანის ჩამორთმევა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფოს საქმიანობა უკანონოა, რის გამოც მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.02.2019წ. გადაწყვეტილებით დ. ხ-ის სარჩელი ნაწი-

ლობრივ დაკმაყოფილდა, დ. ხ-ის სასარგებლოდ, აჭარის ა/რ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრათ დაზიანებული ავტომანქანის შეკეთებისთვის განეული ხარჯების -8505.85 (8380.6 + 125.25) ლარის გადახდა, სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აჭარის ა.რ. საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის 11.08.2007 წ. დადგენილების საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტის ტერიტორიაზე ჩატარდა საბერძნეთის მოქალაქის, დ. ხ-ის მართვის ქვეშ არსებული, BMW-ს მარკის, X-5 მოდელის, ამოღება, ავტომანქანის დოკუმენტებთან ერთად. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 13.08.2007 წ. დადგენილებით კანონიერად იქნა ცნობილი დ. ხ-ის ავტომანქანის და დოკუმენტაციის ამოღება. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან საგამოძიებო მოქმედება კანონიერად არის ცნობილი სასამართლოს მიერ, გამოძიება არ დასრულებულა და სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება ამ დროისათვის არ არის მიღებული, ამოღების უკანონოდ განხორციელების გამო ზიანის ანაზღაურების საფუძველი არ არსებობს. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამოღების დროს დ. ხ-ის ავტომანქანა მუშა მდგომარეობაში იყო, ამას არც მოპასუხე მხარე უარყოფს. ნივთმტკიცების სახით ამოღებული ავტომანქანის შენახვის და მოვლის ვალდებულება, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მომენტიდან დაეკისრა საქართველოს შს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს. 2013 წლის დეკემბერში აჭარის ა.რ. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მიერ მოსარჩელეს გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება საჭიროების გავლის გამო კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნების შესახებ. 23.12.2013 წ. ჩატარდა დ. ხ-ის კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერება და შედგა დათვალიერების აქტი, რომლის თანახმად ავტომანქანას გარეგნული დათვალიერებით რაიმე სერიოზული დაზიანება არ აღენიშნებოდა, ავტომანქანის ძრავი დაიქოქა, სალონი იყო ნორმალურ მდგომარეობაში, სპიდომეტრით გარბენის მაჩვენებელი შეადგენდა 99426 კმ-ს, თუმცა ავტომანქანა მოძრაობისას გამოსცემდა ხმაურს და წინ სვლით ვერ გადაადგილდებოდა. ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ როდესაც დ. ხ-ს დაუბრუნდა თავისი ავტომანქანა, იგი უკვე ექსპლუატაციისათვის გამოსადეგი და ვარგისი აღარ იყო და ავტომანქანას ესაჭიროებოდა აუცილებელი შეკეთება, რასაც მოპასუხე მხარეც არ უარყოფს. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა ავტომანქანის სათანადო მოუვლე-

ლობის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის შეკეთებისთვის გა-
ნეული ხარჯები, რაც საქმეში დაცული მტკიცებულებების შესაბა-
მისად 8505,85 (8380,60 + 125,25) ლარს შეადგენდა. საქმეში შესა-
ბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო, სასამართლომ არ
გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ ავტომანქანის ამოღები-
დან მის დაბრუნებამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა ავტომანქანის
უკანონო ექსპლუატაციას გამოძიების ორგანოთა თანამშრომლე-
ბის მხრიდან, მოსარჩელე ვერ ასახელებს აღნიშნული ქმედების
განმახორციელებელ კონკრეტულ თანამშრომლებს. რაც შეეხება
მატერიალური ზიანის სახით მოთხოვნილი ავტომანქანის საბაზ-
რო ღირებულების შემცირების თანხის ანაზღაურების საკითხს, სა-
სამართლომ აღნიშნა, რომ ვერ ირკვეოდა დ. ხ-ის ავტომანქანის
ზუსტი მდგომარეობა და ზუსტი გარბენი ამოღების ჩატარების
დროისათვის, შესაბამისად, ამოღებისას მისი საბაზრო ღირებუ-
ლება არ დგინდებოდა. ანალოგიური ავტომანქანის ქარხნული გა-
მოშვების დროისათვის არსებულ ღირებულებაზე მითითება სასა-
მართლომ არარელევანტურად მიიჩნია იმ დასაბუთებით, რომ მო-
სარჩელის კუთვნილ ავტომანქანას მოსარჩელის მიერვე ექსპლუ-
ატაციის გამო, ახალი ავტომანქანის საბაზრო ღირებულება ვეღარ
ეწეოდა შენარჩუნებული. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე
მხარის მტკიცება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ. სასამარ-
თლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აგრეთვე მოთხოვნა მორალური
ზიანის ანაზღაურების შესახებ, რადგან მოსარჩელის მიმართ დევ-
ნა არ დაწყებულა, მისთვის ბრალის წაყენება არ მომხდარა. სასა-
მართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე განხორცი-
ელებული იძულებითი საპროცესო მოქმედებები ყველა შემთხვე-
ვაში იწვევს სირთულეებს და ნეგატიურ განცდებს, თუმცა მოცე-
მულ შემთხვევაში არ არსებობს საფუძველი, რომ ნივთის ამოღე-
ბით გამოწვეული განცდები დაუკავშირდეს მოსარჩელის მიერ სა-
ბერძნეთში ჩატარებული მკურნალობის აუცილებლობას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიის 22.02.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაა-
საჩივრა როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხეებმა – აჭარის ა.რ.
პროკურატურამ და საქართველოს შს სამინისტრომ. მოსარჩელე
დ. ხ-მა მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მო-
პასუხე აჭარის ა/რ პროკურატურამ და საქართველოს შინაგან საქ-
მეთა სამინისტრომ – დ. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის
თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 17.09.2020წ. განჩინებით დ. ხ-ის, აჭარის ა/რ პრო-
კურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სა-

აპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისთვის უნდა დასტურდებოდეს ზიანის გამომწვევი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ზიანსა და მის გამომწვევ მართლწინააღმდეგო ქმედებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა. სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელე მხარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ამოღება უკანონოდ განხორციელდა, სასამართლოს მოსაზრებით, ავტომანქანის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ნივთის მფლობელობიდან გასვლას გააჩნდა კანონიერი საფუძველი. სასამართლომ მიუთითა №089070096 სისხლის სამართლის საქმეზე გადაუდებელ შემთხვევაში ავტომანქანისა და მისი თანმხლები საბუთების ამოღების თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის 11.08.2007წ. დადგენილებაზე, ავტომანქანისა და მისი თანმხლები საბუთების ამოღების კანონიერად ცნობის თაობაზე ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 13.08.2007წ. დადგენილებაზე, ასევე იმ გარემოებაზე, რომ №089070096 სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო საჩივრის განხილვის მომენტისთვის გამოძიება არ დასრულებულა, აღნიშნული სააპელაციო სასამართლოს აზრით ადასტურებს, რომ მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ მისი მფლობელობიდან ნივთის გასვლას გააჩნია კანონიერი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელე მხარის მოსაზრებას, რომ ავტომანქანის საბაზრო ღირებულება ნივთის ამოღებიდან მისი მოსარჩელისთვის დაბრუნებამდე პერიოდში შემცირდა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აღნიშნული დასკვნის გამოტანისთვის ამოღების დროს ავტომანქანის საბაზრო ღირებულებას მისი დაბრუნების მომენტში ნივთის საბაზრო ღირებულება უნდა გამოაკლდეს, ამოღების დროს ავტომანქანის საბაზრო ღირებულების დადგენის გარეშე მისი შემცირებული ოდენობის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდებოდა ნივთის ამოღების მომენტში მისი საბაზრო ღირებულების დადგენის გარეშე მისი შემცირებული ოდენობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა ამოღების დროს ნივთის ზუსტი მდგომარეობა, ავტომანქანის გარბენი და მისი საბაზრო ღირებულების ოდენობა. მოსარჩელის მიერ ავტომობილის ექსპლუატაციის გამო ნივთის ამოღების მომენტში ავტომობილს შენარჩუნებული ვერ ექნებოდა დ. ხ-ის კუთვნილი ავტომანქანის ანალოგის ქარხნული გამოშ-

ვების დროისთვის არსებული ღირებულება. ამასთან, მექანიკური დაზიანების გარეშეც დროის გასვლასთან ერთად მცირდებოდა ნივთის ღირებულება.

სააპელაციო სასამართლო ასევე არ დაეთანხმა მოსარჩელე მხარის მოსაზრებას, რომ განსახილველი საქმის ფარგლებში სასამართლოს უნდა დაედგინა ავტომანქანის დ. ხ-ისგან ამოღების უკანონობისა და მისი უკანონო ექსპლუატაციის ფაქტები. ავტომანქანის ამოღების კანონიერებასთან დაკავშირებით არსებობდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 13.08.2007წ. დადგენილება, ხოლო მითითებულ სხვა ფაქტებზე მიმდინარეობდა გამოძიება, რის გამოც მათ დადგენასა და შეფასებაზე ვრცელდებოდა არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვის დროისთვის, ავტომანქანის ექსპლუატაციის შედეგად მისთვის ზიანის მიყენება არ დასტურდებოდა, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის მითითება ცალკეულ თანამდებობის პირებზე, რომელთა მიერ, წარმომადგენლის განმარტებით, ხორციელდებოდა ავტომანქანის ექსპლუატაცია, არ არის გამყარებული სათანადო და ვარგისი მტკიცებულებებით, უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძველად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ საქმის განხილვის დროისათვის, საქმის გარემოებების ერთობლივი შეფასების საფუძველზე, არ დგინდება მანქანის ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანი. საქმის მასალებით არ დასტურდება დ. ხ-ის კუთვნილი ავტომანქანის ზუსტი გარბენი ამოღების ჩატარების დროისათვის, რის გამოც სააპელაციო პალატის აზრით, შეუძლებელია ნივთის ღირებულების შემცირების შეფასება, რის გამოც შესაძლებელია მსჯელობა მხოლოდ ნივთმტკიცების სათანადო მოუვლელობის შედეგად დამდგარ ზიანზე, საქმის მასალებით დასტურდებოდა ნივთმტკიცების სათანადო მოუვლელობით გამოწვეული ზიანი. ავტომანქანის დიაგნოსტიკისა და სარემონტო სამუშაოებისთვის განეულმა ხარჯმა შეადგინა 8505.85 (8380.6+125.25) ლარი, რომლის ანაზღაურებაც სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოპასუხეებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აჭარის ა/რ პროკურატურას. მითითებულ ორგანოებს ეკისრებოდათ სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებული ნივთმტკიცების შენახვისა და მოვლის ვალდებულება, რაც განსახილველ შემთხვევაში არ იქნა შესრულებული. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი „ო...ის“ მიერ განე-

ული სერვისისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვის შესახებ საანგარიშო ცნობებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კანონშესაბამისია ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება მოპასუხეებისათვის – საქართველოს შს სამინისტროსა და აჭარის ა.რ. პროკურატურისათვის 8505,85 ლარის დაკისრების თაობაზე. ნივთმტკიცების სახით ამოღებული ავტომანქანის შენახვის და მოვლის ვალდებულება, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მომენტიდან, დაეკისრა საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს, ხოლო შემდგომ საქმის გამოსაძიებლად აჭარის ა.რ. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილისათვის გადაცემით, ნივთმტკიცების შენახვის და მოვლის ვალდებულება შს სამინისტროსთან ერთად გააჩნდა აჭარის ა.რ. პროკურატურას, აღნიშნულის გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 464-ე მუხლებზე დაყრდნობით, პალატამ მიიჩნია, რომ ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს ამ ვალდებულებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის მიერ გამოძიების მიმდინარეობისა და ამ პერიოდში კუთვნილი ავტომანქანით სარგებლობის შეუძლებლობის მიუხედავად მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. სასამართლომ მიუთითა, რომ არ დასტურდებოდა აღნიშნულის შედეგად დ. ხ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზ-შედეგობრივად გაუარესება, ხოლო დისკომფორტი და ნეგატიური განცდები არ წარმოადგენდა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. ამასთან, სკ-ის 413.1 მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სასამართლოს მიერ კანონიერად ცნობილი საპროცესო მოქმედების შედეგად ამოღებული ნივთის დაზიანების შემთხვევაში.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელე მხარის მოსაზრებას იმ 5700 ევროს გადახდის მოპასუხეებისთვის დაკისრების თაობაზე, რომელიც მოსარჩელის მითითებით მას უკანონოდ ჩამოართვეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხის ამოღება არ დასტურდებოდა. ფულადი თანხის ჩამორთმევა არ დასტურდებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით, ამასთან მითითებული გარემოების დასადასტურებლად ა. ხ-ის მიერ საბერძნეთის ქალაქ თესალონიკში ფიცის ქვეშ მიცემულ განმარტებას არ გააჩნდა ის მტკიცებულებითი ძალა, რომელიც ექნებოდა კანონით დადგენილი წე-

სით სასამართლოს სხდომაზე, შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და მონინალმდეგე მხარისათვის მისთვის შეკითხვების დასმის პროცესუალური შესაძლებლობის მიცემის შემთხვევაში (აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეებზე: „დარბი შვედეთის წინააღმდეგ“, „დომბო ბერი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ“, „ლუედი შვეიცარიის წინააღმდეგ“). ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუ მოსარჩელის ავტომანქანის სალონიდან მითითებული ფულადი თანხა მართლაც იქნა უკანონოდ ამოღებული რომელიმე პირის მიერ და ასეთი ქმედება არ უკავშირდება სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით განსაზღვრულ საგამოძიებო მოქმედებას, აღნიშნული ურთიერთობა ადმინისტრაციული დავის ფარგლებში არ წესრიგდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.09.2020წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებასთან მიმართებით არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

დ. ხ-მა წარმოადგინა პრეტენზია (შედავება) ფაქტობრივი გარემოებებთან დაკავშირებით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უდავო ფაქტობრივ გარემოებად უნდა მიეჩნია შემდეგი გარემოებები: ა) ავტომანქანის ჩამორთმევის შემდგომ მოსარჩელისთვის დაბრუნებამდე ხორციელდებოდა მისი ექსპლუატაცია, კერძოდ, ავტომანქანის ჩამორთმევის მომენტში იგი იმყოფებოდა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, ხოლო დაბრუნების დროს, პირდაპირი მიმართულებით ვერ გადაადგილდებოდა. ამასთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.03.2013წ. №5001017513 დასკვნის მიხედვით, ავტომანქანის გარბენი შეადგენდა 94965 კმ.-ს, ხოლო ავტომანქანის 23.12.2013წ. დათვალიერების ოქმის თანახმად, ავტომანქანის მიერ გავლილი მანძილი 99426 კმ-ია; ბ) ავტო-

მანქანის ექსპლუატაციის გამო მისი საორიენტაციო საბაზრო ღირებულება (35000 ლარი) იმაზე ნაკლებია, ვიდრე იქნებოდა ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით (119500 ლარი), საბაზრო ღირებულებებთან დაკავშირებით კასატორმა მიუთითა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №5000954014 და №5000955714 დასკვნებზე; გ) საგამოძიებო ორგანოს მოსამსახურეებმა ავტომანქანიდან ამოიღეს 6000 ევრო, რომლიდანაც მხოლოდ 300 ევრო დაუბრუნდა მოსარჩელეს, ხოლო დანარჩენი ფულადი თანხა არ გადაუციათ; დ) სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობა და ხანგრძლივობა უკანონო და არაგონივრულია.

კასატორმა აღნიშნა, რომ, მართალია, ავტომანქანის ამოღების უკანონობა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არ დგინდება, თუმცა იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით დასტურდება ავტომანქანის ამოღების უსაფუძვლოდ განხორციელება. სასამართლოს შეეძლო დაედგინა რამდენად გონივრული იყო ავტომანქანის ამოღება და გამოძიების გაჭიანურება, რამაც მისი ცვეთა გამოიწვია, რამდენად გონივრული და კანონიერია ის, რომ გამოძიება დღესაც გრძელდება, რამდენად შეესაბამება აღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეში დატყუი არაა ნივთმტკიცებასთან მიმართებაში საჭირო დოკუმენტები, კერძოდ, არ არის შედგენილი თითოეული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების დროს ავტომანქანის დალუქვისა და ლუქის მოხსნის ოქმები, გაურკვეველია ასევე ავტომანქანის შენახვაზე პასუხისმგებელი პირები.

სააპელაციო სასამართლო არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი. მოსარჩელე მხარის მტკიცების ტვირთს არ განეკუთვნება ის, თუ რა მანძილს შეადგენდა ავტომანქანის გარბენი მისი ჩამორთმევის მომენტში და ვის მიერ ხორციელდებოდა მისი ექსპლუატაცია ჩამორთმევიდან დ. ხ-ისთვის დაბრუნებამდე. ავტომანქანის გარბენი დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო ავტომანქანის ამოღების ოქმში, ხოლო მისი ექსპლუატაციის განმარტებული პირის იდენტიფიცირება პროკურატურის ფუნქციაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ნაწილობრივ გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩი-

ნება და გაუქმებულ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: 11.08.2007წ. დ. ხ-მა გადმოკვეთა თურქეთ-საქართველოს საზღვარი BMW X5-ის მარკის ავტომანქანით, მოძრაობის ნებართვის საფუძველზე ავტომანქანას მართავდა დ. ხ-სი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების წინასწარი გამოძიების დაწყების 11.08.2007წ. აღრიცხვის ბარათის თანახმად, დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №089070096 საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 186.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანის შეძენა). აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების 11.08.2007წ. დადგენილებით დ. ხ-ის მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანა BMW-ს მარკის, X-5 მოდელის, საბერძნეთის სანომრე ნიშნით: ... ავტომანქანა, მის თანმხლებ საბუთებთან ერთად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გადაუდებელი შემთხვევის წესით იქნა ამოღებული. 11.08.2007წ. ამოღების ოქმის მიხედვით, აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელმა თარჯიმნის მონაწილეობით 19:45 საათიდან 20:50 საათამდე პერიოდში განახორციელა ზემოხსენებული ავტომანქანისა და დ. ხ-ის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი, მისი განმარტებით ავტომანქანის საკუთრების დამადასტურებელი საბუთების ამოღება, გარეგნულად ავტომანქანას რაიმე სახის დაზიანების კვალი არ აღენიშნებოდა (11.08.2007წ. ამოღების ოქმში მითითებული არაა ავტომანქანის გარბენის ოდენობა), ავტომანქანა გადაყვანილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის ა/რ მთავარი სამმართველოს დაცულ ეზოში. აჭარის ა/რ პროკურატურის განყოფილების უფროსმა 12.08.2007წ. შუამდგომლობით მიმართა ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს და მოითხოვა გადაუდებელი აუცილებლობის წესით 11.08.2007წ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ამოღების კანონიერად ცნობა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 13.08.2007წ. დადგენილებით დ. ხ-ისგან ავტომანქანისა და მისი თანმხლები დოკუმენტების ამოღება კანონიერად იქნა ცნობილი. აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის 13.08.2007წ. დადგენილებით, ამოღებული ავტომანქანა და მისი თანმხლები დოკუმენტაცია ნივთმტკიცებად იქნა ცნობილი და დაერთო სისხლის სამართლის №089070096 საქმეს. მოწმის დაკითხვის 11.08.2007წ. ოქმის თანახმად, აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელმა თარჯიმნის მონაწი-

ლეობით მოწმის სახით დაკითხა დ. ხ-ი. დ. ხ-მა განაცხადა, რომ მან ავტომანქანა განვადებით, ლიზინგის წესით შეიძინა და გამყიდველისთვის სამი წლის განმავლობაში ფულადი თანხა უნდა გადაეხადა, ამჟამად, საქართველოს ტერიტორიის გავლით მიემგზავრებოდა სომხეთში. მოგვიანებით, დ. ხ-მა 13.08.2007წ. დატოვა საქართველოს ტერიტორია და საბერძნეთში დაბრუნების შემდგომ საჩივრით მიმართა საბერძნეთის ინტერპოლის სამსახურს.

სისხლის სამართლის №089070096 საქმეს სისხლის სამართლის კოდექსის 186.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულთან ერთად 16.11.2007წ. დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 230.1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (მაიონებელი გამოსხივების წყაროსადმი უკანონო მოპყრობა) კვალიფიკაცია, რის შემდგომაც 24.12.2007წ.-12.05.2008წ. პერიოდში არაერთხელ განხორციელდა ამოღებული ავტომანქანის დათვალიერება იონიზებული წყაროს არსებობაზე (შდრ. დათვალიერების ოქმები). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის 01.07.2008წ. აღრიცხვის ბარათის თანახმად, სისხლის სამართლის №089070096 საქმის კვალიფიკაციად განისაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსის მხოლოდ 230.1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, სწორედ ამ მუხლით მიმდინარეობდა გამოძიება ავტომანქანის დაბრუნების მომენტში. საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის 26.01.2013წ. დადგენილებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში არსებული სისხლის სამართლის №089070096 საქმე გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.03.2013წ. №001077413 დასკვნის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე ჩატარდა სისხლის სამართლის №089070096 საქმეზე ამოღებული ავტომანქანის ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური, რადიაციული და სასაქონლო ექსპერტიზა. მითითებული დასკვნის თანახმად, ავტომანქანის საიდენტიფიკაციო ნომრის კუსტარული წესით დატანა არ დადასტურდა, ამასთან, ავტომანქანა არ შეიცავდა რადიოაქტიური გამოსხივების წყაროს, რადიაციის თვალსაზრისით საფრთხე არ არსებობდა, იგი ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ვარგისი იყო შემდგომი ექსპლუატაციისთვის, მისი საბაზრო ღირებულება იმჟამად 58000 ლარს შეადგენდა (ელ. სპიდომეტრის მიხედვით, გარბენი 94965 კმ. იყო).

აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ნე-რილით, საჭიროების გავლის გამო დ. ხ-ს ეთხოვა საკუთარი ხარ-ჯით თავისი კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნებისა და ტრანსპორ-ტირების უზრუნველყოფა. 23.12.2013წ. დათვალიერების ოქმის თა-ნახმად, ავტომანქანას გარეგნული დათვალიერებით რაიმე სერი-ოზული დაზიანება არ აღენიშნებოდა, სპიდომეტრის მიხედვით ავ-ტომანქანის გარბენი 99426 კმ.-ს შეადგენდა, იგი წინ სვლით ვერ გადაადგილდებოდა.

დ. ხ-მა 27.01.2014წ. მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახე-ლობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რე-გიონული ექსპერტიზის დეპარტამენტს სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების თხოვნით. 28.02.2014წ. №001017014 ექსპერტიზის დას-კვნის თანახმად, დ. ხ-ის მიერ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ავ-ტომანქანა BMW X5-ის საბაზრო ღირებულება იმჟამად საორიენ-ტაციოდ 35000 ლარს შეადგენდა. დასკვნაში მიეთითა, რომ ავტო-მანქანის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინე-ბულ იქნა მისი ვიზუალური და ტექნიკური მდგომარეობა, გარბე-ნი, დამზადების წელი, ექსპლუატაციის ხანგრძლივობა, შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები. დასკვნაში მითითებულია ავტომან-ქანის გამოშვების წელი – 2007, ელ. სპიდომეტრის მიხედვით გარ-ბენი – 099427 კმ., ავტომობილს აღენიშნებოდა ექსპლუატაციის-თვის დამახასიათებელი ნიშნები, მას დაზიანებული ჰქონდა გადა-ცემათა კოლოფი, წინა მარჯვენა ფრთა. 28.02.2014წ. №001019714 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, კვლევაში მითითებული ავტო-მანქანის საშუალო საბაზრო ღირებულება ნორმალური ექსპლუა-ტაციის პირობებში იმჟამად საორიენტაციოდ 119500 ლარს შეად-გენდა (კვლევისთვის მითითებულ იქნა ავტომანქანის მონაცემე-ბი: მარკა – BMW X5, გამოშვების წელი – 2007, გარბენი 3000 კილო-მეტრი და სხვ.).

დ. ხ-ის წარმომადგენელმა 14.04.2014წ. განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას და მიუთითა დ. ხ-ის კუთვნილი ავ-ტომანქანის 11.08.2007წ. ამოღებისა და საგამოძიებო ორგანოების სხვა ქმედებების უკანონობაზე, ასევე ამ ქმედებებით დ. ხ-ისთვის ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანის მიყენებაზე. აჭა-რის ა/რ პროკურატურის უფროსი პროკურორის 30.03.2016წ. დად-გენილებით, სისხლის სამართლის №089070096 საქმეზე, რომელ-ზედაც გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 230.1 მუხლით (მაიონე-ბელი გამოსხივების წყაროსადმი უკანონო მოპყრობა), შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდა სსკ-ის 332.1 მუხლით გათ-ვალისწინებული დანაშაულისთვის (სამსახურებრივი უფლებამო-სილების ბოროტად გამოყენება). ზემოხსენებული დადგენილების

თანახმად, საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ იკვეთება საჯარო სამსახურის მოხელეთა მხრიდან შესაძლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტები, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლა და გამოძიების გაგრძელება სსკ-ის 332.1 მუხლით.

მოგვიანებით დ. ხ-ის წარმომადგენელმა სარჩელით მომართა სასამართლოს და მოითხოვა თავისი კუთვნილი ავტომანქანის 11.08.2007წ. ამოღებითა და მასთან დაკავშირებული, საგამოძიებო ორგანოს სხვა ქმედებებით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არსებობს, უკეთუ დასტურდება ზიანის გამომწვევი სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან მოსამსახურის საქმიანობის უკანონობა. სამოქალაქო კოდექსის 1005.1 მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის წინაპირობაა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა. კასატორი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად უთითებს ორ გარემოებას: ა) ნივთმტკიცების ამოღებისა და ბ) მისი შენახვის მომწესრიგებელი წესების დარღვევას.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ნივთის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ავტომანქანის (BMW X5-ის) ამოღებით გამოწვეული ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას. პალატა არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ 11.08.2007წ. ნივთის ამოღება ფორმალურად კანონიერად განხორციელდა, კერძოდ: საქმის მასალებში დაცულია გადაუდებელ შემთხვევებში ამოღების ჩატარების შესახებ აჭარის ა/რ საგამოძიებო განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის 13.08.2007წ. დადგენილება, გადაუდებელი აუცილებლობის წესით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ აჭარის ა/რ პროკურატურის განყოფილების უფროსის შუამდგომლობა და გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 13.08.2007წ. დადგენილება. სისხლის სამართლის №089070096 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, იგი ჯერ დასრულებული არ არის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველიანობის მიზნებისათვის არ მოწმდება საგამოძიებო ორგანოს აქტივების და ქმედებების ფორმალური კანონიერება. წინასწარი გამოძი-

ების აქტების კანონიერების გადახედვა ზიანის ანაზღაურების შესახებ პირის სარჩელის საფუძველზე ფაქტიურად მათი კანონიერების და დასაბუთებულობის გადამოწმების კიდეც ერთი, დამატებითი საშუალების შექმნის ტოლფასი იქნებოდა, მეტიც, დაინტერესებული პირის მიხედვით, დელიქტური სარჩელის აღძვრის საშუალებით დამატებით შექმნიდა საგამოძიებო აქტების კანონიერების შემოწმების და გასაჩივრების შესაძლებლობას, რითაც შეცვლიდა პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილ საგამოძიებო აქტების და მოქმედებების კანონიერების შემოწმების წესს, შექმნიდა პარალელიზმისა და დუბლირების დაუშვებელ შესაძლებლობას. წინასწარი გამოძიება არის სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების განსაკუთრებული სახე, დელიქტური ვალდებულების საკითხი არ ცვლის წინასწარი გამოძიების მოქმედების ან აქტის შესრულების წესს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალური მართლზომიერების მიუხედავად დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, დ. ხ-ს სისხლის სამართლის №089070096 საქმეზე გამოძიების დასრულებამდე, დანაშაულის დამტკიცებისათვის ამოღებული ავტომანქანა ბრალდების მხარის მიერ საქმეზე ნივთმტკიცებად გამოყენების გარეშე დაუბრუნდა. საქმის მასალების მიხედვით, თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება 11.08.2007წ. დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 186.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანის შეძენა), მოგვიანებით გამოძიების კვალიფიკაციას 16.11.2007წ. დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 230.1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (მაიონებელი გამოსხივების წყაროსადმი უკანონო მოპყრობა), 01.07.2008წ. გამოძიების კვალიფიკაციად განისაზღვრა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 230.1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (მაიონებელი გამოსხივების წყაროსადმი უკანონო მოპყრობა) და სწორედ ამ მუხლით მიმდინარეობდა გამოძიება ავტომანქანის დაბრუნების მომენტში. საქმის მასალებში დაცულია 24.12.2007წ.-12.05.2008წ. პერიოდში ავტომანქანა BMW X5-ის დათვალიერების არაერთი ოქმი ავტომანქანაში იონიზებული წყაროს არსებობაზე, თუმცა ასეთი წყაროს აღმოჩენა არცერთი დათვალიერების ოქმით არ დასტურდება (შდრ. დათვალიერების ოქმები). გარდა ამისა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.03.2013წ. №5001017513 დას-

კენის მიხედვით, ავტომანქანა არ შეიცავდა რადიოაქტიური გამოსხივების წყაროს, რადიაციის თვალსაზრისით საფრთხე არ არსებობდა, საიდენტიფიკაციო ნომრის კუსტარული წესით დატანა კი არ დადასტურდა. მნიშვნელოვანია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.03.2013წ. №5001017513 დასკვნაში მითითებული საიდენტიფიკაციო ნომრის მქონე ავტომანქანით მოძრაობის ნებართვა, თესალონიკის საოლქო თვითმმართველობის გადაზიდვებისა და კომუნიკაციების სამმართველოს მოძრაობის ნებართვის თანახმად, გააჩნდა დ. ხ-ს (ავტომანქანის საიდენტიფიკაციო ნომრები). აღნიშნულის შემდგომ, სისხლის სამართლის №089070096 საქმეზე გამოძიების დასრულებამდე, საჭიროების გავლის გამო აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის წერილის თანახმად, დ. ხ-ს ეთხოვა კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნება. თუ ამოღებული საგანი მხარემ სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგინა, იგი უბრუნდება იმ პირს, რომლისგანაც იყო ამოღებული (ავტომანქანის დაბრუნების დროს მოქმედი 09.10.2009წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის 1-ლი ნაწ.). ავტომანქანის დაბრუნების თაობაზე ნების გამოვლენით ბრალდების მხარემ უარი თქვა სწორედ იმ ამოღებული ნივთის დანაშაულის დასამტკიცებლად გამოყენებაზე, რომლის ამოღების განმაპირობებელი ერთადერთი კანონიერი მიზანი, ამოღების მომენტში, შეიძლება ყოფილიყო სისხლის სამართლის საქმეზე სამომავლოდ მისი ნივთმტკიცებად გამოყენება. 11.08.2007წ. ავტომანქანის ამოღების მომენტში მოქმედი 20.02.1998წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121.2 მუხლის მიხედვით, ნივთიერი მტკიცებულებაა დანაშაულის იარაღი, დანაშაულებრივი ქმედების საგანი ან მასზე დარჩენილი დანაშაულის კვალი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა, აგრეთვე ყველა სხვა საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დანაშაულის აღმოჩენის, დანაშაულის ჩამდენის დადგენის ან ბრალდების უარყოფის საშუალება. ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 4.4 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში, სახელმწიფო ორგანოს ნებისმიერი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას, ნივთის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამოღების კანონიერი მიზნის არსებობის დაუდასტურებლობა დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც მართლსაწინააღმდეგო შედეგია. ამდენად, დანაშაულის დამტკიცებისთვის ამოღებული ნივთის ბრალდების მხარის მიერ საქმეზე ნივ-

თმტკიცებად გამოყენების გარეშე ხანგრძლივი დროის (6 წლის) გასვლის შემდეგ დაბრუნება – ნივთზე ქონებრივი უფლების მქონე პირის შეზღუდვის დამადასტურებელი გარემოებაა, რადგან იგი ადასტურებს ნივთის ამოღების კანონიერი მიზნის საბოლოოდ არარსებობასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას.

სკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევა (ნივთის ამოღების კანონიერი მიზნის საბოლოოდ არარსებობის მიუხედავად ნივთზე ქონებრივი უფლების მქონე პირის ფაქტობრივი ბატონობის შეწყვეტა) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას იმის გამო, რომ ამოღების მომენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები საქართველოს კონსტიტუციის 18.4 მუხლის მიზნებისთვის მიიჩნევიან უკანონოდ. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პირის უფლებას სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება არა მხოლოდ უკანონო გადაწყვეტილების გამო, არამედ აგრეთვე უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების გამო. სსსკ-ის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირს უფლება აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. უკანასკნელი არ არის მოცული რეაბილიტაციის ინსტიტუტით, სახელმწიფოს მიერ იმ პირის უფლების აღდგენით, რომელიც უსაფუძვლოდ დაექვემდებარა სისხლის სამართლის დევნას. მოსარჩელის მიმართ ადგილი არ ჰქონია უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების ფაქტს, შესაბამისად, სახეზეა არა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული, არამედ ზიანის მიყენებისათვის საერთო საფუძვლით დელიქტური ვალდებულება. სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას პროცესუალური ზომის უსაფუძვლო გამოყენების გამო ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს რეაბილიტაციის ინსტიტუტთან შედარებით შეიძლება გააჩნდეს სხვა იური-

დიული და ფაქტობრივი პირობები, საპროცესო ღონისძიება შესაძლოა პირდაპირ არ იყოს დაკავშირებული პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან, სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებული მარეაბილიტირებელი გადაწყვეტილების მიღებასთან, პირს, რომელსაც მიაღმა ზიანი უსაფუძვლო პროცესუალური ღონისძიების გამოყენებით, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მოთხოვნას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს და არ აქვს პირდაპირი, ხისტი კავშირი რეაბილიტაციის ინსტიტუტთან, ზიანის ანაზღაურების საფუძველი ამ შემთხვევაში შესაძლოა იყოს არა რეაბილიტაცია, არამედ ზიანის მიმყენებელი პროცესუალური ღონისძიების უსაფუძვლო გამოყენება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნისას, არამედ საერთოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. კანონმდებლობა არ შეიცავს წინასწარი გამოძიების ორგანოების მოქმედებების და გადაწყვეტილებების სრულ, ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც იწვევენ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს აგრეთვე იმ პირთა ამომწურავ წრეს, რომლებსაც აქვთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რადგან პროცესუალური იძულების ზომის გამოყენება დაიშვება არა მხოლოდ სისხლის სამართალწარმოების მონაწილეთა მიმართ, არამედ აგრეთვე სხვა იმ პირების მიმართ, რომლებიც არაპირდაპირ ჩაბმული არიან სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობაში (დ. ხ-ის მოთხოვნის მიუხედავად ის დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილი არ ყოფილა). ამასთანავე, პროცესუალური იძულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ უკავშირდება უსათუოდ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების საკითხს. პროცესუალური იძულების გამოყენებული პირი და ორგანო არ წყვეტს ზიანის ანაზღაურების საკითხს, აღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით წყდება. ამოღების ფორმალური კანონიერების მიუხედავად (ამოღების კანონიერება დადასტურებულია ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 13.08.2007წ. განჩინებით), ამოღების შესახებ დადგენილების საფუძვლიანობა არ დასტურდება, რაც ნათლად დგინდება საქმის შემდგომი წარმოებით, გამოძიების სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) შესაძლო ჩადენის ფაქტზე გადაკვალიფიცირებით.

ავტომანქანის უკანონო ამოღებით გამოწვეული ზიანის ოდენობის გამოსათვლელად მნიშვნელობის მქონე გარემოებაა – ამოღების მომენტში არსებული ავტომანქანის საბაზრო ღირებულება და დაბრუნების მომენტში საბაზრო ღირებულებას შორის სხვა-

ობა. მართებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შე-
სახებზე, რომ აღნიშნული სხვაობის დასადგენად საჭიროა ამოღების
მომენტი ნივთის საბაზრო ღირებულებას გამოაკლდეს დაბრუნე-
ბის მომენტში მისი საბაზრო ღირებულება, თუმცა საფუძველს არის
მოკლებული მოსაზრება, რომ განსახილველ შემთხვევაში შეუძ-
ლებელია ნივთის ღირებულების შემცირებულად მიჩნევა. აღნიშ-
ნული მოსაზრება სააპელაციო პალატამ დააფუძნა იმ გარემოება-
ზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ამოღების მომენ-
ტში ავტომანქანის საბაზრო ღირებულება, მოსარჩელის მიერ ავ-
ტომანქანის ექსპლუატაციის გამო 11.08.2007წ. ამოღების მომენ-
ტისთვის მას ახალი ავტომანქანის, ქარხნული საბაზრო ღირებუ-
ლება ვეღარ ექნებოდა შენარჩუნებული. BMW-ს ოფიციალურ წარ-
მომადგენელსა და სს „ა...ს“ შორის 19.04.2007წ. გაფორმებული ხელ-
შეკრულების მიხედვით, ავტომანქანის შეძენისთვის გადასახდელ-
მა თანხა არანაკლებ 101 647,82 ევრო შეადგინა. საქმეზე არ არის
დადგენილი ცვეთის საშუალო კოეფიციენტის გათვალისწინებით
ავტომანქანის ღირებულების შემცირების შესაძლებლობა ავტო-
მანქანის ამოღების მომენტამდე. საქმის მასალებით დასტურდე-
ბა ნივთმტკიცებად ამოღებული ავტომანქანის ექსპლუატაცია.
11.08.2007წ. ამოღების ოქმის მიხედვით ამოღების დროს მანქანას
რაიმე სახის დაზიანების კვალი არ აღენიშნებოდა. ნივთიერ მტკი-
ცებულებას ინახავს პროცესის მწარმოებელი ორგანო ისეთ პირო-
ბებში, რომლებიც გამორიცხავს მისი თვისებების შეცვლას (ამო-
ღების დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
122.1 მუხ.). 26.03.2013წ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ავტო-
მობილის ძარაზე აღინიშნებოდა ექსპლუატაციისათვის დამახასი-
ათებელი ნიშნები, ავტომობილის სარევიზიო გაშვებით გაირკვა,
რომ ავტომობილის ძალური აგრეგატები, გადაცემათა კოლოფი გა-
მართულ მდგომარეობაში იყო. აღნიშნულის მიუხედავად, უკვე
23.12.2013წ. დათვარიელების ოქმით ირკვევა, რომ მანქანას ტექ-
ნიკური პრობლემა ჰქონდა, მანქანა წინსვლით არ გადაადგილდე-
ბოდა, ავტომანქანის წინა მხარეს წვეთავდა წყალი. სსიპ ლევან
სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული
ბიუროს 28.02.2014წ. №5000955714 დასკვნის თანახმად, ჩატარე-
ბული საექსპერტო კვლევის შედეგად 2007 წელს დამზადებული,
კვლევაში მითითებული მახასიათებლების მქონე ავტომანქანა
BMW X5-ის საშუალო საბაზრო ღირებულებამ 119 500 ლარი შეად-
გინა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-
ტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის დე-
პარტამენტის 28.02.2014წ. №5000954014 დასკვნის თანახმად, ვი-
ზუალური დათვარიელების შედეგად დადგინდა, რომ ავტომობილს

აღენიშნება ექსპლუატაციისათვის დამახასიათებელი ნაკვალევი, ავტომობილს დაზიანებული ჰქონდა გადაცემათა კოლოფი, წინა მარჯვენა ფრთა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ავტომანქანის BMW X5 (სახ. ნომერი ..., გამოშვების წელი 2007, საიდენტიფიკაციო ნომერი ...) საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით საორიენტაციოდ 35000 ლარს შეადგენს. ის გარემოება, რომ ავტომანქანის საბაზრო ღირებულებაზე (119 500 ლ.) ბევრად ნაკლები ღირებულების მქონე მანქანა დაუბრუნდა მოსარჩელეს, ადასტურებს ავტომანქანის ექსპლუატაციას და მოსარჩელისთვის ზიანის მიყენებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ ავტომანქანის ექსპლუატაციას შესაძლოა გამოეწვია ნივთის ქარხნული ღირებულების შემცირება, თუმცა დაუსაბუთებლად მიაჩნია ის, რომ ნივთის რამდენიმე თვითნაშამ ექსპლუატაციამ არსებითი გავლენა იქონია 101 647,82 ევროდ შეძენილი ავტომანქანის საბაზრო ღირებულების 35000 ლარამდე შემცირებაზე. ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას (ამღების დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხ. მე-4 ნაწ., ამჟამად მოქმედი კოდექსის 81-ე მუხ. მე-3 ნაწ.). ამდენად, დავის გადწყვეტა საჭიროებს ამოღების მომენტში ავტომობილის ღირებულებისა და მისი დაბრუნების მომენტში ავტომობილის ღირებულების დადგენას. საქმის მასალებში დაცულია ავტომანქანის 11.08.2007წ. ამოღებამდე რამდენიმე თვით ადრე BMW-ს ოფიციალურ წარმომადგენელსა და სს „ა...ს“ შორის 19.04.2007წ. გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ავტომანქანის შეძენისთვის გადასახდელმა თანხამ არანაკლებ 101 647,82 ევრო შეადგინა. ამდენად, მოპასუხე მხარეს ეკისრება ამოღების მომენტში ავტომანქანის საორიენტაციო საბაზრო ღირებულებასთან და გარბენთან დაკავშირებით დ. ხ-ის მიერ მითითებული გარემოებების გამომრიცხავი და/ან საპირისპირო გარემოებების მითითება და არსებობის დადასტურება. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით, სასამართლოს შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს არა მხოლოდ მისცეს წინადადება, არამედ საჭიროების შემთხვევაში დაავალოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა (მდრ. სუსგ 18.10.2022წ. №ბს-376(კ-22)).

ამჟამად მოქმედი 09.10.2009წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად ნივთიერი მტკიცებულება ინახება ისეთ პირობებში, რომლებიც გამომრიცხავს მისი თვისებების შეცვლას, ანალოგიურ დებულებას შეიცავდა ამოღების დროს

მოქმედი 20.02.1998წ. კოდექსის 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. ავტომატური ანგარიშის მომენტისთვის მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრად მნიშვნელობის მქონე გარემოებას შესაძლოა წარმოადგენდეს ავტომატური გარბენის მონაცემები. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი არასწორად გადაანაწილა. სამართალწარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა იქნეს განაწილებული, რომ მხარეებს დაეკისროთ იმ ფაქტების არსებობის მტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია (სუსგ 11.03.2021წ., №ას-1376-2020). სახელმწიფო ორგანოებს ეკისრება იმ საგანთან დაკავშირებული გარემოებების მტკიცების ტვირთი, რომელზეც იგი ფაქტობრივ ბატონობას დროის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსარჩელე მხარის მიერ მითითებულ მოვლენათა განვითარებას საქმის მასალებით დადასტურებული სხვა გარემოებები ამყარებენ. ამოღების განხორციელების დროს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა იმპერატიულად მოითხოვდა ნივთიერი მტკიცებულებების გვარეობით ნიშნებთან ერთად საგნის ინდივიდუალური ნიშნების გამოვლენას და ასახვას ოქმში. ნივთმტკიცების ამოღების მომენტში მოქმედი 20.02.1998წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 326.1 მუხლის თანახმად, ამოღების ჩატარების დროს უნდა შემდგარიყო ამოღების ოქმი, ამავე კოდექსის 326.2 მუხლის მიხედვით, ყველა ჩამორთმეული საგანი და დოკუმენტი ოქმში აღინიშნებოდა მათი რაოდენობის, წონის, ღირებულების (თუ ეს შესაძლებელია), ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნების მითითებით. საგნის (საგნების) გვარეობით ნიშნებთან ერთად ინდივიდუალური ნიშნების აღწერას მოითხოვდა აგრეთვე ამავე კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილი. სისხლის სამართალში სახელმწიფო ორგანოებზე დაკისრებული ტვირთი უცვლელად გადმოდის ადმინისტრაციულ სასამართლოწარმოებაში. სსსკ-ის 287-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოითხოვდა საგამოძიებო მოქმედების ოქმში ყველა არსებითი გარემოების ასახვას. განსახილველ საქმეზე უდავოა სახელმწიფოს მიერ ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება ნივთმტკიცებად ამოღებულ საგანზე 11.08.2007-23.12.2013წ. პერიოდში. 11.08.2007წ. ამოღების ოქმში ასახული არაა არც ავტომატური ღირებულება და არც მისი ისეთი ინდივიდუალური ნიშანი როგორიცაა მის მიერ განვლილი მანძილი. განსახილველი საქმის სასამართლო წარმოების ფარგლებში მოპასუხე მხარის – აჭარის ა/რ პროკურატურის და საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცების ტვირთს შეადგენს იმ გარემოებების არსებობის დადასტურება, რომლებიც ობიექტურად შეუძლებელს ხდიდნენ ავტომანქანის ამოღების მომენტი და ამოღების შემდგომ გონივრულ ვადაში ამოღებული ნივთის ღირებულებისა და ინდივიდუალური ნიშნების მითითებას. ავტომანქანის გარბენთან დაკავშირებით მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ მისი ამოღების მომენტი გარბენი 2000-3000 კმ.-ს შეადგენდა. ავტომანქანის დაბრუნებისას შედგენილი 23.12.2013წ. დათვალიერების ოქმის თანახმად, ავტომანქანის გარბენი 99 426 კმ. შეადგინა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საგნის დაბრუნებამდე (23.12.2013წ.) გაცემული ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.03.2013წ. №5001017513 დასკვნის მიხედვით, ავტომანქანის გარბენი შეადგენდა 94 965 კმ.-ს. შესაბამისად, საგანზე სახელმწიფოს ფაქტობრივი ბატონობის გარკვეული მონაკვეთის პერიოდში (26.03.2013წ. – 23.12.2013წ.) ავტომანქანის გარბენის ცვლილება (4 461 კმ.) დასტურდება ზემოხსენებული 23.12.2013წ. დათვალიერების ოქმითა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 26.03.2013წ. №5001017513 დასკვნით. ამდენად, 8 თვეში (2013 წლის 26 მარტიდან 2013 წლის 23 დეკემბრამდე) ავტომანქანის გარბენი ადასტურებს კასატორის მოსაზრებას, რომ ნივთმტკიცებად ამოღებული მანქანის შესაძლო ექსპლუატაციას ჰქონდა ადგილი ანუ ნივთმტკიცება შენახული და დაცული არ იყო კანონის შესაბამისად, ნივთმტკიცებად ამოღებული ავტომანქანის ექსპლუატაცია ნივთმტკიცების არასათანადო შენახვის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა იქნეს მიჩნეული.

სააპელაციო პალატის განჩინება არ შეიცავს პასუხს კითხვაზე თუ რით იყო განპირობებული 2013 წლის 26 მარტიდან 2013 წლის 23 დეკემბრამდე ნივთმტკიცებად ამოღებული მანქანის მიერ არსებული გარბენა, ავტომანქანის ექსპლუატაციის შეუძლებლობა, მისი შეკეთების საჭიროება, შესაბამისად, ქვედა ინსტანციების მოსაზრება, რომ მოსარჩელის მიერ ავტომანქანის ექსპლუატაციის დამადასტურებელი საბუთი არ წარმოდგენილა, არ არის საფუძვლიანი და ვერ უარყოფს მოსარჩელის მოთხოვნას. მოთხოვნაზე უარს არ ასაბუთებს მითითება იმაზე, რომ მოსარჩელე ვერ ასაბუთებს კონკრეტულად რომელი პირი ეწეოდა მანქანის ექსპლუატაციას, ვინაიდან დელიქტურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთებაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები გამომდინარეობენ საქართველოს კონსტიტუციის 18.4 და სზაკ-ის 208-ე მუხლებიდან. მითითებული ნორმები ორიენტირებული არიან ქმედების განმა-

ხორციელებელი ორგანოს და არა ინდივიდის პასუხისმგებლობაზე. ორგანიზაციაზე (სახელმწიფოზე) ორიენტირებული პასუხისმგებლობის დროს ზიანის გამომწვევი ქმედების ორგანოსათვის შესაბამისად აუცილებელი არაა ქმედების განმახორციელებელი კონკრეტული ინდივიდის ან ინდივიდების ვინაობის დადგენა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ პირი სამართლებრივ ურთიერთებაში იმყოფება რთული სტრუქტურული აგებულების მქონე ორგანოსთან, შესაბამისად, ანგარიშგასანევია ორგანიზაციის გარეთ მყოფი პირის გაურკვევლობა დაწესებულების სამუშაო და ფუნქციონირების საკითხებში. ამდენად, ზიანის წარმომშობი საქმიანობის განმახორციელებელი კონკრეტული ფიზიკური პირის ვინაობის დადგენის საჭიროება დელიქტური მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის არ არსებობს, თუმცა უნდა დადასტურდეს ორგანოს მონაწილეობა დელიქტურ სამართალურთიერთობაში. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ ავტომანქანის დაბრუნებისას მისი ექსპლუატაციის შეუძლებლობა, ავტომანქანის შეკეთების საჭიროება ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს ავტომანქანის ექსპლუატაციას, აღნიშნული შედეგი შესაძლოა დამდგარიყო მოუვლელობით. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია დაზიანების ხასიათზე, საფუძვლიანია კასატორის მოსაზრება, რომ ავტომანქანის დალუქულ და გაჩერებულ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში არ მოხდებოდა სიჩქარის კოლოფის ჩაშლა, რის გამო მანქანა წინა სვლით ვერ მოძრაობდა. საქმის მასალებში არ მოიპოვება საპროცესო დოკუმენტები, კერძოდ, ოქმები ლუქის მოხსნის, ავტომანქანის გადაყვანის, კვლავ დალუქვის შესახებ, რაც ადასტურებს ნივთმტკიცების შენახვის წესის დარღვევას.

ავტომანქანის უკანონო ამოღებით გამოწვეული ზიანის ოდენობის გამოსათვლელად ნივთის ამოღებისა და დაბრუნების მომენტში საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ გამოძიება სახელმწიფო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, საგამოძიებო საქმიანობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ორგანო იძულებულია თავისი საქმიანობა ინფორმაციული დეფიციტის პირობებში წარმართოს. ამასთანავე, საგამოძიებო საქმიანობის აღნიშნული სპეციფიკა არ ქმნის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან სრულად გათავისუფლების საფუძველს, ხსენებულმა გარემოებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მხოლოდ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის ფარგლებზე (შდრ. სუსგ 04.06.2015წ., №ბს-485-474(2კ-14)). დამატებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.09.2020წ. განჩინებით უცვლელად დარჩა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.02.2019წ. გადაწყვეტილება, რომლითაც დაბრუნებული ავტომანქანის რემონტისთვის განეული ხარჯის – 8505,85 (8380,60 + 125,25) ლარის დ. ხ-ის სასარგებლოდ ანაზღაურება აჭარის ა/რ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრათ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ავტომანქანის დაზიანება და მისი საბაზრო ღირებულების შემცირება ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული მოვლენებია. ავტომანქანის რემონტის საჭიროება განაპირობა მისმა დაზიანებამ, რამაც თავისმხრივ ნივთის საბაზრო ღირებულება შემამცირა. ავტომანქანის ამოღებისა და მისი დაბრუნების მომენტში მის საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა მოიცავს ავტომანქანის დაზიანების აღმოსაფხვრელად გასანევ ხარჯებს. საქმის მასალებით, დ. ხ-მა დაზიანებული ავტომანქანის აღდგენისთვის 8505,85 (8380,60 + 125,25) ლარის ხარჯი განია. მისი მოსარჩელისთვის ანაზღაურების გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხეების მიერ არ გასაჩივრებულა და შესაბამისად ძალაშია, რის გამოც იგი უნდა ჩაითვალოს დ. ხ-ისთვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობაში. ავტომანქანის რემონტზე განეული ხარჯი ასანაზღაურებელი ზიანის შემადგენელი ნაწილია, თუმცა საბაზრო ღირებულების შემცირება არ არის სრულად მოცული რემონტზე განეული ხარჯით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში, არის შესაძლებელი საკუთრების ჩამორთმევა. ხსენებული მუხლი იცავს არა მხოლოდ მესაკუთრეს, არამედ ასევე მფლობელსაც (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“). ამასთანავე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი ოდენობის დადგენა. საქმეში დაცულ დ. ხ-ის საჩივარში, რომლითაც მან მიმართა INTERPOL-ის მე-4 განყოფილებას, საჩივრის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ავტომანქანა არ იმყოფებოდა მის საკუთრებაში და მას ის ჰქონდა დაქირავებული. საქართველოს პროკურატურის მიმართ ადვოკატის შ. ჯ-ის 14.04.2014წ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ავტომანქანა დ. ხ-ს შეძენილი ჰქონდა ლიზინგის წესით, გადახდილი აქვს 110 000 ევრო ანუ 9000 ევროთი მეტი, ვიდრე ერთდროულად გადახდის შემთხვევაში მოუწევდა გადახ-

და, თანხა გადახდილი აქვს ავტომანქანის ჩამორთმევის შემდეგ, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საქმეში დაცული არაა. 11.08.2007წ. ამოღების ოქმით დასტურდება, რომ ავტომანქანასთან ერთად ასევე ამოღებულ იქნა დ. ხ-ის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი ავტომანქანის საკუთრების დამახასიათებელი საბუთები 7 ფურცლად. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ხსენებული დოკუმენტაციის გამოთხოვის და შესწავლის გარეშე უარი უთხრეს მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ უმსჯელიათ და საქმეზე დადგენილი არ არის თუ როდის, ვისგან, რა პირობით იქნა შეძენილი მოსარჩელის მიერ ავტომანქანა, როდის და რამდენი იქნა ავტომანქანაში გადახდილი მოსარჩელის მიერ, აღნიშნული უკავშირდება მიყენებული ზიანის, მისი ოდენობის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხს, რადგან ლიზინგის ხელშეკრულებით ნივთის შეძენისას ლიზინგის მიმღები მოძრავ ნივთს იღებს ვადიან სარგებლობაში და არა საკუთრებაში. მართალია, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღები აღჭურვილია ლიზინგის საგნის შესყიდვის უფლებით, თუმცა ხელშეკრულების საგანზე ლიზინგის მიმღების საკუთრების წარმოშობა ხელშეკრულებით შეთანხმებული ვადის გასვლასა და საფასურის გადახდას უკავშირდება. როგორც წესი, ნასყიდობის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, ლიზინგის ხელშეკრულების დადებისას საკუთრების უფლება უნარჩუნდება ლიზინგის გამცემს და ლიზინგის მიმღებზე გადადის მხოლოდ სარგებლობის უფლება შემდგომში საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობით. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს თავის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულების შემცირების თანხის ანაზღაურებას, თუმცა სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია ლიზინგის ხელშეკრულებით შეთანხმებული თანხის გადახდის, სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების მოსარჩელის სახელზე გადასვლის ფაქტი, რაც მნიშვნელოვანია ზიანის ოდენობის განსაზღვრისთვის.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ავტომანქანის უკანონო ამოღებით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ არასრულყოფილად დაადგინა საქმი-

სათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, არ გამოიკვლია საქმის გარემოებები (ავტომანქანის ამოღებისა და დაბრუნების მომენტში საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა) და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. ზემოხსენებულ ნაწილში განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ ნანამძღვრებს, დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ავტომანქანის უკანონო ამოღებით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის, აღნიშნული თავის მხრივ ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.09.2020წ. განჩინება დანარჩენ ნაწილში, კერძოდ: მორალური ზიანის ანაზღაურებისა და დ. ხ-ის მითითებით მისთვის ჩამორთმეული ფულადი თანხის – 5 700 ევროს მოპასუხეებისთვის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს. კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განჩინების მთლიანად გაუქმებას, თუმცა ცხადია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების იმ ნაწილის მიმართ, რომლითაც უცვლელად დარჩა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების ნაწილში, კერძოდ, დ. ხ-ის სასარგებლოდ დაზიანებული ავტომანქანის შეკეთებისათვის გაწეული ხარჯების 8505,85 (8380,6+125,25) ლარის აჭარის ა/რ პროკურატურისათვის და საქართველოს შს სამინისტროსათვის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში მოპასუხეების სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში განჩინება კანონიერ ძალაშია შესული.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღა-

ურების სახით (სკ-ის 413.1 მუხ.). ზიანის ანაზღაურებისათვის არსებითია ზიანის სიმძიმე, განცდების ინტენსივობა. მსუბუქი სულიერი განცდები მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომელიც როგორც წესი იწვევს პირის მძიმე ფსიქიკურ განცდებს, სულიერ ტანჯვას და ა.შ., მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა (სუსგ №ას-660-660-2018, 20.07.2018წ.). განსახილველ შემთხვევაში დ. ხ-ი მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს ავტომანქანის უკანონო ამოღების საფუძვლით, თუმცა ვერ უთითებს მორალური ზიანის ანაზღაურების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველზე. სკ-ის 413-ე მუხლი მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს ორ შემთხვევაში, კერძოდ, თუ მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა კანონით ზუსტად არის განსაზღვრული ან თუ სახეზეა პირის სხეულის დაზიანება ან/და ჯანმრთელობისთვის ცენების მიყენება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, დევნის განხორციელების კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის უკანონობა საქმიანობის ადრესატის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში გარკვეულ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს ორგანოსთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობას. ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებების არამართლზომიერებას მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ორგანოების მიერ განხორციელდა პირის უკანონო ბრალდება, მსჯავრდება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება და სხვ., ან უკეთუ სათანადო წესით დადასტურდება განცდილი მძიმე სულიერი ტანჯვის შესაბამისად პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება. განსახილველ შემთხვევაში დ. ხ-ისათვის ბრალის წარდგენა არ დასტურდება, გამოძიება დაიწყო კონკრეტულ ფაქტთან მიმართებით, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის განმსაზღვრელია ის გარემოება, რომ დ. ხ-ის პასუხისგებაში მიცემა არ მომხდარა, რის გამო უკანონო მსჯავრდების თუ სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის გამო მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ იკვეთება. მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის მხრიდან განხორციელებულ დაშინების, იძულების, მუქარისა და ზეწოლის ფაქტებს ანუ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს. მართალია, მორალური ზიანი ანაზღაურდება აგრეთვე

დაზარალებულისთვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის-თვის, თუმცა სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადან-ყვეტილება მოცემულ პერიოდში დამდგარი არ არის, მოსარჩელე დაზარალებულად ცნობილი არ არის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დაწყებული გამოძიება მიმდინარეა. რაც შეეხება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების მეორე საფუძველს – პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დ. ხ-ის ჯანმრთელობის დაზიანებისა და მისი შესაძლო გამომწვევი მიზეზების თაობაზე სათანადო მტკიცებულებები საქმეში დაცული არ არის. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობებით დასტურდება დ. ხ-ის სამედიცინო ცენტრ – „D“-ს პაციენტთა სივრცეში ყოფნა და თანხის გადახდა, თუმცა არა ზემოხსენებული გარემოებები. ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებების შედეგად ჯანმრთელობის ისეთი დაზიანების წარმოშობა, რაც მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული საფუძვლების არსებობას დაადასტურებს, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენდა. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელის საკუთრების მიმართ ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონშეუსაბამო ქმედებები განახორციელა, იმთავითვე არ ქმნის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს. მართალია, გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე დიდხანს გრძელდებოდა და მოსარჩელეს არ ჰქონდა მანქანით სარგებლობის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნულის გამო ფსიქოლოგიური განცდის ინტენსივობა, განცდების ნეგატიური მოქმედება მოსარჩელის ჯანმრთელობაზე და ამის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზ-შედეგობრივი გაუარესების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მხოლოდ განცდილი დისკომფორტი და ნეგატიური განცდის არსებობა თავისთავად არ ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს. ამდენად, დ. ხ-ის მოთხოვნა ავტომანქანის უკანონო ამოღების გამო მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას. საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს განჩინების მთლიანად გაუქმების მოთხოვნისა კასატორს საკასაციო საჩივარში არ მოყავს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში განჩინებაში მოყვანილი არგუმენტების უმართლობის დამადასტურებელი რაიმე მოსაზრებები, კასატორის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება საკასაციო საჩივარში მოყვანილია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების კონტექსტში. საკასა-

ციო პალატის 08.02.2021წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში, კასატორს სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაუვადდა, ამდენად, მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივარი არის დაუსაბუთებელი. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მორალურ ზიანთან დაკავშირებით დასაბუთებულ არგუმენტაციას, სსკ-ის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონშებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული განჩინების მოტივების უარყოფელ სამართლებრივად დასაბუთებულ არგუმენტაციას.

კასატორი მოითხოვდა აგრეთვე მისთვის უკანონოდ ჩამორთმეული თანხის ზიანის სახით ანაზღაურებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურება არის არა პირველადი, არამედ მეორადი მოთხოვნა, რადგან სკ-ის 408.1 მუხლიდან გამომდინარე იგი ემსახურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა, მაშინ, როდესაც პირველადი მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია. მოცემულ შემთხვევაში, პირველადი მოთხოვნაა დ. ხ-ის მითითებით მისთვის ჩამორთმეული თანხის უკან მიღება. აღნიშნული მოთხოვნა გამოსატულია ფულადი ერთეულით, რის გამოც მისი შესრულების შეუძლებლობა არ დასტურდება. ამჟამად მოქმედი 09.10.2009წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 80.1 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული. საქმის მასალებით არ დგინდება მოსარჩელის მიერ სსკ-ის 80.1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მექანიზმის ამოწურვა. კანონმდებლობა დაინტერესებულ პირებს არ აძლევს სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების რიგითობას შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს მის მიმართ ძალოვანი სტრუქტურის უცნობი პირების მიერ კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის შემცველ ნიშნებზე მითითებით, აღნიშნული საკითხების დადგენა სცილდება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადობის ფარგლებს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 24.09.2010წ. კანონით სსკ-ის 106-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების თანახმად სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელ აქტს არ აქვს პრიუდიციული მნიშვნელობა, ცვლილება განიცადა აგრეთვე სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვე-

პუნქტმა, რის შედეგადაც სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს აღარ წარმოადგენს საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვა, თუმცა დაშვებულია მისი მტკიცებულებად გამოყენება, ამასთანავე, ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს იურისდიქცია არ გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი ორგანოების კომპეტენციაში ინტერვენციას, მათი განსჯადი საქმეების განხილვას, მით უფრო, რომ სისხლის სამართლებრივი იურისდიქცია დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და სასჯელის გამოყენების საკითხზე სრული და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან სისხლის სამართალწარმოების ფუნქცია ყველაზე მეტად ხელშესახებია პირის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ. ამასთანავე, მოპასუხე მხარე არ ადასტურებს, უფრო მეტიც, უარყოფს დ. ხ-ისაგან თანხის ამოღებას სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედების სახით, მუქარით ავტომანქანის ჩუქების იძულების ფაქტს. მოსარჩელის ავტომანქანის სალონიდან თანხის უკანონოდ, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმით განსაზღვრული საგამოძიებო მოქმედების გარეშე ამოღების, ავტომანქანის ჩუქების იძულების ფაქტი არ დასტურდება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო/ადმინისტრაციული წარმოება არაა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოება – სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე, ამასთან, პრეიუდიციული ძალის არქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, ამასთანავე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო ინდივიდის დასჯას, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივის – დელიქტური სამართალურთიერთობის მონაწილე ორგანოს მიერ ზიანის მიყენებით ხელყოფილი უფლების აღდგენას. პასუხისმგებლობის წინაპირობების სხვაობა შედეგად იწვევს მტკიცების სტანდარტების სხვადასხვა საფეხურის გამოყენებას სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე. შესაბამისად, პრინციპში არ არის გამორიცხული განსხვავებული შედეგების დადგომა სხვადასხვა სამართალწარმოების ფარგლებში, რაც პასუხისმგებლობის სხვადასხვაგვარი პირობებით აიხსნება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 17.01.2017წ. გადაწყვეტილება საქ-

მეზე „მოლგა პოლონეთის წინააღმდეგ“ (case of „Molga v. Poland“), §88; 19.07.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (case of „Sarishvili-Bolkvadze v. Georgia“), §87). ანიჭებს რა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ქმედების უკანონოდ შეფასების გარემოებებს, ქმედების უმართლობის საფუძვლების შეფასებისას სასამართლოს გარკვეული მიხედვლების ფარგლები გააჩნია. ზემოაღნიშნულთან ერთად ხსენებული მოთხოვნის მიმართ დასადაგენი გარემოებები, ზიანის გამომწვევი ქმედების კონკრეტული პირის მიერ ჩადენის ფაქტის დადგენა სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის ნიშნების შემადგენლობის დადგენის ტოლფასია. სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი აქტის არარსებობა თავისთავად არ ნიშნავს სარჩელის აღძვრის შეუძლებლობას, ასეთი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსათუოდ უარის თქმას, თუმცა ასეთ შემთხვევაში უნდა დასტურდებოდეს თვით ქმედების ჩადენა, რაც მოცემულ შემთხვევაში ამ ეტაპზე საქმის მასალებით არ დასტურდება. მოსარჩელის მოსაზრებანი იმასთან დაკავშირებით, რომ მუქარის შედეგად აიძულეს მანქანის გაჩუქება, ჩამოართვეს თანხა საქმის მასალებით არ დასტურდება, ავტომანქანა არ არის გაჩუქებული, საქმეში არ მოიპოვება ავტომანქანიდან თანხის ამოღების ოქმი, არ არსებობს აღნიშნულის დამადასტურებელი ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი. ადმინისტრაციული დავის განხილვის ფარგლებში სასამართლო არ არის მოკლებული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შესაძლებლობას, საქმეში სათანადო მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა დადგენილად მიეჩნია მოსარჩელისთვის თანხის ჩამორთმევის ზოგადი ფაქტი, თუმცა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების – კონკრეტული პირების მიერ მუქარის და იძულების წესით ფულადი თანხის ჩამორთმევის დადგენა სცილდება ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების სფეროს და სხვა, კერძოდ, სისხლის სამართალწარმოების წესით, წინასწარი გამოძიების ჩატარების შედეგად არის დასადაგენი, სისხლისსამართლებივი იურისდიქციის განსაკუთრებულობის გათვალისწინებით, შეუძლებელია მისი ჩანაცვლება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. დელიქტური პასუხისმგებლობისათვის საქმის მასალებით დადასტურებული უნდა იყოს მოპასუხის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედების ფაქტი, უმართლობა. მოსარჩელის უფლების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია უფლების დაცვა სისხლის სამართალწარმოების წესით გარემოე-

ბის დადგენით, რაც შემდგომში მოპასუხისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს შექმნის. ამასთანავე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებებით მოპასუხე ორგანოების მიერ დ. ხ-ისათვის კონკრეტული რაოდენობის თანხის ჩამორთმევა არ დასტურდება. თანხის ჩამორთმევისა და მისი ზუსტი ოდენობის დასადასტურებლად მოსარჩელის ახსნა-განმარტებები და მოწმეთა განცხადებები არასაკმარისია იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ორგანოსგან გამოთხოვილი სისხლის სამართლის საქმის მასალები სათანადო მტკიცებულებებს არ შეიცავს. დ. ხ-ის განმარტების თანახმად, მან საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოიტანა 7000 ევრო ნალდი ფული, რომელიც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ჩამოართვეს, ხოლო შემდგომში 300 ევრო უკან დაუბრუნეს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების მიხედვით, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია მოიცავდა გრაფას ეროვნული ვალუტის ან მისი ექვივალენტი უცხოური ვალუტის გადატანაზე ინფორმაციის შესახებ, ამასთანავე, ნებისმიერი ოდენობით ვალუტის საქართველოში შემოტანა და მისი გატანა თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან, თუმცა პირის მიერ 30 000 ლარის ან უცხოურ ვალუტაში მისი ექვივალენტი ნალდი თანხის საზღვარზე გადაადგილება ექვემდებარებოდა სავალდებულო დეკლარირებას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 20.12.2006წ. №1776 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო დეკლარაციის სახეების, ფორმების, შევსების, წარდგენის დაბრუნების, შეცვლის, რეგისტრაციის და მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმისა და შევსების, საფოსტო გზავნილის დეკლარაციის ფორმისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციების“ №6 დანართის მე-3 მუხლის თანახმად. ამავე ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქციის“ (№1 დანართი) 6.6 მუხლის მიხედვით, რეგისტრაციის მომენტიდან დეკლარაცია წარმოადგენდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთს. დ. ხ-ის მიერ უცხოური ვალუტის დეკლარირების ფაქტი არ დასტურდება, მის მიერ მითითებული თანხის ოდენობა არ მოითხოვდა სავალდებულო დეკლარირებას, შესაბამისად, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ მითითებული თანხის შემოტანა. დ. ხ-ს საქართველოში კონკრეტული ოდენობის თანხა რომც შემოეტანა, აღნიშნული იმთავითვე ვერ დაადასტურებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოსარჩელისთვის

თანხის ჩამორთმევას, რადგან პირს თავისუფლად შეეძლო თანხის განკარგვა პირადი მიზნებისათვის. ამდენად, მხოლოდ მოსარჩელის განმარტება, რომ მას საქართველოში შემოტანილი თანხა ჩამოართვეს, არ ქმნის ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების სათანადო დასაბუთებას, რადგან ერთი მხრივ არ დგინდება დ. ხ-ის მიერ საქართველოში კონკრეტული ოდენობის თანხის შემოტანის ფაქტი, ხოლო მეორე მხრივ – ნებისმიერ, მათ შორის არაკეთილსინდისიერ პირსაც აქვს მსგავსი განმარტების გაკეთების, თანხის ჩამორთმევის ფაქტზე მითითების შესაძლებლობა, ამდენად, მხოლოდ მხარის განმარტება არ ქმნის მოსარჩელის მიერ მითიებული ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის აღძვრისას, ქმედების განხორციელებისა და მის შედეგად ზიანის დადგომის ფაქტების დადასტურება მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენს. სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონშეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამასთანავე, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ (სსკ-ის 105-ე მუხ.). სასკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომლითაც მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოზეა გადატანილი, ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევებზე. განსახილველ დავაში კი მოთხოვნილია ზიანის ანაზღაურება, ასეთ დროს სასკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი მოქმედებს, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე მოპასუხეც ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი და შესაბამისი მტკიცებულებები. ამასთანავე, მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადასვლა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე მიუთითებს მოთხოვნის საფუძვლად არსებულ სათანადო ფაქტობრივ გარემოებებზე

და წარადგენს მათი არსებობის დამდგენ შესაბამის მტკიცებულებებს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ავტომანქანაში ჰქონდა 6000 ევრო, საიდანაც 5700 ევრო აღარ დაუბრუნდა. აღნიშნული გარემოების დასამტკიცებლად იგი წარმოადგენს ა. ხ-ის წერილობით ახსნა-განმარტებას, რომელიც ნოტარიულად არის დამოწმებული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის ახსნა-განმარტებას სარწმუნოებას არ სძენს მისი ნოტარიალური წესით დამოწმება, რადგან ნოტარიუსი ადასტურებს ახსნა-განმარტების კონკრეტული პირის მიერ მიცემას და არა ახსნა-განმარტების შინაარსის ჭეშმარიტებას, მასში მითითებული ფაქტების ნამდვილობას. ა. ხ-ის წერილობითი ახსნა-განმარტების დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნევის შემთხვევაშიც, 5700 ევროს მოპასუხეთათვის დაკისრების მოთხოვნის საფუძვლიანობა არ დასტურდება. ა. ხ-ის წერილობითი ახსნა-განმარტების მიხედვით დ. ხ-ს თან ჰქონდა 6000 ევრო, თუმცა ახსნა-განმარტება არ შეიცავს თანხის კონკრეტული ოდენობით არსებობის სარწმუნო დასაბუთებას. მითითება, რომ მოსარჩელის ჩანთა ა. ხ-ს ჰქონდა, თანხის ოდენობას არ ასაბუთებს, რადგან არ დგინდება, რომ ა. ხ-მა უშუალოდ მოახდინა თანხის ოდენობის დათვლა, ხოლო უკეთუ თანხის ოდენობის შესახებ მან დ. ხ-ისგან შეიტყო, ახსნა-განმარტება აღნიშნულ ნაწილში ვეღარ იქნება დამოუკიდებელ მტკიცებულებად მიჩნეული, რადგან გარკვეულ ფაქტებზე მოსარჩელის განმარტების შესაბამისად მოხდა. საქმის მასალებში დაცულია თავად დ. ხ-ის მოწმედ დაკითხვის 23.12.2013წ. ოქმი, ასევე მოწმე ს. (ლ.) ახ-ის 23.09.2014წ. დაკითხვის ოქმი, რომელთა თანახმად, არ დგინდება, რომ საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს, ავტომანქანიდან პირადი ნივთების ამოღებისას დ. ხ-ს ახლდა ა. ხ-ი. უფრო მეტიც მოწმე ს. (ლ.) ა-ე აღნიშნავს, რომ 11.08.2007წ. არც რესტორანში ყოფნისას, არც მის ოჯახში ღამის გათევისას ა. ხ-ი არ ახლდა დ. ხ-ს და როგორც მოწმეს ახსოვს, აღნიშნული პიროვნება უფრო ადრე გაემგზავრა ბათუმიდან. ასევე, დ. ხ-ი, 23.12.2013წ. ჩვენებაში როდესაც აღწერს საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს, საუბრობს მხოლოდ რიცხვში, აღნიშნავს, რომ მიიყვანეს გაურკვეველ შენობაში მანქანის გადასაფორმებლად, დაანერინეს განცხადება, შემდეგ წაიყვანეს საპატრულო პოლიციაში, დაბრუნების შემდეგ გამოართვეს მანქანის გასაღები, მანქანიდან აიღო თავისი პირადი ნივთები. ა. ხ-ს ჩვენებაში მოსარჩელე ახსენებს მხოლოდ საქართველოს ერთად დაცოვების კონტექსტში და არ აღნიშნავს, რომ ა. ხ-ი უშუალოდ ესწრებოდა საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს განვითარებულ მოვლენებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, მტკიცების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თვით-

მხილველი მოწმეები, რომელთა ჩვენებები და ახსნა-განმარტებები მომეტებული ინფორმაციულობით გამოირჩევა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არ დგინდება საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს განვითარებულ მოვლენებში ა. ხ-ის უშუალო მონაწილეობა და მისი „თვითმხილველად“ მიჩნევის შესაძლებლობა. თანხის ჩამორთმევის ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით მოწმეები სხვადასხვა განმარტებებს აკეთებენ: თანხის ჩამორთმევის ფაქტზე უთითებენ მოსარჩელე და ა. ხ-ი, რომელიც მოსარჩელის ცოლის ნათესავია, ხოლო მეორე მხრივ ამ ფაქტს უარყოფენ გამომძიებელი და ს. (ლ.) ა-ე, რომელიც განვითარებულ პროცესებში შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ინიციატივით მონაწილეობდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღქმა არ არის პასიური ჭვრეტიანი აქტი, აღქმას ახდენს კონკრეტული ადამიანი, შესაბამისად აღქმაში აისახება ადამიანის დამოკიდებულება, ინტერესები, მისწრაფებები, სურვილები და გრძნობები, ამასთანავე, გარკვეული სუბიექტური ინტერესების მხედველობაში მიღებით არ გამოირიცხება განვითარებული მოვლენების უსწორო აღწერაც. ამდენად, ყველა ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტება შესაძლოა ატარებდეს სუბიექტურ, ტენდეციურ ხასიათს, რის გამო რომელიმე მათგანისათვის იმთავითვე უპირატესობის მინიჭება არ იქნება დასაბუთებული. ამასთანავე, საქმეში არ არის დაცული მოსარჩელისთვის კონკრეტული ოდენობის თანხის ჩამორთმევის დამდგენი რაიმე ობიექტური ხასიათის მტკიცებულება, რომლის მეშვეობითაც მოწმეთა ახსნა-განმარტებებში ასახული მოვლენების გადამოწმება იქნებოდა შესაძლებელი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში დაცული მასალები არ იძლევა მოსარჩელისთვის კონკრეტული ოდენობის თანხის ჩამორთმევის დადგენის შესაძლებლობას, ხოლო მხოლოდ ვარაუდი – მოსარჩელისთვის თანხის ჩამორთმევის აბსტრაქტული შესაძლებლობა ვერ გახდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარისი საფუძველი. ამასთანავე, სისხლის სამართალწარმოების მიზნებისთვის ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების პრეიუდიციული მნიშვნელობის არარსებობის გამო, არ გამოირიცხება მიმდინარე გამოძიების ფარგლებში აღნიშნული გარემოების დამატებითი გამოკვლევის შესაძლებლობა, რომლის თანამდევი შედეგების განხილვა ცდება არსებული დავის ფარგლებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწი-

ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 390-ე, 410, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ავტომანქანის ამოღებით და არასათანადო შენახვით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.09.2020წ. განჩინება და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. დანარჩენ ნაწილში დ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.09.2020წ. განჩინება;
4. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

მარაგბიტირებალი გარემოების დადგომის პირობებში მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-164(3კ-21)

28 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბა-
თილად ცნობა; მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 18 სექტემბერს ბ. ი-ამ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას, მოპასუხე – საქართველოს მთავარი პროკურატუ-
რის მიმართ, სამსახურში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროს ...ს რაიონული სამმართველოს ...ის თანამდებობაზე აღ-
დგენის, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთ-
ხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინებით, საქართვე-
ლოს მთავარი პროკურატურის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა
საქართველოს გენერალური პროკურატურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2019 წლის 28 თებერვლის განჩინებით, საქართვე-
ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირ-
ველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქარ-
თველოს ფინანსთა სამინისტრო.

მოთხოვნათა და მოპასუხეთა წრის დაზუსტების შემდეგ, მო-
სარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრე-
ლო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის
2009 წლის 23 ივლისის №575-პ/შ ბრძანების (ბ. ი-ას თანამდებობი-

დან გადაყენების შესახებ), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №9083/შ ბრძანების (ბ. ი-ას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ), საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის №155309 ბრძანების (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №9083/შ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ) ბათილად ცნობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ბ. ი-ას წელთა ნამსახურობაში 2009 წლის 23 ივლისის №575-პ/შ ბრძანების გამოცემიდან 2019 წლის 21 იანვრის №155309 ბრძანების გამოცემამდე იძულებით გაცდენილი პერიოდის წელთა ნამსახურობის ჩათვლა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ბ. ი-ასთვის პოლიციის მაიორის წოდების მინიჭების დავალება და საქართველოს გენერალურ პროკურატურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით – ბ. ი-ას მიერ 2009 წლის ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მისაღები შრომითი ანაზღაურების – 97 355 ლარის და უკანონო მსჯავრდების გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების 50 000 ლარის ოდენობით დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ. ი-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №9083/შ ბრძანება ბ. ი-ას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის №155309 ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №9083/შ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავებულ ბ. ი-ას წელთა ნამსახურობაში 2009 წლის 5 ნოემბრიდან (თანამდებობიდან დათხოვნიდან) 2019 წლის 21 იანვრამდე (თანამდებობაზე აღდგენამდე) პერიოდის ჩათვლა; მოპასუხე – საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით დაეკისრა – 2009 წლის ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მისაღები

შრომითი ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით) 97355 ლარის ოდენობით; მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 9 000 ლარის ოდენობით; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის და 2009 წლის 5 ნოემბრიდან 2019 წლის 21 იანვრამდე პერიოდის, მოსარჩელისათვის წელთა ნამსახურობაში ჩათვლის დავალების ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მითითებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს გენერალური პროკურატურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანაბარწილად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით – ბ. ი-ას მიერ 2009 წლის ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მისაღები შრომითი ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით) 97 355 ლარის ოდენობით; მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ბ.ი-ას სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის სახით 2 000 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ბ. ი-ას ეკავა შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ...ს რაიონული სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის თანამდებობა. აღნიშ-

ნული თანამდებობიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 23 ივლისის №575-პ/შ ბრძანებით მოსარჩელე გადაყენებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით – 2009 წლის 22 ივლისიდან სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო 2009 წლის 05 ნოემბრის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით ბ.ი-ა განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. ბრძანებას საფუძვლად მიეთითა შსს გენერალური ინსპექციის დასავლეთ რეგიონალური სამმართველოს 22.10.2009 წლის დასკვნა სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე.

2009 წლის 22 ოქტომბრის გენერალური ინსპექციის დასავლეთ რეგიონალური სამმართველოს დასკვნის შესაბამისად, რადგან მოსარჩელე მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით არ გამოცხადდა წინასწარი გამოძიების ორგანოში და დაემალა გამოძიებას, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ მისი მხრიდან ჩადენილ იქნა თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავდა შსს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს (შსს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინარული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ პუნქტი).

სააპელაციო პალატამ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №139 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების შესაბამის მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ გამიჯნულია ორი ეტაპი – განაჩენის გამოტანამდე და განაჩენის გამოტანის შემდეგ პერიოდი. პირველ შემთხვევაში (განაჩენის გამოტანამდე) თანამშრომელი სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებით შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან, ანუ შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება. რაც შეეხება საბოლოო ეტაპს – გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, აღნიშნული ფაქტი პირდაპირ ავალდებულებს სამინისტროს მისი თანამშრომელი დაითხოვოს თანამდებობიდან. მართალია, სამინისტროს თავდაპირველად მოსარჩელის მიმართ განხორციელდა პირველი ეტაპით გათვალისწინებული პროცედურა – შეუჩერდა სამსახურებრივი უფლებამოსილება, თუმცა შემდგომ გაითვალისწინა რა გენერალური ინსპექციის დასკვნა ბ.ი-ას დისციპლინარულ გადაცდომასთან დაკავშირებით, ამ საფუძ-

ვლით გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელე ბ. ი-ას სამუშაოდან დათხოვნას საფუძვლად დისციპლინარული გადაცდომა დაედო. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის MIA 8 19 00155309 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908-პ/მ ბრძანება, რომელსაც თავის მხრივ ეფუძნებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2018 წლის 7 დეკემბრის პატაკს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 16 მარტის განაჩენიდან გამომდინარე ბ.ი-ას თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით. ამდენად, სააპელაციო პალატის შეფასებით, მითითებული ბრძანებისა და პატაკის შინაარსი ადასტურებდა, რომ ბ.ი-ას თანამდებობიდან დათხოვნა მოხდა არა დისციპლინური გადაცდომის მიზეზით, არამედ მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, რის გამოც, მას უკვე შეჩერებული ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილება. პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908-პ/მ ბრძანების (ბ. ი-ას თანამდებობიდან დათხოვნასთან დაკავშირებით) გამოცემის მიზეზი რეალურად გახდა ბ.ი-ას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომელშიც მოსარჩელე საბოლოოდ გამართლდა, ხოლო, ის გარემოება, რომ საბოლოოდ მოსარჩელე მხარე სისხლის სამართლის საქმეში გამართლდა, კმნიდა ბ.ი-ას უფლებებში სრულად აღდგენის საფუძვლებს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ბ. ი-ას სამსახურიდან დათხოვნა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააფუძნა დისციპლინარულ გადაცდომას, რომელიც რეალურად გამომდინარეობდა მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმიდან, ისე, რომ არ დაელოდა საბოლოო შედეგს – განაჩენს. შესაბამისად, სააპელაციო პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გაათავისუფლების ბრძანება მართებულად ცნო ბათილად, როგორც უკანონო ადმინისტრაციული აქტი. ამდენად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ხდებოდა მატერიალური ზიანის სახით მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან ერთად, სოლიდარულად.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №139 ბრძა-

ნებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების 78-ე მუხლისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მართებულიად მიიჩნია მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების ბათილად ცნობისა და მისი სამსახურში აღდგენის საფუძველზე, ბ.ი-ასთვის სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების ხელმოწერის დღიდან – სამსახურში აღდგენამდე განვლილი პერიოდის მუშაობის უწყვეტ სტაჟში ჩათვლა.

მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად, სააპელაციო პალატამ მოპასუხე საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის 2000 ლარის დაკისრება მიიჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და მოპასუხე საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან თანაბარ წილად ზიანის სახით – ბ.ი-ას მიერ 2009 წლის ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მისაღები შრომითი ანაზღაურების (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით) 97355 ლარის ოდენობით დაკისრების ნაწილში, საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მორალური ზიანის ნაწილში, საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. ი-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება მოითხოვა.

კასატორი საქართველოს გენერალური პროკურატურა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაცი-

ული და საქართველოს სამოქალაქო კოდექსების შესაბამისი მუხლების მითითებით აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის, სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის მხრიდან ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობა და უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სწორედ პროკურატურის შუამდგომლობა გახდა საფუძველი ბ.ი-ას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის და გამამართლებელი განაჩენის დადგომის.

კასატორი მიუთითებს, რომ ბ. ი-ას სამსახურიდან დათხოვნა განხორციელდა დამსაქმებლის მიერ ისე, რომ არ არსებობდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რის გამოც მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი საქართველოს გენერალური პროკურატურა ვერ იქნებოდა. სასამართლოს მსჯელობა შესაძლოა ჰქონოდა მხოლოდ გადაყენებიდან – გათავისუფლებამდე პერიოდზე, თუმცა პროკურატურას არ უნდა დაკისრებოდა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება. სასამართლომ ერთი მხრივ მიუთითა დამსაქმებლის ქმედებებზე, რომ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა მოხდა უკანონოდ და ამავდროულად, პროკურატურას დააკისრა მატერიალური ზიანის სახით თანხის ანაზღაურება.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ცალსახად არ დგინდება სისხლისსამართლებრივი დევნის არ არსებობის პირობებში, იმუშავებდა თუ არა ბ. ი-ა მანამდე დაკავებულ თანამდებობაზე. ამდენად, უტყუარად არ დასტურდება მის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის დაკისრების წინაპირობების არსებობა.

კასატორი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908 პ/შ ბრძანებას საფუძვლად დაედო შსს გენერალური ინსპექციის დასავლეთ რეგიონული სამმართველოს დასკვნა, საიდანაც ირკვევა, რომ ბ. ი-ამ 2009 წლის 28 აპრილს მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა ...ის პოლიციის განყოფილების ...ის ინსპექტორ-გამომძიებელი გ. მ-ა. მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით ბ. ი-ა არ ცხადებოდა წინასწარი გამოძიების ორგანოში და ემალებოდა გამოძიებას, რის გამოც მისი მხრიდან დაირღვა შს სამინისტროს დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები (თანამშრომლის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს შსს სისტემის ავტორიტეტს). ხსენებულის საფუძველზე მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ბ. ი-ას სამსახურიდან დათხოვნა.

შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც შსს სამეგრელო-ზემო

სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908 პ/შ ბრძანებას საფუძვლად უდევს გენერალური ინსპექციის დასკვნა და არა სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენი, ხსენებული სადავო ბრძანება არ შეიძლება განხილულ იქნეს რესტიტუციური მნიშვნელობით, ბ. ი-ას სისხლის სამართლებრივ წარმოებაში გამართლების საფუძვლით. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მოსარჩელს გაშვებული აქვს აღნიშნული ბრძანების გასაჩივრების ვადა.

კასატორი აღნიშნავს, რომ ბ.ი-ას გამამართლებელი განაჩენი წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას, რომელიც ქმნიდა 2009 წლის 5 ნოემბრის ბრძანების ძალადაკარგულად და არა ბათილად ცნობის საფუძვლებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ მისთვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება წარმოადგენს სასამართლოს მიერ, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის, დისპოზიციურობისა და ინკვიზიციურობის პრინციპების უხეშ დარღვევას, ვინაიდან აღნიშნული მოთხოვნა, ბ. ი-ას – შსს-ს მიმართ არ ჰქონია პროცესის არც ერთ ეტაპზე.

კასატორი ბ. ი-ა აღნიშნავს, რომ პროკურატურის ბრალეული ქმედების შედეგად, თითქმის 10 წლის განმავლობაში დევნილობაში იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, ჯერ უკრაინაში შემდგომ კი რუსეთში. უცხოეთში ყოფნისას მისთვის ცნობილი გახდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განაჩენის გამოტანის შესახებ. იგი თავს უდანაშაულოდ თვლიდა და ამიტომ არ დაბრუნდა საქართველოში. უცხო ქვეყანაში მძიმე სოციალურ პირობებში და მეგობრებისა და ნათესავებისგან მონყვეტილად უწევდა ცხოვრება. მასში ძლიერ ემოციური ტანჯვას იწვევდა ის გარემოებაც, რომ იგი აღიქმებოდა დამნაშავედ და მის ახლობლებს საყვედურობდნენ ავარიის შედეგად დაღუპული პირის გამო. უკანონო მსჯავრდების შედეგად მისთვის მიყენებული ტკივილი დღემდე მოუშუშებელია. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია სასამართლოს გადანყვეტილება მორალური ზიანის 2 000 ლარამდე შემცირების შესახებ და ითხოვს თანხის 9 000 ლარამდე გაზრდას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 15 მარტის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს გენერალური პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბ. ი-ას საკასაციო სა-

ჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ბ.ი-ას საკასაციო საჩივრები და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის და ბ.ი-ას საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში 2009 წლის 29 აპრილს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, 2009 წლის 28 აპრილს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გ.მ-ას გარდაცვალების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის №10/ა-403-09 ბრძანებით, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბ.ი-ას მიმართ გამოყენებული იქნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ორი თვის ვადით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, ბ.ი-ამ „თბილისის აეროპორტის“ გავლით, საზღვარი გადაკვეთა 2009 წლის 28 ივნისს, უკრაინის მიმართულებით და ქვეყანაში შემოვიდა 2018 წლის 9 აგვისტოს, უკრაინიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 23 ივლისის №575-პ/შ ბრძანებით, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 22 ივლისის №გ22.07.2009/3 მიმართვისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2009 წლის 22 ივლისის ბრძანების საფუძველზე, შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ...ს რაიონული სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის ინსპექტორ-გამომძიებელი, პო-

ლიციის უფროსი ლეიტენანტი ბ.ი-ა გადაყენებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, 2009 წლის 22 ივლისიდან სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ პოლიციის უფროსი ლეიტენანტის ბ.ი-ას მიმართ ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ...ს რაიონული სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის ინსპექტორ-გამომძიებელმა ბ. ი-ამ 2009 წლის 28 აპრილს მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა ამავე სამმართველოს ...ის პოლიციის განყოფილების ...ის ინსპექტორ-გამომძიებელი გ. მ-ა. მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თავის დაღწევის მიზნით, ბ.ი-ა არ გამოცხადდა წინასწარი გამოძიების ორგანოში და დამალა გამოძიებას. აღნიშნულით მან ჩაიდინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომა (თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს შსს სისტემის ავტორიტეტს). შემოწმების შედეგებზე მომზადებული დასკვნით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის საფუძველზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბ.ი-ას შსს ორგანოებიდან დათხოვნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908-პ/შ ბრძანებით, შსს გენერალური ინსპექციის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე მომზადებული 2009 წლის 22 ოქტომბრის დასკვნის (საალრიცხვო №620), ასევე, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ...ს რაიონული სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბ. ი-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შსს ორგანოებიდან.

...ს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 17 აგვისტოს განაჩენით ბ. ი-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით და მიესაჯა 5 (ხუ-

თი) წლით თავისუფლების აღკვეთა. 2 (ორი) წლის ვადით ჩამოერთვა ავტომატური მართვის უფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განაჩენით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 მაისის განაჩენით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული სხდომაზე განსახილველად.

ბ. ი-ას წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №074171016801 საქმეზე, ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, საქმეში მოპოვებული ახალი მტკიცებულებებით დადასტურდა ბ. ი-ას არასწორი მსჯავრდების ფაქტი, რითაც არსებითად შეილახა მისი რეპუტაცია, იმიჯი და მოხდა მისი დისკრედიტირება საზოგადოებაში, რამაც მისი პატივის და ღირსების ხელშეუხებლობის უფლების არსებითად დარღვევა გამოიწვია. საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორმა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტის შესაბამისად, შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, 2018 წლის 12 ოქტომბერს. პროკურორმა სასამართლოს წარუდგინა დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მსჯავრდებულს ბ. ი-ას მიმართ გამოტანილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის განაჩენის გადასინჯვა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 16 მარტის №1/აგ-206-17 განაჩენით დაკმაყოფილდა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორის შუამდგომლობა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის გამამტყუნებელი განაჩენი ბ. ი-ას მიმართ და გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი; ბ. ი-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. ამავე განაჩენით ბ. ი-ას განემარტა, რომ უფლება ჰქონდა საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ბ. ი-ას წარმომადგენელმა 2018 წლის 8 სექტემბრის განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 16 მარტის №1/აგ-206-17 განაჩენის საფუძველზე, ბ. ი-ას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შსს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ 2009 წლის ბრძანების გაუქმება და მის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 16 მარტის განაჩენის საფუძველზე, ბ.ი-ას თანხმობით, 2018 წლის 7 დეკემბრის პატაკით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 16 მარტის განაჩენის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნილი ბ. ი-ას შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ...ის რაიონული სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის MIA 8 19 00155309 ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908-პ/შ ბრძანება. ამავე ბრძანებით პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბ.ი-ა აღდგენილ იქნა და დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ...ის რაიონული სამმართველოს ...ის განყოფილების ...ად (თანამდებობრივი სარგო 1200 (ათას ორასი) ლარი).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 4 ივლისის MIA 8 19 01750668 ბრძანებით, პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ...ის რაიონული სამმართველოს ...ის განყოფილების ...ის ინსპექტორი-გამომძიებელი, პოლიციის კაპიტანი ბ. ი-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლოს მთავარ შეფასების საგანს ბ. ი-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის – მარეაბილიტირებული გარემოების დადგომის პირობებში მისი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისა და მატერიალური და მორალური ზია-

ნის ანაზღაურების ფარგლები წარმოადგენს. უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 16 მარტის №1/აგ-206-17 განაჩენით ბ. ი-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, რაც თავისთავად წარმოშობს მის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ვალდებულებას, თუმცა აქვე სიღრმისეულად შესაფასებელია ის გარემოება, რამდენად წარმოადგენდა ბ. ი-ას მიმართ დამდგარი გამამართლებელი განაჩენი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908-პ/მ ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების პირობებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის როგორც ბათილად ცნობა, ასევე ძალადაკარგულად გამოცხადება იწვევს აქტის მოქმედების შეწყვეტას, თუმცა მათ შორის მკაფიო ზღვარია. ბათილად ცნობას ექვემდებარება სამართლებრივი ბუნებით მხოლოდ უკანონო აქტი (ასკ-ის 32.1 მუხლისა და სზაკ-ის 60¹.1 მუხლი), ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადებას – სამართლებრივი ბუნებით მხოლოდ კანონიერი აქტი (მდრ. სზაკ-ის 61.1 მუხ.). ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დასაბუთებულობის მთავარი სამართლებრივი საფუძველი მისი უკანონობაა (ასკ-ის 2.1 მუხ. „ა“ ქვ.პ.), დაუშვებელია იმ აქტის ბათილად ცნობა, რომელიც უკანონო არაა (გამონაკლისია ასკ-ის 32.4 საფუძველზე სადავო საკითხის ე.ი. კანონიერების გადაუწყვეტლად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა). შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა როგორც ფაქტი, იმავედროულად ადასტურებს ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უკანონობას. თავისთავად შესაძლებელია სადავო აქტის მოქმედება შეწყდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი ძალადაკარგულად გამოცხადებით, თუმცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედება შეწყვეტილი აქტის უკანონობის აღიარებას.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლებით განსაზღვრული დისპოზიციურობის პრინციპისა და წარმოდგენილი სარჩელის ფარგლების (სარჩელის საუარესოდ შეუბრუნების დაუშვებლობა პრინციპი) გათვალისწინებით სასამართლო ვერ შეაფასებს ადმი-

ნისტრაციული ორგანოს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 5 ნოემბრის №908-პ/შ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების კანონიერებას და საფუძვლიანობას ანუ იმ გარემოებას, თუ საერთოდ რამდენად არსებობდა ბ.ი-ას თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, თუმცა აფასებს სადავო აქტის ბათილად ცნობის წინაპირობების არსებობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობაა მისი უმართლობა, მართვინააღმდეგობა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას, უნდა დადგინდეს აქტის შესაბამისობა მისი გამოცემისას მოქმედ ნორმატიულ საფუძველთან და ფაქტობრივ გარემოებებთან (სუსგ №ბს-512-494(კ-13), 29.05.2014წ., №ბს-159(კ-19), 07.05.2019წ.).

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია ის გარემოება, რომ 2009 წლის 5 ნოემბერს ბ.ი-ას თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი გახდა არა სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება (რომლის დასრულებამდეც იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 23 ივლისის ბრძანებით დროებით გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან), არამედ ბ.ი-ას მიერ შსს თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენა („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „თ“ პუნქტი). კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია და სადავო არ არის ის გარემოება, რომ ბ.ი-ა არ გამოცხადდა წინასწარი გამოძიების ორგანოებში და დაემალა გამოძიებას. ამასთან, მის მიმართ გამოცხადებულ იქნა ძებნა და ...ს რაიონულ სამმართველოში 2009 წლის 30 ივლისს შეიქმნა სამძებრო საქმე №71003/9. ამასთან, უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, ბ. ი-ამ „თბილისის აეროპორტის“ გავლით, საზღვარი გადაკვეთა 2009 წლის 28 ივნისს, უკრაინის მიმართულებით და ქვეყანაში შემოვიდა 2018 წლის 9 აგვისტოს, უკრაინიდან. ამდენად, ფაქტი იმის თაობაზე, რომ ბ. ი-ა დაემალა საგამოძიებო ორგანოებს და იმყოფებოდა ძებნაში უდავოდ არის დადასტურებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამსახურის ძირითადი ფუნქცია საზოგადოების, მისი თითოეული წევრის კანონით დაცული ინტერესების მომსახურებაა, რისი გაუთვითცნობიერებლობა, ვალდებულებათა ჯეროვანი შეუსრულებლობა უშუალოდ აისახება სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობაზე. საჯარო სამსახური თითოეული საჯარო მოსამსახურის შეგნებაში უნდა განიხილებოდეს, როგორც საპატიო მისია – ემსახურო, პირადი წვლილი შეიტანო სახელმწიფოს განვითარებაში პოლიციელის მიმართ მოქმედებს მაღალი სადისციპლინო-საშემსრულებლო მოთხოვნები, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლებს ქცევის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს უწესებს და მკვეთრად გამიჯნავს საჯარო სამსახურის სხვა მოხელეებისაგან (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის №ბს-644-637(კ-16) გადაწყვეტილება). ამდენად, მოქმედი პოლიციელის მხრიდან საგამოძიებო ორგანოებისაგან მიმალვა და ძებნაში ყოფნა ცალსახად ეწინააღმდეგება პოლიციელის სტატუსს და წარმოადგენს პოლიციელისათვის ცალსახად შეუფერებელ ქმედებას. აღნიშნულს ვერ გადანონის ბ.ი-ას შესაძლო შიში სამომავლოდ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის მიმართ, ვინაიდან, მსგავსი შემთხვევის მართლზომიერად მიჩნევის შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა სამართლებრივი სტაბილურობის პრინციპს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციელის მსგავსი ქმედება არ შეესაბამება პოლიციელის ქცევის წესებს და საზოგადოებაში ლახავს მთლიანად პოლიციის ავტორიტეტს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის თანამდებობიდან გათავისუფლებით, ბუნებრივია, ხორციელდება მის შრომისა და პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, თუმცა კანონიერი საფუძვლის, ლეგიტიმური მიზნისა და ჩარევის ინტენსივობის გათვალისწინებით, ასეთი ჩარევა მართლზომიერად ჩაითვლება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ბ.ი-ას მიერ ჩადენილია – პოლიციელისათვის შეუფერებელი ქმედება (საგამოძიებო ორგანოებისაგან მიმალვა), რომელიც საზოგადოებაში ნეგატიურ განცდას აჩენდა მთლიანად პოლიციის სისტემის მიმართ. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ჩარევა წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერ და გამოსადეგ საშუალებას. შესაბამისად, დაცულ სფეროში ჩარევის ინტენსივობის ხარისხი, კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის – საჯარო ინტერესის დაცვის მიზნის პროპორციული იყო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხა-

რეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908-პ/შ ბრძანება არის კანონიერი და ცალსახად შეესაბამება სადავო აქტის გამოცემის დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას. ამასთან, სადავო აქტი არ გამოდინარეობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენიდან, არამედ უკავშირდება ბ.ი-ას მიერ განხორციელებულ სხვა ცალკე მდგომარეობას (მის მიმალვას), რის გამოც 2018 წლის გამამართლებელი განაჩენი არ ქმნის შესაბამისი აქტის – 2009 წლის 5 ნოემბრის ბრძანების უკანონოდ მიჩნევის კანონისმიერ საფუძველს. ამასთან, ზემოაღნიშნული სამართლებრივი შეფასებიდან გამომდინარე, ცალსახაა რომ ასევე არ არსებობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 21 იანვრის №155309 ბრძანების (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2009 წლის 5 ნოემბრის №908პ/შ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ) ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები, ხოლო ის საკითხი რამდენად არსებობდა სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლები, როგორც უკვე აღინიშნა სცდებში მოცემული დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს (სარჩელის საუარესოდ შებრუნების პრინციპის დაუშვებლობის გათვალისწინებით). ამასთან, სადავო აქტების ბათილად ცნობაზე უარის თქმის პირობებში არ არსებობს ბ.ი-ასათვის – იძულებითი განაცდური ხელფასისა და სხვა თანამდევით მოთხოვნების (წელთა ნამსახურობის ჩათვლა, წოდების მინიჭება) – დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, ვინაიდან, მისი თანამდებობიდან განთავისუფლება გამომდინარეობდა მისი შეუფერებელი ქმედებიდან – მიმალვიდან, ხოლო მიმალვაში მყოფი პირისათვის (პოლიციელისათვის) – მიმავლის პერიოდში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება, ნამსახურობის პერიოდის ჩათვლა და წოდების მინიჭება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. აქვე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ბ.ი-ას მიერ 2009 წლის 23 ივლისიდან (თანამდებობიდან დროებით გადაყენებიდან) 2009 წლის 5 ნოემბრამდე (თანამდებობიდან განთავისუფლებამდე) მიუღებელ იძულებით განაცდურზე და მიიჩნევს, რომ ეს პერიოდი ბ.ი-ას უნდა აუნაზღაურდეს როგორც მატერიალური ზიანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რეს-

პუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 5.5 მუხლით – „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი. ამასთან, კოდექსის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი („ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.“ (სუს 10.04.2014წ. №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილება)).

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავ-

შირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურობდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე, კერძოდ, 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. მნიშვნელოვანია, რომ 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, დამდგარი ზიანის, მართლწინააღმდეგობისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან ერთად, სახეზე უნდა იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი განმარტებიდან გამომდინარე, „...პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს..“ (სუს 2019 წლის 7 თებერვლის №ბს-432-429 (2კ-17) გადაწყვეტილება და სხვ.).

მატერიალურ ზიანთან მიმართებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შედეგად წარმოიშვა, სამოქალაქო კოდექსის 1005.3 მუხლის საფუძველზე, რეაბილიტირებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, რაშიც მოიაზრება მატერიალური ზიანის სახით, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების განმავლობაში მიუღებელი თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების მოთხოვნაც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეზე №ბს-1228(კ-19) (2020 წლის 17 სექტემბრის განჩინება). ამდენად, საკა-

საცოი სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ.ი-ას სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერებიდან (დროებით გადაყენებიდან) მის განთავისუფლებამდე (შეუფერებელი ქმედების საფუძვლით) უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული მატერიალური ზიანი, მიუღებელი ხელფასი – 2 587,36 ლარის (მიუღებელი ხელფასი 2009 წლის 23 ივლისიდან – 2009 წლის 5 ნოემბრამდე) ოდენობით, ხოლო ბ. ი-ას თანამდებობიდან განთავისუფლების კანონიერ მიჩნევის პირობებში არ არსებობს განთავისუფლების შემდგომი პერიოდი ანაზღაურების ვალდებულება.

ამასთან, რაც შეეხება, ბ. ი-ას სარჩელს მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ.ი-ასათვის მორალური ზიანის სახით – 2000 ლარის ანაზღაურება არ წარმოადგენს ზიანის გონივრულ და სამართლიან ოდენობას.

დადგენილია და სადავო არ არის ის გარემოება, რომ ბ. ი-ას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2010 წლის 17 აგვისტოს, ხოლო ბ. ი-ა გამართლდა 2018 წლის 16 მარტს. მიუხედავად იმისა, რომ ბ. ი-ას პატიმრობაში არც ერთი დღე არ გაუტარებია, მას მთელი 8 წლის განმავლობაში ჰქონდა ბრალდებულის/მსჯავრდებულისა და ძებნილის პირის სტატუსი, რაც თავისთავად დაკავშირებულია ნეგატიურ ემოციებთან, მძიმე ფსიქიკურ განცდებთან, სულიერ ტანჯვასთან და ა.შ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო და ყოფითი მდგომარეობა, ჯანმრთელობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი განონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს (სუსგ №ბს-972-936(3კ-08), 08.04.2009წ.). მორალური ზიანისთვის ანაზღაურების ოდენობის

განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება როგორც კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები, ასევე იდენტურ მოთხოვნასთან დაკავშირებით სხვა საქმეებზე მანამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი ოდენობები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან მორალურ ზიანს არ გააჩნია ფულადი ეკვივალენტი, „გონივრული და სამართლიანი“ ანაზღაურების განსაზღვრად გასათვალისწინებელია ბ.ი-ას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სტატუსით ყოფნის ხანგრძლივობა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ის განცდები და ემოციები, რაც მის ამ სტატუსთან იყო დაკავშირებული (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები – *Patsuria v. Georgia*; *Nikolaishvili v. Georgia*; *Jashi v. Georgia*). ამდენად, საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფარგლების გათვალისწინებით (პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მორალური ზიანის – 9000 ლარის ნაწილში ბ.ი-ას მიერ არ გასაჩივრებულა) მიიჩნევს, რომ ბ.ი-ასათვის მორალური ზიანის სახით გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას – 9000 ლარი წარმოადგენს, რის გამოც არსებობს აღნიშნულ ნაწილშიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის და ბ.ი-ას საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით – ბ.ი-ას სარჩელი საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის მორალური ზიანის სახით – 9 000 (ცხრა ათასი) ლარის და მატერიალური ზიანის სახით – 2 587,36 ლარის (ორი ათას ხუთასოთხომცდაშვიდი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) (მიუღებელი ხელფასი 2009 წლის 23 ივლისიდან – 2009 წლის 5 ნოემბრამდე) დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის და ბ.ი-ას საკა-

საციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ბ. ი-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5. მოპასუხეს – საქართველოს გენერალურ პროკურატურას მოსარჩელე ბ.ი-ას სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის სახით – 9 000 (ცხრა ათასი) ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის სახით – 2 587,36 ლარის (ორი ათას ხუთასოთხმცდაშვიდი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) (მიუღებელი ხელფასი 2009 წლის 23 ივლისიდან – 2009 წლის 5 ნოემბრამდე) ანაზღაურება.

6. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

7. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყანაში გარდაცვლილი მეუღლის დაგვიანებით გადმოსვენების გამო მორალური ზიანის ანაზღაურება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1073(კ-22)

26 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. რ-მა 2019 წლის 5 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ

და მოპასუხისთვის, მოსარჩელის მეუღლის უცხო ქვეყანაში გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების სათანადო და დროული ღონისძიებების განუხორციელებლობისა და საქართველოში მისი მნიშვნელოვნად დაგვიანებით გადმოსვენების გამო, მიყენებული მორალური ზიანის სახით – 20 000 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, მ. რ-ის მეუღლე – ო. რ-ი 1999 წელს გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაოდ. 2016 წელს მასთან კავშირი შეწყდა, რის გამოც მოსარჩელემ მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და შესაბამისი სამსახურების მიერ მეუღლის მოძებნა მოითხოვა. 2018 წლის 12 იანვარს მოსარჩელემ განმეორებით მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ...ის ფედერალური სამსახურიდან მიღებული მიმართვის საფუძველზე, აცნობა, რომ 2017 წლის მარტში მიტოვებულ შენობაში ნაპოვნი იქნა გვამი, რომელსაც ჯიბეში აღმოაჩნდა პასპორტი ო. რ-ის პირადი მონაცემებით. იდენტიფიცირებისთვის კი საჭირო იყო ოჯახის ორი წევრის დნმ-ის ანალიზი. ჩატარებული დნმ-ის ანალიზის დასკვნის საფუძველზე დადასტურდა, რომ გვამი ეკუთვნოდა მ. რ-ის მეუღლეს – ო. რ-ს, რომელიც გარდაიცვალა 2017 წლის 20 მარტს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2017 წელს გარდაცვლილი მეუღლე საქართველოში ჩამოუსვენეს 2018 წლის 28 დეკემბერს. იგი ამ დროის განმავლობაში არსად არ იყო დაკრძალული. აღნიშნული გარემოებები, მოსარჩელის მოსაზრებით, ოჯახის წევრების ნერვიულობისა და ძლიერი სტრესის მიღების მიზეზი გახდა, განსაკუთრებით გარდაცვლილის მეუღლის – მ. რ-ისათვის, რომელსაც შეერყა ჯანმრთელობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის სასარგებლოდ, მისი მეუღლის უცხო ქვეყანაში გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების სათანადო და დროული ღონისძიებების განუხორციელებლობისა და საქართველოში მისი მნიშვნელოვნად დაგვიანებით გადმოსვენების გამო მიყენებული მორალური ზიანის – 3 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ანაზღაურება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– მ. რ-მა 2017 წლის 16 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომლითაც განმარტა, რომ მისი მეუღლე – ო. რ-ი სამუშაოდ იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მასთან ჰქონდა მუდმივი კონტაქტი ტელე-

ფონით და სხვა ტექნიკური საშუალებებით, თუმცა 2016 წლის დეკემბრიდან შეწყდა მასთან კომუნიკაცია და მისთვის უცნობი იყო რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ითხოვა შესაბამისი დახმარება.

– მ. რ-ის განცხადების საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმავე დღეს – 2017 წლის 16 აგვისტოს, წერილით მიმართა ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ კონსულს მოსარჩელის მეუღლის – ო. რ-ის ადგილსამყოფლის დადგენისა და აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელე მ. რ-ის ინფორმირების მიზნით.

– ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 24 აგვისტოს წერილობით განუმარტა, რომ საკონსულოს მიერ გამოიკითხა მოსარჩელის მეუღლის – ო. რ-ის ნაცნობები, რომელთაგან ერთ-ერთმა განმარტა, რომ მიმართული აქვს ...ის პოლიციისათვის, ქალაქში არსებული საავადმყოფოებისა და მორგებისთვის, თუმცა ვერ დაადგინა მისი ადგილსამყოფელი. ამასთან, ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულო ცდილობდა ქალაქ ...ის პოლიციასთან დაკავშირებას.

– ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბერს, ოთხი თვის შემდეგ, წერილობით განუმარტა, რომ საკონსულომ მიმართა ქალაქ ...ის პოლიციას და დაადგინა, რომ 2017 წლის მარტში, მიტოვებულ შენობაში ნაპოვნი იქნა ადამიანის გვამი, რომლის ამოცნობაც შეუძლებელია, თუმცა მას თან ჰქონდა პასპორტი ო. რ-ის პირადი მონაცემებით.

– ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსულის ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2018 წლის 12 იანვარს მოსარჩელე მ. რ-ს წერილობით აცნობა საქმის გარემოებები და განუმარტა, რომ ნაპოვნი გვამის იდენტიფიცირების მიზნით საჭირო იყო დნმ-ის ანალიზის ჩატარება, რისთვისაც აშშ-დან გადმოგზავნილი იქნა ყველა საჭირო ტექნიკური საშუალება.

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 12 იანვრის მიმართვის საფუძველზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა ექსპერტიზა და დასკვნა შესაბამის ნიმუშებთან ერთად 2018 წლის 12 თებერვალს გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელმაც 2018 წლის 16 თებერვალს ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ საკონსულოს გაუგზავნა სსიპ ლე-

ვან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიუროს ექსპერტის დასკვნა და შესაბამისი ნიმუშები.

- ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 30 ნოემბერს წერილობით აცნობა, რომ ქალაქ ...ის პოლიციის ინფორმაციით დასრულდა დნმ-ის ანალიზის პროცესი და დადგინდა, რომ ნაპოვნი იყო ო. რ-ის გვამი.

- სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ მისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წლის 16 თებერვალს გაგზავნილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიუროს ექსპერტის დასკვნა და შესაბამისი ნიმუშები ქალაქ ...ის პოლიციას (გამომძიებელს) გადასცა 2018 წლის მაისში, 3 თვის დაგვიანებით, რაც დადასტურებულიად მიიჩნია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენლის 2018 წლის 7 ნოემბრის ელექტრონული ფოსტის მიმონერით, რომელიც გაეგზავნა ქალაქ ...ის პოლიციის გამომძიებელს.

- საბოლოოდ, მოსარჩელე მ. რ-ის მეუღლის – ო. რ-ის ნეშტი საქართველოში გადმოსვენებული იქნა 2018 წლის დეკემბერში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით და ხარჯით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ 2022 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაში მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-10 და კონვენციის მე-2 მუხლებზე, რომელთა თანახმად, ადამიანის სიცოცხლე დაცულია; სიკვდილით დასჯა აკრძალულია; საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სიცოცხლის უფლებით დაცული სფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლების დარღვევას პოზიტიური თვალსაზრისით (პროცედურულ ნაწილში), რის გამოც გარდაცვლილის მეუღლისათვის, როგორც პირველი რიგის მემკვიდრისათვის გარანტირებული უნდა ყოფილიყო ამით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთ ვითარებას პირდაპირ და ზუსტად არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლი-

კის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მითითებული ნორმა გულისხმობს პირისათვის, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების გარანტიას, ხოლო ზიანი უნდა განისაზღვროს ობიექტური გარემოებების საფუძველზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად. მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით კი, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ კონსტიტუციის ზემოთ დასახელებული დებულება იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას. მისი მოქმედება არ შემოიფარგლება რომელიმე კონკრეტულ სფეროში მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხის მოწესრიგებით და მისი რეგულირების სფეროში ექცევა ნებისმიერი ზარალი, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების თანამდებობის პირთა ქმედებით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული სამართლებრივი აქტებით გარანტირებული სიცოცხლის უფლებით დაცული სფერო, პოზიტიური თვალსაზრისით, პროცედურულ ნაწილში, სახელმწიფოს ავალდებულებდა პირის საექვო გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების დროულ, მყისიერ და ყოველმხრივ გამოკვლევას, ასევე სათანადო ზომების დაუყოვნებლივ მიღებას, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს გარდაცვლილი პირი.

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი შეფასებულია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“).

საქალაქო სასამართლომ საკითხის შეფასებისას ასევე მიუთითა „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ, მე-5, მე-13-ე მუხლებზე, რომელთა მიხედვით, განმარტა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო ვალდებულია იზრუნოს, ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე, მათ შორის, საექვო ვითარებაში გარდაცვლილი მოქალაქის იდენტიფიცირებასთან, გადმოსვენებასთან, ასევე გარდაცვა-

ლებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევის დროულ და ქმედით განხორციელებაზე. სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დასტურდებოდა მოსარჩელე მ. რ-ის მეუღლის – ო. რ-ის სიცოცხლის უფლებით დაცული სფეროს დარღვევა პოზიტიური თვალსაზრისით (პროცედურულ ნაწილში), რის შედეგადაც მოსარჩელემ განიცადა მძიმე ფსიქო-ემოციური სტრესი, მას უნდა ანაზღაურებოდა მისთვის მიყენებული მორალური ზიანი – 3 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ასანაზღაურებელი თანხის მითითებული ოდენობა იყო მიყენებული ზიანის გონივრული და პროპორციული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის განჩინებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. ამასთან, აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2, მე-3 და მე-8 პუნქტებზე მითითებით მართებულად განმარტა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო ვალდებულია იზრუნოს, ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე, მათ შორის საექვო ვითარებაში გარდაცვლილი მოქალაქის იდენტიფიცირებასთან, გადმოსვენებასთან, ასევე გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევის დროულ და ქმედით განხორციელებაზე. შესაბამისად, მითითებული სამართლებრივი ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართებულად იქნა დადგენილი, რომ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს დაგვიანებული მოქმედებების შედეგად, საერთო ჯამში, სულ მცირე 7 თვით გახანგრძლივდა მოსარჩელე მ. რ-ის მეუღლის – ო. რ-ის ნაპოვნი გვამის იდენტიფიცირებისა და მისი საქართველოში გადმოსვენების პროცესი, რადგან საკონსულომ გაურ-

კვეველი მიზეზების გამო, მისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან მხოლოდ 4 თვის შემდეგ მიმართა შესაბამის პოლიციას და მიიღო ინფორმაცია ნაპოვნი გვამის თაობაზე, ხოლო შემდეგ, მისთვის 2018 წლის 16 თებერვალს გაგზავნილი ექსპერტიზის დასკვნა და ნიმუშები, 3 თვის დაგვიანებით – 2018 წლის მაისში გადასცა პოლიციას დნმ-ის ანალიზის ჩასატარებლად.

ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებითაც გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხისთვის დაკისრებული 3000 აშშ დოლარი, მოსარჩელისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციული იყო და ექცეოდა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსჯელობას იმ ნაწილში, რომ ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს დაგვიანებული მოქმედებების შედეგად, სულ მცირე 7 თვით გახანგრძლივდა მოსარჩელე მ. რ-ის მეუღლის – ო. რ-ის ნაპოვნი გვამის იდენტიფიცირებისა და მისი საქართველოში გადმოსვენების პროცესი იმ მოტივით, რომ საკონსულომ, გაურკვეველი მიზეზების გამო, მისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან მხოლოდ 4 თვის შემდეგ მიმართა შესაბამის პოლიციას და მიიღო ინფორმაცია ნაპოვნი გვამის თაობაზე, ხოლო შემდეგ, 2018 წლის 16 თებერვალს გაგზავნილი დასკვნა და ნიმუშები მაისში, 3 თვის დაგვიანებით გადასცა პოლიციას დნმ-ის ანალიზის ჩასატარებლად. კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, არ დასტურდება საკონსულოს მიერ პოლიციისადმი 4 თვის დაგვიანებით მიმართვა. რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნისა და დნმ-ის ნიმუშების მხარისათვის 3-თვიანი ვადის დარღვევით გადაცემას, აღნიშნული დასკვნა უსაფუძვლოა, რადგან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წლის 16 თებერვალს გაგზავნილი დნმ-ის ნიმუშები ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, მიღებისთანავე, კერძოდ 2018 წლის მარტის დასაწყისში გაეგზავნა ამერიკულ მხარეს, რასაც ადასტურებს ამავე მხარის მიერ 2018 წლის 21 მარტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებული შეტყობინება დნმ-ის ნიმუ-

შეხვედრის მიღების დადასტურებასთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრალეული ქმედება, შესაბამისად, მის მიერ მოსარჩელისადმი მორალური ზიანის მიყენების ფაქტი. კასატორის მოსაზრებით, შესაფასებელია საკითხი, შესაძლოა თუ არა მოსარჩელეს განეცადა იმ ხარისხის მორალური ემოცია, ან/და მიეღწია ისეთი ფსიქოემოციური მდგომარეობისთვის, რომ მას საბოლოოდ განეცადა მძიმე სულიერი ტანჯვა. რაც შეეხება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს, კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამდენად, სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მორალურ სულიერ ტანჯვას, თუმცა მისი ანაზღაურება დასაშვებია კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. კანონი პირდაპირ ადგენს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შესაძლებელი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა ვალდებულება, გამოეკვლია და შეეფასებინა მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი, რამეთუ მისი მოთხოვნის უფლება მკაცრად განსაზღვრულია და საჭიროებს დასაბუთებულ არგუმენტაციას, მით უფრო იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით არ დასტურდება სამინისტროს მიერ მოსარჩელისათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ საჩივარი განხილულ იქნებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო სა-

ჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევის, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს, მოსარჩელის მეუღლის უცხო ქვეყანაში გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების სათანადო და დროული ღონისძიებების განუხორციელებლობისა და საქართველოში მისი მნიშვნელოვნად დაგვიანებით გადმოსვენების გამო, მოსარჩელის – მ. რ.-ის სასარგებლოდ მოპასუხისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობების არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მოსარჩელე მ. რ.-მა 2017 წლის 16 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომლითაც განმარტა, რომ მისი მეუღლე – ო. რ.-ი სამუშაოდ იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა 2016 წლის დეკემბრიდან ვერარ უკავშირდებოდა, რის გამოც ითხოვა შესაბამისი დახმარება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, აღნიშნული განცხადების საფუძველზე, იმავე დღეს წერილობით მიმართა ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ კონსულს მოსარჩელის მეუღლის – ო. რ.-ის ადგილსამყოფლის დადგენისა და ამის შესახებ მოსარჩელე მ. რ.-ის ინფორმირების მიზნით. ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 24 აგვისტოს წერილობით განუმარტა, რომ საკონსულოს მიერ გამოიკითხნენ მოსარჩელის მეუღლის – ო. რ.-ის ნაცნობები, რომელთაგან ერთ-ერთმა განმარტა, რომ მიმართული ჰქონდა ქალაქ ...ის პოლიციისთვის შესაბამისი განცხადებით, ასევე ქალაქში არსებული საავადმყოფოებისა და მორგებისთვის, თუმცა ვერ დაადგინა მისი ადგილსამყოფელი. ამასთან, ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულო ცდილობდა ქალაქ ...ის პოლიციასთან დაკავშირებას. ამავე წერილში აღინიშნა, რომ 2016-2017 წლებში ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ საკონსულოს სამიგრაციო სამსახურიდან არ მიუღია შეტყობინება ო. რ.-ის დაკავების თაობაზე, ასევე არ შესულა შეტყობინება მისი გარდაცვალების შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2017 წლის 31 აგვისტოს აღნიშნული წერილის შინაარსი შეატყობინა მ. რ.-ს. ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა 2017 წლის 28 დეკემბერს, სა-

ქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 24 აგვისტოს წერილთან დაკავშირებით დამატებით აცნობა, რომ საკონსულომო მიმართა ქალაქ ...ის პოლიციას, რომლის პასუხის შესაბამისად, დასტურდება, რომ 2017 წლის მარტის თვეში, მიტოვებულ შენობაში ნაპოვნი იქნა ადამიანის გვამი, რომლის ამოცნობაც შეუძლებელი იყო, თუმცა მას თან ჰქონდა პასპორტი ო. რ-ის პირადი მონაცემებით. ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსულის აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2018 წლის 12 იანვარს მ. რ-ს წერილობით აცნობა საქმის გარემოებები და განუმარტა, რომ ნაპოვნი გვამის იდენტიფიცირების მიზნით, საჭირო იყო დნმ-ის ანალიზის ჩატარება, რისთვისაც აშშ-დან გადმოგზავნილი იქნა ყველა საჭირო ტექნიკური საშუალება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 12 იანვრის მიმართვის საფუძველზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა ექსპერტიზა და დასკვნა შესაბამის ნიმუშებთან ერთად 2018 წლის 12 თებერვალს გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2018 წლის 16 თებერვალს, ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ საკონსულოს გაუგზავნა ექსპერტის დასკვნა და შესაბამისი ნიმუშები. ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 30 ნოემბრის წერილით განუმარტა, რომ ქალაქ ...ის პოლიციის ინფორმაციით, დასრულდა დნმ-ის ანალიზის პროცესი და დადგინდა, რომ გარდაცვლილი იყო ო. რ-ი. მოსარჩელე მ. რ-ის მეუღლის – ო. რ-ის ნეშტი საქართველოში გადმოსვენებული იქნა 2018 წლის დეკემბერში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით და ხარჯით.

საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის 2018 წლის 7 ნოემბრის წერილი (ელექტრონული ფოსტით მიმონერა), რომელიც გაუგზავნა ქალაქ ...ის პოლიციის გამომძიებელს. აღნიშნული წერილით იკვეთება, რომ სამინისტროს თანამშრომელი ითხოვს ანალიზის პასუხების მიწოდებას, ამავე წერილში მითითებულია, რომ დნმ-ის ნიმუშების გაგზავნიდან 6 თვეა გასული. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა კი აღნიშნულ წერილზე დაყრდნობით მიიჩნიეს, რომ ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ, მისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წლის 16 თებერვალს გაგზავნილი – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა და შესაბამისი ნიმუშები ქალაქ ...ის პოლიციას (გა-

მომძიებელს) გადასცა 2018 წლის მაისში, 3 თვის დაგვიანებით.

საქმის გარემოებებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პირობებში, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოსაკველვეი და დასადგენია სწორედ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები რამდენად ქმნის ზიანის ანაზღაურების საფუძველს, ხოლო შემდეგ შესაფასებელია საკითხი დადგენილი გარემოებებით გამოწვეული მძიმე ემოციური და ფსიქოლოგიური სტრესი ქმნის თუ არა მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს მაშინ, როდესაც არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა გან-

მარტავს, რომ სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანი შესაბამისმა სახელმწიფო დაწესებულებამ უნდა აანაზღაუროს სრულად. ამასთან, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის უნდა დადასტურდეს ნორმატიულად განსაზღვრული შემდეგი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა: სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლის ქმედების უკანონობა; პირისთვის ზიანის მიყენება; მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა დამდგარ შედეგსა და სახელმწიფო ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, ასევე, სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეულობა.

განსახილველ შემთხვევაში კი სარჩელი ეფუძნება მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, რაც, მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში გამოიხატა, კერძოდ, მოსარჩელის მეუღლის უცხო ქვეყანაში გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების სათანადო და დროული ღონისძიებების განუხორციელებლობასა და საქართველოში მისი მნიშვნელოვნად დაგვიანებით გადმოსვენებაში, რის გამოც მ. რ-მა განიცადა მძიმე ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესი.

საკასაციო სასამართლო, მოპასუხის მიერ გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების დროულ, მყისიერ და ყოველმხრივ გამოკვლევის მიზნებთან დაკავშირებით, მიუთითებს „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომელიც ადგენს საკონსულო საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, საქართველოს საკონსულო დაწესებულების, საკონსულო თანამდებობის პირისა და საკონსულო მოსამსახურის სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების ფარგლებს, მათი საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმებს, განსაზღვრავს საკონსულო თანამდებობის პირის ფუნქციებს და მათი შესრულების სამართლებრივ საფუძვლებს. დასახელებული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საკონსულო თანამდებობის პირი იცავს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს ფიზიკური პირებისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების (შემდგომ - საქართველოს იურიდიული პირები) უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ასევე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფიზიკური პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა ხორციელდება საკონსულო მომსახურებისა და საკონსულო დახმარების ფორმებით; მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკონსულო მომსახურების განწვეისას საკონსულო თანამდებობის პირი უზრუნველყოფს საკონსულო ოლქში კანონიერი საფუძვლით მყოფი საქართველოს ფიზიკური პირის უფლებებისა და კანონიერ

რი ინტერესების დაცვას მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით, საქართველოს კანონმდებლობის, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად; მე-4 პუნქტის მიხედვით კი, საკონსულო დახმარება გაენევა საკონსულო ოლქში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ საქართველოს ფიზიკურ პირს, რომლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა განხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შესაძლებელია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების გათვალისწინებით.

„საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2, მე-3 და მე-8 პუნქტების თანახმად, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ სამართლებრივი დაცვა შეიძლება განხორციელდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებთან, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან ურთიერთობის დროს. საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია შესაბამისი რწმუნების გარეშე წარმოადგინოს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესები ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოებთან და კერძო სამართლის სუბიექტებთან საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისთვის პასუხისმგებელი წარმომადგენლის განსაზღვრამდე. სამართლებრივი დაცვის განხორციელება არ გულისხმობს სამართლო განხილვის ან გამოძიების პროცესში უშუალო წარმომადგენლობას. სამართლებრივი დაცვის ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირი ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქის დარჩენილი ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად. საკონსულო თანამდებობის პირი ასევე უზრუნველყოფს საქართველოს გარდაცვლილი მოქალაქის გადმოსვენებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

საკასაციო სასამართლო, ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ურთიერთშეჯერების შედეგად, განმარტავს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო ვალდებულება იზრუნოს, ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე, მათ შორის, საექვო ვითარებაში გარდაცვლილი მოქალაქის იდენტიფიცირებასთან, გადმოსვენებასთან, ასევე გარდაცვალე-

ბასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევის დროულ და ქმედით განხორციელებაზე, თუმცა, საკასაციო პალატის შეფასებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გარდაცვალებასთან დაკავშირებული სათანადო, დროული ღონისძიებების განუხორციელებლობას და გარდაცვლილის დაგვიანებით ჩამოსვენების ბრალეულობას. სააპელაციო პალატას მოსარჩელის მეუღლის საეჭვო გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების დროულ, მყისიერ და ყოველმხრივ გამოკვლევასთან დაკავშირებით, არ უმსჯელია, სამინისტრომ გამოიყენა თუ არა მის ხელთ არსებული ყველა ის სამართლებრივი მექანიზმი, რისი გამოყენების შესაძლებლობაც მას კანონმდებლობით გააჩნდა. სააპელაციო პალატის მიერ ასევე გამოსაკვლევია, მოცემულ საკითხს ხომ არ არეგულირებს რაიმე კანონქვემდებარე აქტი, რომლითაც განსაზღვრულია საკონსულოს საქმიანობის განხორციელების ვადები და ამ ვადების დაუცველობის შედეგები მაშინ, როდესაც „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ასეთი წესები განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, იმ წესების დარღვევა, რაც კანონით განერილი არ არის, არ შეიძლება გახდეს ორგანოსადმი ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. რაც შეეხება მოსარჩელის მითითებას სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნისა და შესაბამისი ნიმუშების ქალაქ ...ის პოლიციისათვის (გამომძიებლისათვის) 3 თვის დაგვიანებით გადაცემის შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საკასაციო საჩივარზე თანდართულ ელექტრონულ მიმონერაზე, რომლის თანახმადაც დასტურდება დნმ-ის ნიმუშების ამერიკული მხარის მიერ 2018 წლის 21 მარტს მიღების ფაქტი.

ამრიგად, საკითხის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები და საქმეში არსებული მტკიცებულებები შესაფასებელია ერთობლიობაში, რასაც საკასაციო პალატა შესაძლებლად მიიჩნევს სააპელაციო პალატის მიერ ზეპირი მოსმენის შედეგად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. თუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწ-

ყვეტილების (განჩინების) არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხარეთა წერილობითი თანხმობით განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული პროცესუალური მოწესრიგება სრულად შეესატყვისება სამართლიანი სასამართლოს უფლების კონსტიტუციურ შინაარსს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას და მხარეთა შორის სადავო არ არის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საქმე განიხილა და გასაჩივრებული განჩინება მიიღო ზეპირი მოსმენის გარეშე. მართალია, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინება დააყრდნო საქმის მასალებში არსებულ მტკიცებულებებს, თუმცა საქმეზე იკვეთება ისეთი დამატებითი გარემოებები, რაც საჭიროებს ერთობლიობაში გამოკვლევას და შეფასებას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი შეჯიბრებითობის პრინ-

ციპი პირდაპირ უკავშირდება კონსტიტუციით რეგლამენტირებულ სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებას. შეჯიბრებითი პროცესი ეფუძნება მხარეთა უფლებრივ თანასწორობას, ალიჭურვონ თანაბარი საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ ისინი თავიანთი პოზიციების სასარგებლო არგუმენტების წარდგენის მიზნით. შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეებს აძლევს სამართალწარმოებაზე სამართლებრივი გავლენის მოხდენის, მტკიცებულების მოპოვება-წარდგენისა და საკუთარი ინტერესების დაცვის გონივრულ და თანასწორ შესაძლებლობას. შეჯიბრებითობის პრინციპის არსი ეფუძნება რწმენას, რომ სათანადოდ მომზადებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, მაშინ, როდესაც სასამართლოს ძირითად ამოცანას მხარეთათვის ამგვარ მოქმედებათა განხორციელების შესაძლებლობების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში, სამართალწარმოების მონაწილეები ალჭურვილნი არიან უფლებით, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებთან, განსაკუთრებით კი ისეთ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, რომლებსაც საქმის გადაწყვეტის თვალსაზრისით ენიჭებათ არსებითი მნიშვნელობა. საპროცესო კანონმდებლობით მხარეთა მიერ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის სხდომაზე მოსაზრებათა გამოთქმის უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც მხარეები სადავოდ არ ხდიან საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით მოწმდება. განსახილველ შემთხვევაში კი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში დავის განხილვის პროცესში კასატორს – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მისცემია შესაძლებლობა, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე წარედგინა დამატებითი მტკიცებულებები, რამაც საბოლოოდ, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება გამოიწვია.

დასახელებული გარემოებების ერთობლიობაში გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სააპელაციო პალატამ უნდა შეაფასოს საკითხი, შესაძლოა თუ არა საქმეზე დადასტურებულ გარემოებებს გამოენვია ისეთი ფსიქოემოციური სტრესი, რომ მოსარჩელეს განეცადა მძიმე სულიერი ტანჯვა, რაც საბოლოოდ შექმნიდა მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს. საკასაციო სასამარ-

თლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე კოდექსის 1006-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. განსახილველი დავის სწორად გადაწყვეტისათვის კი მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ნორმის სწორად შეფასება, რამეთუ სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება დაიშვება კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ე.ი. კანონი პირდაპირ ადგენს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს მოსარჩელემ არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება. ამდენად, კანონის მიზანია შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.

მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში კი, საკასაციო პალატა ყურადღებას მიექცევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე – „პანულო და ფორტე საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Pannullo and Forte v. France), № 37794/97, §35-36, ECHR 2001-X, რომლის შესაბამისად, სასამართლომ აღიარა, რომ საფრანგეთის ხელისუფლების მიერ ერიკას ცხედრის მშობლებისთვის დაბრუნების დაგვიანება წარმოადგენდა გაუმართლებელ ჩარევას პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. შესაბამისად, დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ შვილის გარდაცვალების ტრაგიკული გარემოებებისა და ცხედრის მშობლებისთვის დაბრუნებამდე გასული ხანგრძლივი პერიოდის გათვალისწინებით, მომჩივნებმა უდავოდ გადაიტანეს ფსიქიკური ტანჯვა, რომლის დარღვევის დადგენა საკმარისი არ იყო ვითარების გამოსასწორებლად. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად კი, სამართლიან საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლომ თითოეულ მომჩი-

ვანს მიანიჭა 100 000 ფრანგული ფრანკი.

მოცემულ საკითხზე მსჯელობისთვის ასევე მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: „სარიშვილი და ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ საქმის № 58240/08.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო-სამართლებრივი დანაწესების დარღვევით, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივ წინაპირობებს წარმოშობს. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის ხელახალი განხილვის პროცესში სააპელაციო სასამართლომ უნდა გამართოს ზეპირი მოსმენა და კასატორს – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მონინააღმდეგე მხარეს (მოსარჩელეს) მისცეს გასაჩივრებულ განჩინებაში სარჩელის საფუძვლიანობის გამომრიცხველ ან დამადასტურებელ გარემოებებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არის გამხდარი, კერძოდ, კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი არგუმენტები მიუთითებენ ისეთ გარემოებაზე, რომლის თანახმად, არ იკვეთება დნმ-ის ანალიზის დაგვიანებით გადაგზავნა. სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე გამოკვლევი რჩება საკონსულო დეპარტამენტის მიერ ქალაქ ...ის უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მონაცემთა სისტემაში განაცხადის დროულად დარეგისტრირების საკითხი. ამასთანავე, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მიერ დავის გადაწყვეტისას გამოყენებული ფაქტობრივი გარემოების შემოხსენებული სამართლებრივი საფუძვლისათვის მისადაგებას და განმარტავს, რომ „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ კანონი მოპასუხის მიერ გამოყენებულია იმ მოცულობით, რის შესაძლებლობასაც აძლევდა მას სამართლებრივი აქტი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დავის ხელახალი განხილვის პროცეს-

ში პასუხი უნდა გასცეს კასატორის მიერ მითითებულ არგუმენტებს, შეაფასოს მის მიერ დაფიქსირებული ზემოთ მითითებული პოზიციის საფუძვლიანობა და საქმის გარემოებათა სრულყოფილი და ყოველმხრივი შესწავლისა და სამართალწარმოების მონაწილეთა მოსაზრებების მოსმენის შემდგომ, მისცეს სამართლებრივი შეფასება სადავო სამართლებრივ საკითხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge